

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ქრისტინე თოფურია

ტრაბახი, როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი და მისი ვერბალური
გამოხატულება პოლიტიკურ დისკურსში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა - ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი

თ. შავლაძე

ბათუმი

2024

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ქრისტინე თოფურია

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი I. პოლიტიკური დისკური, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ქვეტიპი და მისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები	9
1.1. ტერმინის „დისკურსი“ შესახებ. დისკურსი და მისი მახასიათებლები.....	9
1.2. ანტიკური ეპოქის რიტორიკიდან - თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსამდე.....	18
1.3. პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები.....	28
თავი II. ტრაბახი, როგორც რთული ფსიქოლოგიური ფენომენი	32
2.1. ტრაბახის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და სახესხვაობები	32
2.2. ტრაბახი-საზოგადოების კულტურული ანარეკლი	48
2.3. ტრაბახი თუ თვითრეკლამირება - ტრაბახის ფენომენის თანამედროვე გაგება..	56
2.4. ტრაბახი, როგორც სამეტყველო აქტი.....	68
2.5. ტრაბახი ფსიქოლინგვისტიკის გადმოსახედიდან	72
თავი III. ტრაბახის ძირითადი სახეები და მათი ენობრივი გაფორმება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში	79
3.1. ტრაბახის გამოხატულება ენობრივ დონეზე	79
3.2. ტრაბახი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში	86
3.2.1. პირდაპირი ტრაბახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში	86
3.2.2. ფარული ტრაბახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში	97
3.3. ტრაბახი ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში	105
3.3.1. პირდაპირი ტრაბახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში	105
3.3.1. ფარული ტრაბახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში	110
დასკვნა	114
გამოყენებული ლიტერატურა	119
დანართი	129

შესავალი

ტრაბახი ოდითგანვე იყო და დღემდე არის ადამიანის ყოფის განუყოფელი ნაწილი. ტრაბახი საკმაოდ რთული და კომპლექსური ბუნების მატარებელია და მისი ძირეული შესწავლა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ კვლევას, როგორც დამოუკიდებელი, აგრეთვე, ჰიბრიდული დარგების ჩართულობას.

თემა **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ტრაბახი თვითგამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა თანამედროვე რეალობაში. ტრაბახი ვლინდება სხვადასხვა კონტექსტში, სოციალური ინდენტობის აგებისა და თვითრეკლამირების მიზნით, დაწყებული საბავშვო ბაღში ბაქია გამონათქვამებით, დამთვარებული პოლიტიკურ რიტორიკაში თავმომწონე ნარატივით.

ტრაბახს არ გააჩნია ასაკი, სქესი, ეთნიკურობა, სოციალური სტატუსი, რელიგიური მრწამსი თუ პროფესია. მას ვხდებით ყველგან და ყველასთან. თითოეული ჩვენგანი ტრაბახობს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, განსხვავდება მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმა ენობრივ დონეზე. ზოგის ტრაბახი ძალიან აშკარა და თვალსაჩინოა, ზოგის კი შენიღბული და არაპირდაპირი. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან თუ საუბრის რომელ სტრატეგიას ირჩევს მოსაუბრე, განსხვავდება მსმენელზე ზეგავლენის მოხდენისა და სასურველი შედეგის მიღების ეფექტურობის კოეფიციენტი.

ტრაბახი, როგორც ფსიქოლინგვისტური ქმედება პოლიტიკურ ასპარეზზე, წარმოადგენს დისკურსს საკუთარი თავის ბრენდირების განზრახვით, სადაც მოსაუბრე სტრატეგიულად იყენებს ენას ავტორიტეტის, დომინანტობისა და ლეგიტიმაციის მოსაპოვებლად. იგი პოლიტიკურ აქტორს ეხმარება პოლიტიკური იდენტობის შექმნაში, პოლიტიკური ნარატივების ტრაექტორიის ფორმირებაში. მისი მიზანმიმართული გამოყენება დარწმუნების, მანიპულაციისა და პოლიტიკური დღის წესრიგის დასახვის საშუალებად გვევლინება.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ტრაბახის გავრცელების არეალი ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან დიდია, ინგლისურენოვან აკადემიურ კვლევის სივრცეში ნაკლებად, ხოლო ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოდ არ არის შესწავლილი როგორც ზოგადად ტრაბახის ფენომენი, ისე ტრაბახის ფენომენი პოლიტიკაში.

შესაბამისად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ პოლიტიკური ტრაზახი თავისი ფსიქოლინგვისტური თავისებურებებით, როგორც მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნება, რომელსაც აქტიურად იყენებენ პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთის წინააღმდეგ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მიზანია ტრაზახის, როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენის შესწავლა პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში. იმ კომპლექსური ბუნების, ენობრივი თავისებურებების, ლინგვისტური სტრატეგიების, დისკურსიული ტაქტიკების, რიტორიკული ხერხებისა და კოგნიტური მექანიზმების გამოვლინება, რომლებიც ქმნიან პოლიტიკურ ტრაზახს. ამასთან, წარმოადგენს თუ არა ტრაზახი, როგორც ძლიერი ფსიქოლინგვისტური ფენომენი, პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთ მთავარ მაკონსტრუირებელ ელემენტს, შეიძლება თუ არა იგი ჩაითვალოს პოლიტიკური მოწინააღმდეგის „დისკრედიტაციის“ ეფექტურ საშუალებად, არის თუ არა ტრაზახი მიზანრაციონალური მოქმედება, რომლის გამოყენებაც ემსახურება საზოგადოების მიმხრობას, საკუთარი პოლიტიკური ფიგურის უპირატესობის ხაზგასმას ა.შ.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად დავისახეთ რიგი ამოცანები, კერძოდ კი, შევისწავლოთ:

1. დისკურსი, რიტორიკა, პოლიტიკური დისკურსი და ფსიქოლინგვისტიკა თავიანთი მახასიათებლებით;
2. როგორ განიმარტება ტრაზახი, რა წარმოადგენს ტრაზახის მაპროვოცირებელ მიზეზებს, არის თუ არა პოლიტიკური ტრაზახის დანიშნულება ბრძოლა ძალაუფლებისთვის საზოგადოებრივი აზროვნების ვერბალური მანიპულირების გზით;
3. შეიცვალა თუ არა ტრაზახისადმი დამოკიდებულება დროის ევოლუციასთან ერთად და ითვლება თუ არა თანამედროვე სოციუმში ტრაზახის სინონიმურ წყვილებად თვით-რეკლამირება, თვით-პრეზენტაცია ან თვით-პრომოცია;
4. ტრაზახის რა ძირითადი სახესხვაობები არსებობს როგორც ზოგადად, ასევე პოლიტიკურ ველზე. უფრო ზუსტად კი, როგორია მათი ენობრივი გაფორმება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: *რაოდენობრივი ანალიზი* - ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პოლიტიკური ტრაბახის მაგალითების დაჯგუფების დროს. *დესკრიპციული მეთოდი* - ემპირიული მასალის დამუშავებისთვისა და ინტერპრეტაციისთვის. *შეპირისპირებითი მეთოდი* - ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი პოლიტიკური ტრაბახის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოსააშკარავებლად. *ტექსტის ანალიზი* - ბრაგალოგებში (ტრაბახის შემცველი ნარატივი) გამოყენებული სტილისტური, რიტორიკული, ლინგვისტური ხერხების გამოსავლენად.

კვლევის თეორიულ ბაზად გამოვიყენეთ: ქართველი (ც. ბარბაქაძე, ე. ბელიაშვილი, ნ. კირვალიძე, ს. ოშიაძე, ბ. ფორჩხიძე, თ. შავლაძე, თ. გაგოშიძე ა.შ), უცხოელი მკვლევრების (J. Mali, S. Whitbourne, M. Green, I. Scopelliti, V. Dijk, S. Ovul, M. Warrell, P. Klaus, M. Fineman, N. Fairclough, R. Nordquist, A. Garnham, G. Altmann, W. Cowles, S. Mills, R. Wodak, M. Jørgensen, P. Chilton, ა.შ) ნაშრომები.

რაც შეეხება პრაქტიკულ ბაზას, ქართველი პოლიტიკოსებისგან განვიხილავთ ისეთი პოლიტიკოსების ტრაბახა ნარატივს, როგორებიც არიან: შ. ნათელაშვილი, მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე, გ. მარგველაშვილი, დ. ბაქრაძე, ი. კობახიძე, კ. კალაძე და სხვანი. ხოლო ამერიკელი პოლიტიკოსებისგან, დ. ტრამპი, ბ. კლინტონი, ჯ. ბუში, ჰ. პეროტი, ა. გორი, ბ. ობამა და სხვანი. ქართული მაგალითების ძირითადი ნაწილი მოვიძიეთ <https://www.youtube.com/>-ზე, ხოლო ინგლისურენოვანი მაგალითები <https://www.c-span.org/>-ზე.

ნაშრომის თეორიული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ იგი შეიცავს მნიშვნელოვან დასკვნებს ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკისა და პოლიტიკური დისკურსის ტრაბახთან ურთიერთმიმართების ჭრილში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ პოლიტიკური დისკურსის, ფსიქოლინგვისტიკის, ტრაბახის ფენომენით დაინტერესების შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო თემებზე მუშაობის პროცესში. ასევე, ნაშრომით შეიძლება დააინტერესდნენ ფსიქოლოგები, ფსიქოლინგვისტები, ქცევის თერაპევტები. მეტიც, ყველა პროფესიის, ასაკის, ეროვნების ადამიანი აქ ამოიკითხავს ბევრ სასარგებლო რჩევას თუ როგორ იტრაბახოს „ბაქია ადამიანის“ იარლიყის ქონის გარეშე. აგრეთვე,

ეს ყველაფერი განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს იმ პოლიტიკოსებისთვის, რომელთა პოლიტიკური ყოფის განუყოფელი ნაწილია ტრაბახი ან სულაც რიგითი მოქალაქეებისთვის, რომლებიც რთული არჩევანის წინაშე დგანან თუ ვის ანდონ ქვეყნის მომავალი. პოლიტიკური გუნდების პიარ კამპანიის წევრები, პოლიტიკური მრჩეველები, ის ადამიანები, რომლებიც წერენ საჯარო სიტყვით გამოსვლის ტექსტებს, უსათუოდ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს აღმოაჩენენ ჩვენს კვლევაში. არც ე.წ. ქოუჩები იქნებიან გამონაკლისი, ბევრ სასარგებლო რჩევას მიიღებენ მაგალითად გაყიდვების ტრენინგების ჩასატარებლად. ნაშრომი დაეხმარება მედიის სფეროს წარმომადგენლებს, რომ უფრო მარტივად და სწორად შეძლონ პოლიტიკურ ქმედებებზე კომენტარის გაკეთება და მათი შეფასება. ვინაიდან, ნაშრომში ტრაბახთან დაკავშირებულ არაერთ ახალ ტერმინს ვხვდებით (ზოგის ჩვენეული თარგმანი შემოგთავაზეთ, ზოგი კი ნეოლოგიზმად დავტოვეთ), დაინტერესების შემთხვევაში, პროფესიონალმა მთარგმნელებმა ამ ტერმინების უფრო კომპეტენტური ვარიაციები შეიძლება შემოგვთავაზონ, ლექსიკოგრაფებმა კი ყოველივე ეს შესაბამისად ასახონ ლექსიკონებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას განსაზღვრავს თავად კვლევის მიზნები და ამოცანები. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნითი ნაწილის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

შესავალში ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, მიზნები და ამოცანები, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგიური მხარე და ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის პირველი თავი **„პოლიტიკური დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ქვეტიპი და მისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები“**, თავის მხრივ შედგება სამი ქვეთავისგან: 1. „ტერმინის „დისკურსი“ შესახებ. დისკურსი და მისი მახასიათებლები“, 2. „ანტიკური ეპოქის რიტორიკიდან - თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსამდე“, 3. „პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები“. თითოეული ქვეთავი ემსახურება პოლიტიკური დისკურსის შესახებ ამომწურავი ინფომაციის მოწოდებას მეცნიერული თვალსაზრისით.

ნაშრომის მეორე თავი „ტრაზახი, როგორც რთული ფსიქოლოგიური ფენომენი“, შედგება ხუთი ქვეთავისგან: 2.1. „ტრაზახის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და სახესხვაობები“; 2.2. ტრაზახი - საზოგადოების კულტურული ანარეკლი; 2.3. „ტრაზახი თუ თვითრეკლამირება - ტრაზახის ფენომენის თანამედროვე გაგება“; 2.4. „ტრაზახი, როგორც სამეტყველო აქტი“; 2.5. „ტრაზახი ფსიქოლინგვისტიკის გადმოსახედიდან“. თითოეული ქვეთავის მიზანია, ტრაზახის ფენომენის შესახებ ფსიქოლოგიური და ლინგვისტური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის დაგროვება-გაანალიზება და საკუთარი დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის მესამე თავი „ტრაზახის ძირითადი სახეები და მათი ენობრივი გაფორმება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში“, პრაქტიკული სახისაა და იყოფა შემდეგ ქვეთავებად: 3.1. „ტრაზახის გამოხატულება ენობრივ დონეზე“; 3.2. „ტრაზახი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში“, რომელიც თავის მხრივ იყოფა კიდევ ორ პარაგრაფად: 3.2.1. „პირდაპირი ტრაზახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში, 3.2.2. „ფარული ტრაზახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში“. 3.3. „ტრაზახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ დისკურსში“, რომელიც თავის მხრივ იყოფა ასევე ორ პარაგრაფად: 3.3.1. „პირდაპირი ტრაზახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში“ და 3.3.2. „ფარული ტრაზახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში“. მათი მიზანია, წინა თავებში წარმოდგენილი ყველა თეორიული ჰიპოთეზის პრაქტიკული ფორმით დემონსტრირება.

დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილია კვლევის შემაჯამებელი განზოგადებები თეზისების სახით.

გამოყენებული ლიტერატურის ნაწილში წარმოდგენილია ყველა იმ თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წყარო, რომლებსაც ვხვდებით ზემოთ აღნიშნულ თავებში.

რაც შეეხება **დანართს**, იგი შედგება იმ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი მაგალითებისგან, რომლებიც მოვიძიეთ კვლევის პროცესში, მაგრამ არ წარმოვადგინეთ ძირითად ნაწილში.

თავი 1. პოლიტიკური დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ-ერთი ქვეტიპი და მისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები

1.1. ტერმინის „დისკურსი“ შესახებ. დისკურსი და მისი მახასიათებლები

ტერმინი „დისკურსი“ მრავალგანზომილებიანი და რთული კომუნიკაციური ფენომენია, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს არაერთ დისციპლინაში, როგორც კრიტიკული თეორია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ლინგვისტიკა, ეთნოლოგია, სემიოტიკა, ანთროპოლოგია, საგანმანათლებლო, კოგნიტური თუ პოლიტიკური მეცნიერებები. დისკურსი აქტიურად გამოიყენება როგორც ლიტერატურული, ასევე არალიტერატურული ტექსტების ანალიზისთვის.

ლექსიკონურ დონეზე, დისკურსის შემდეგ სტანდარტულ განმარტებებს ვხვდებით: კოლინსის ლექსიკონში „დისკურსი“ განმარტება როგორც: 1. Verbal communication, talk, conversation; 2. A formal treatment of subject in speech and writing; 3. A unit of text used by linguists for the analysis of linguistic phenomena that range over more than one sentence; (1. ვერბალური კომუნიკაცია, საუბარი, დიალოგი; 2. სუბიექტის ფორმალური წარმოჩენა მეტყველებასა და დამწერლობაში; 3. ტექსტის ერთეული, რომელიც გამოიყენება ლინგვისტების მიერ ერთზე მეტი წინადადების გასაანალიზებლად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/discourse>

ლონგმენის ლექსიკონის მიხედვით კი დისკურსი არის: A conversation, especially of a formal nature; formal or orderly expression of ideas in speech and writing (ოფიციალური ხასიათის დიალოგი, იდეების ფორმალური და თანმიმდევრული გამოხატულება ზეპირსა და წერით კომუნიკაციაში; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

<https://www.ldoceonline.com/dictionary/discourse>

ქართულ წყაროებში, კერძოდ, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ონლაინ ლექსიკონ-ცნობარში, „დისკურსი“ განხილულია, როგორც ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერების ტერმინი, რომელიც გულისხმობს იმ დებულებათა ჯგუფს, რომლებიც სტრუქტურაში აქცევს ჩვენ მიერ ამა თუ იმ

საკითხის გააზრებას და განაპირობებს ჩვენს ქმედებას ამგვარი გააზრების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დისკურსი“ არის გარკვეული ცოდნა სამყაროს შესახებ და გვეხმარება სამყაროს გააზრებაში. აქვე ვკითხულობთ, რომ „დისკურსი“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ენის გარკვეული ფორმა, საკუთარი წესებით, პირობებითა და ინსტიტუტებით, რომელთა ფარგლებშიც ხდება დისკურსის შექმნა და გავრცელება“. მაგალითისთვის მოყვანილია სამედიცინო დისკურსი, რომელიც მოიცავს მედიცინის სპეციფიკურ ენას, იმ ცოდნას, რომელსაც ის ქმნის და იმ პროფესიულ ინსტიტუტებსა და სოციალურ სივრცეებს რომელიც მას უკავია. დისკურსები გამოთქმულია სხვადასხვაგვარი ვერბალური თუ ვიზუალური ტექსტების, სახე-ხატების მეშვეობით. დისკურსის ცნების გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერტექსტუალობა. დისკურსი | ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში (css.ge)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდზე კი ვკითხულობთ, რომ „დისკურსი“ არის იდეების, გამოსახულებების, პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ თემებთან, სოციალურ აქტივობებთან ან ინსტიტუტიციებთან საზოგადოებაში. ეს დისკურსიული ჩამოყალიბებული ერთობლიობები, განსაზღვრავენ რა არის და რა არ არის მისაღები ამა თუ იმ კონკრეტული საგნის თუ სოციალური აქტივობის შესახებ მსჯელობისას. რა ცოდნა არის აუცილებელი და აქტუალური იმ მოცემულ კონტექსტში და რა ტიპის ინდივიდები ატარებენ ამ მახასიათებლებს.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>

Thoughtco.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში “Definition and examples of discourse“ (დისკურსის განსაზღვრება და მაგალითები), რ. ნორდქვისთი ამბობს, რომ დისკურსი ენობრივი ერთეულია, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე წინადადება. დისკურსის შესწავლა უდრის წერილობითი თუ ზეპირი ენის ანალიზს სოციალურ კონტექსტში და დაინტერესებულია დაწყებული მცირე ენობრივი ერთეულებით, როგორცაა მაგალითად ფონემა და მორფემა, დამთავრებული მსხვილი ენობრივი ერთეულებით როგორცაა ლექსემა, სინტაქსი, კონტექსტი ა.შ.

დისკურსი შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ერთ ან ორ სიტყვას, მაგალითად, „შეჩერდი“, „მოწევა აკრძალულია“ ან სულაც შედგებოდეს ათასობით სიტყვისაგან, დიდტანიანი წიგნების მსგავსად. ტიპური დისკურსი ამ ორ მოცემულობას შორის მერყეობს.

დისკურსის შესწავლა კონტექსტის გარეშე შეუძლებელია, რადგან კომუნიკაციის პროცესი მოითხოვს ისეთ სიტუაციურ ცოდნას, რომელიც უბრალოდ წარმოთქმულ სიტყვებს ცდება. დისკურსი არის ორმხრივი პროცესი, რომელიც მოითხოვს აქტიურ ჩართულობას ორი ან ორზე მეტი ადამიანისგან. მისი ეფექტურობა დამოკიდებულია კომუნიკანტთა საერთო ცოდნასა და თვითონ კომუნიკაციის სიტუაციურობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ დისკურსი სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული, მასთან ასოცირდება ისეთი ტერმინები როგორცაა „ჟანრი“ ან „ტექსტის ტიპი“. შესაბამისად, დისკურსის კონცეპტუალიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ჟანრში, მაგალითად, პოლიტიკური დისკურსი, მედია დისკურსი, იურიდიული დისკურსი, ეთნიკური დისკურსი, პედაგოგიური დისკურსი, კრიტიკული დისკურსი აშ. <https://www.thoughtco.com/discourse-language-term-1690464>

ზოგიერთი მეცნიერი „დისკურსსა“ და „ტექსტს“ სინონიმურ წყვილად მოიხსენიებს, ზოგიც კი ფიქრობს, რომ ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ტექსტი შეიძლება იყოს წერითი ფორმით მოცემული, დისკურსი კი ზეპირი ფორმისაა. ტექსტი შეიძლება იყოს არაინტერაქციული, დისკურსი კი ინტერაქციული პროცესია. ტექსტისთვის საკმარისია ზედაპირული კოჭეზია, დისკურსისთვის კი სიღრმისეული კოჭერენტულობაა აუცილებელი. (Mills, 2004:1)

ს. ომიადის ნაშრომში „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“ კი ვკითხულობთ, რომ დიდი ხნის მანძილზე ორი ტერმინი „დისკურსი“ და „ტექსტი“ ევროპულ ლინგვისტიკაში სინონიმურ წყვილად განიხილებოდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე, დისკურსის ანალიზი და ტექსტის ლინგვისტიკა ერთიდაიმავე ენათმეცნიერულ სფეროებს გამოხატავდნენ. ამ ორი ცნების ერთმანეთისგან გამიჯვნა დაკავშირებულია ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლასთან. ტექსტისა და

დისკურსის დიფერენცირება მოხდა ამ წყვილში სიტუაციის კატეგორიის შემოტანით, კერძოდ კი, დისკური=ტექსტს + სიტუაცია, ტექსტი =დისკურსს - სიტუაცია (ომიაძე, 2006:23).

ამასთან, ს. ომიაძეს მოჰყავს მაკაროვის ნააზრევი, რომ ხშირ შემთხვევაში, დისკურსისა და ტექსტის დაპირისპირება ხდება ისეთი ოპოზიციური კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა ფუნქციურობა-სტრუქტურულობა, პროცესი-პროდუქტი, დინამიკურობა-სტატიკურობა, აქტუალურობა-ვირტუალურობა. შესაბამისად, განასხვავებენ სტრუქტურულ ტექსტს, როგორც პროდუქტს და ფუნქციურ დისკურსს, როგორც პროცესს. ერთ რიგში ექცევა წინადადება და ტექსტი, ხოლო მეორეში - გამონათქვამი და დისკურსი. (ომიაძე, 2006:25)

გარდა ამისა, ტექსტისა და დისკურსის განსხვავებისთვის იყენებენ ოპოზიციას: „წერილობითი ტექსტი-ზეპირი დისკურსი“, რაც დამახასიათებელია ენისა და მეტყველების კვლევის ფორმალისტური მიდგომისთვის. აღნიშნულ დიქტომიაზე დაყრდნობით ზოგი მკვლევარი გამოყოფს დისკურსის ანალიზს (რომლის შესწავლის მთავარი ობიექტიც ზეპირი მეტყველებაა) და წერილობითი ტექსტის ლინგვისტიკას. თუმცადა, ამგვარ მიდგომას პრაქტიკული კვლევისას მრავალი დაბრკოლება შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, მოხსენება შეიძლება ერთდროულად განხილულ იყოს როგორც ტექსტი და, ამასთანავე, როგორც საჯარო გამოსვლა.

დისკურსის ცნების დაკავშირებას მხოლოდ ზეპირ მეტყველებასთან შეიძლება ის საფუძველიც ჰქონდეს, რომ დისკურსი მეტყველების თანმხლებ, პარალინგვისტურ ელემენტებსაც შეიცავს - მიმიკებს, ჟესტებს, ფონაციურ საშუალებებს, რომლებიც ტექსტში მხოლოდ აღწერის გზით შეიძლება „გაცოცხლდეს“ (ომიაძე, 2006:25-26).

ი. პროზოროვი კი ტექსტს უწოდებს კომუნიკაციის ინტროვერტულ ფიგურას, დისკურსს - კომუნიკაციის ექსტრავერტულ ფიგურას. მისი აზრით, რეალური კომუნიკაცია შედგება სამი განუყოფელი ნაწილისგან: თვით სინამდვილის ფიგურა, რომლის სფეროში და რომლის საფუძველზეც არსებობს კომუნიკაცია და კიდევ ორი

ფიგურა: ტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს მის შენაარსობრივ-ენობრივ საფუძველს და დისკურსი, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ-მეტყველებით საფუძველს (ომიაძე 2006:29).

რაც შეეხება დ. კრისტალის თვალით დანახულ დისკურსს, იგი ბუნებრივი და სპონტანური მოვლენაა. მისთვის დისკურსს წარმოადგენს ინტერვიუები, დიალოგები, საჯარო გამოსვლები, კომენტარები. დ. კრისტალისთვის ტექსტი უფრო წერილობითი ხასიათისაა, მაგალითად: ესეები, საგზაო ნიშნები, რეკლამები, განცხადებები.

მილსის თანახმად: „Discourse is linguistic communication seen as a transaction between speaker and hearer, as an interpersonal activity whose form is determined by its social purpose. Text is linguistic communication (either spoken or written) seen simply as a message coded in its auditory and visual medium“. (დისკურსი არის ლინგვისტური კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლა მოსაუბრესა და მსმენელს შორის, ინტერპერსონალური აქტივობა, რომელსაც განსაზღვრავს კომუნიკაციის სოციალური მიზანი. ტექსტი კი არის ლინგვისტური კომუნიკაცია (ზეპირი თუ წერილობითი) და განიხილება უბრალოდ, როგორც შეტყობინება, რომელიც კოდირებულია მის აუდიტორულ და ვიზუალურ გარემოში). (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) (Mills, 2001:3)

რ. ვოდაკისა და მ. მეიერის ნაშრომში „Critical Discourse Analysis: History, Agenda, Theory and Methodology“ (კრიტიკული დისკურსის ანალიზი: ისტორია, დღის წესრიგი, თეორია, მეთოდოლოგია) ვკითხულობთ, რომ დისკურსში მოიაზრება ყველაფერი დაწყებული ისტორიული მონუმენტიდან, დამთავრებული ნარატივით. გამოყოფილია მისი რამდენიმე სახეობა: რასისტული დისკურსი, პოპულისტური დისკურსი, წარსულის დისკურსი და სხვა. როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ, დისკურსი შეიძლება ჩაითვალოს ჟანრად, სტილად ან პოლიტიკურ პროგრამადაც კი. მეტიც, დისკურსად შეიძლება მივიჩნიოთ პროფესორსა და აუდიტორიას შორის კომუნიკაცია, საგაზეთო სტატიის სათაური, საპრეზიდენტო გამოსვლა, რომანი, ჟურნალის ყდა, მეგობრებს შორის დიალოგი ა.შ. (Wodak, 2009:3)

კრიტიკული დისკურსის ანალიზის ჭრილში, დისკურსი განიხილება, როგორც ენის გამოყენება ტექსტსა და მეტყველებაში და წარმოადგენს სოციალური პრაქტიკის ერთ-ერთ გამოხატულებას. დისკურსი არის სოციალურად განპირობებული ფენომენი. მის წარმოქმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოდნის ობიექტი, სოციალური იდენტობები, ინდივიდებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის კავშირი ა.შ. იგი გვეხმარება სოციალური სტატუს კვოს შენარჩუნებაში (Wodak, 2009:5).

დისკურსის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ძალაუფლება და იდეოლოგია. ის კი თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს სოციალურ იდენტობებზე, სოციალურ ურთიერთობებზე, სისტემურ ცოდნასა და რწმენებზე. (Fairclough, 1992:12).

სტენდფორდის ფილოსოფიის ელექტრონულ ენციკლოპედიაში მოცემულია გერმანელი ფილოსოფოსის, ი. ჰაბერმასის ნააზრევი „დისკურსის“ შესახებ: „Only speech that is explicitly oriented towards reaching rationally motivated consensus counts as discourse“ (დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მეტყველების ის ფორმა, რომელიც პირდაპირ არის ორიენტირებული რაციონალური კონსენსუსის მიღწევაზე). (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) <https://plato.stanford.edu/entries/habermas/#Disc>

ნაშრომში „Discourse and Social Change “ (დისკურსი და სოციალური ცვალებადობა) ვკითხულობთ: „Discourse is a practice not just of representing the world, but of signifying the world, constituting and constructing the world in meaning“. (დისკურსის დანიშნულებაა არამხოლოდ სამყაროს რეპრეზენტაცია, არამედ მისი აღნიშვნა, სამყაროს მნიშვნელობის ჭრილში ფორმირება და განვითარება. დისკურსს შეუძლია როგორც სოციუმის წარმოქმნა, ასევე მისი ტრანსფორმაცია). (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Fairclough, 1992:64).

studysmarter.co.uk - ზე მოცემულია, რომ კომუნიკაციის (იქნება ეს ზეპირი თუ წერიტი ფორმით მოცემული) მიზანია ცოდნისა და სინამდვილის აგება-ფორმირება. ფუკოს თეორიის თანახმად, ეს სინამდვილე უბრალოდ კი არ არსებობს, არამედ, იგი იქმნება დისკურსის მეშვეობით. იმ ადამიანებს, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, ძალუძთ ამ სინამდვილეზე ზეგავლენის მოხდენა. ფუკოს მოსაზრებით, სწორედ მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი

დისკურსის შექმნა. უფრო მეტიც, ისინი ქმნიან ცოდნას, რომელიც დროთა განმავლობაში ნორმად მკვიდრდება და სხვებიც გაუცნობიერებლად ხდებიან ამ ნორმის ნაწილი. ფუკო ძალაუფლების რამდენიმე სახეობას გამოყოფს: სუვერენული ძალაუფლება (Sovereign Power) - ამ ტიპის ძალაუფლებით სარგებლობს ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ სტრუქტურის სათავეში დგას (პრეზიდენტი, სკოლის დირექტორი ა.შ). დისციპლინარული ძალაუფლება (Disciplinary Power)- დამახასიათებელია ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც საკუთარ თავს ჩარჩოში სვამენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვათა დაკვირვების ქვეშ არიან. პასტორალური ძალაუფლება (Pastoral Power)-ამ ძალაუფლებით სარგებლობს ის ადამიანები, რომელთა სამსახურეობრივი პასუხისმგებლობაა გარშემომყოფთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მაგალითად, პოლიცია.

<https://www.studysmarter.co.uk/explanations/english/key-concepts-in-language-and-linguistics/michel-foucault-discourse-theory/>

სახელმძღვანელოში “Discourse analysis as theory and method” (დისკურს ანალიზი, როგორც თეორია და მეთოდი), ვკითხულობთ, რომ ძალაუფლება მხოლოდ ჩაგვრისკენ კი არ არის მომართული, არამედ, ის რაღაც ახლის წარმომქმნელიცაა. მეტი სიზუსტისთვის მოვიყვანოთ თავად ფუკოს სიტყვები: “What makes power hold good, what makes it accepted, is simply the fact that it does not only weigh on us as a force that says no, but that it traverses and produces things, it induces pleasure, forms knowledge, produces discourse. It needs to be considered as a productive network which runs through the whole social body, much more than as a negative instance whose function is repression“. (ძალაუფლება მისაღებია იმ შემთხვევაში თუ ის არ გვიწესებს მხოლოდ აკრძალვებს, არამედ, ნაცვლად ამისა ქმნის ახალს, გვანიჭებს სიამოვნებას, საძირკველს უყრის ცოდნას, აწარმოებს დისკურსს. მისი დანიშნულება ახალი ურთიერთობების დამყარება უფროა სოციუმში, ვიდრე სხვათა ჩაგვრა). (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) (Jørgensen, 2002:13).

რ. ვოდაკისა და მ. მეიერის მიერ რედაქტირებულ სახელმძღვანელოში - „Methods of Critical Discourse Analysis“ (კრიტიკული დისკურს ანალიზის მეთოდები), დისკურსი განმარტებულია, როგორც „ცოდნის ნაკადი“ (The flow of knowledge),

რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალურ და კოლექტიურ საქმიანობას და რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ ცნობიერებას. ამას გარდა, დისკურსზე, როგორც მატერიალურ რეალობაზე საუბრისას, ავტორი იყენებს ლათინური წარმოშობის სიტყვას „Sui Generis“, რაც ნიშნავს „უნიკალურს“, „თავისთავადს“. (Wodak, 2001: 32).

როგორც ვიცით, დისკურსის არაერთი ფორმა არსებობს. ავტორების თქმით, ისინი ერთმანეთთან კოლექტიური სიმბოლოებით, იგივე კულტურული სტერეოტიპებით არიან დაკავშირებული. დისკურსი არ არის მხოლოდ იდეოლოგია, ის ქმნის სუბიექტებს, სოციალურ რეალობებს. მის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებას კი გარკვეული ისტორიული პროცესების გავლა ჭირდება. (Wodak, 2001: 36).

ვ. კარასიკი გამოყოფს ორი ტიპის დისკურსს: 1. პერსონალურს, სადაც ინდივიდი ორიენტირებულია საკუთარ თავზე და მოქმედებს საკუთარი თავიდან გამომდინარე; 2. ინსტიტუციონალური, რომელიც გახლავთ სტატუსზე ორიენტირებული და სადაც ინდივიდი მოქმედებს ისე, როგორც მის სოციალურ სტატუსს შეეფერება. (Kenzhekanova, 2015:193)

თ. გაგოშიძე იზიარებს ჰაბერმასის შეხედულებას, რომ დისკურსი შეიძლება დისკუსიას გაუთანაბრდეს. ისევე როგორც ნებისმიერი ტექსტი, დისკურსიც უდავოდ გულისხმობს ორი ობიექტის, მოსაუბრის (ავტორის) და მსმენელის (ადრესატის) არსებობას. კომუნიკაციის მსველელობასთან ერთად მათი როლური დატვირთვაც იცვლება, რაც დისკურსის დიალოგურ ბუნებაზე მიგვითითებს (გაგოშიძე, 2015: 29) .

ნ. გოგოლაშვილი სტატიაში „დისკურსის ცნების ინტერპრეტაციისთვის“, წარმოგვიდგენს პ.რიკიორის თეორიას დისკურსის შესახებ. ავტორის თანახმად, დისკურსის რეალიზაცია ყოვეთვის გარკვეულ დროში და გარკვეულ აწმყოში ხდება. იგი ყოველთვის იმ გარკვეულ სამყაროსეულ სურათს გამოხატავს, რომლის აღწერისა და გამოხატვის პრეტენზიაც მას აქვს. (გოგოლაშვილი, 2008:91)

სახელმძღვანელოში “Discourse analysis as theory and method” (დისკურს ანალიზი, როგორც თეორია და მეთოდი), მოყვანილია მ. ფუკოსეული სიტყვები: „Discourse in this sense is not an ideal, timeless form [...] it is, from beginning to end,

historical – a

fragment of history [...] posing its own limits, its divisions, its transformations, the specific modes of its temporality“. (Foucault 1972: 117) (დისკურსი არ არის იდეალური, სამუდამო მოცემულობა. არამედ, წარმოადგენს გარკვეულ ისტორიულ ამონარიდს, რომელიც თავად იწესებს საკუთარ საზღვრებს, ახდენს გარდასახვებს, ქმნის დროებითობის გამომხატველ განსაკუთრებულ ერთეულებს). (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). დისკურსი წარმოქმნის როგორც სუბიექტებს, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ, ასევე ობიექტებს რომლის შესახებაც ჩვენ გარკვეული ცოდნა მოგვეპოვება.(Jørgensen, 2002:12).

დისკურსის წამროებისთვის აუცილებელია შემდეგი ელემენტები: დისკურსის ავტორი, დისკურსის ადრესატი, წერილობითი თუ ზეპირი ტექსტი, დისკურსის დრო და ადგილი. ამათგან, განსაკუთრებულად ხაზგასასმელია მსმენელის როლი, რადგან სწორედ მსმენელი წარმოადგენს დისკურსის მთავარ მაკონსტრუირებელ ელემენტს, მისი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი შინაარსის მქონე სიტყვის შექმნა და წარმოთქმის პროცესი.

როგორც ვხედავთ, დისკურსის შესწავლის არეალი ძალიან ფართოა, მისი პოლისემიური და პროგრესული ბუნებიდან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად და საკვლევად მიმზიდველ დარგს წარმოადგენს. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ დისკურსის ერთი, უნივერსალური განმარტება დღემდე არ მოიპოვება აკადემიურ სივრცეში. დისკურსი არის კულტურა კულტურაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი რეალობის ფორმირებაში, მის გარდასახვასა და ტრანსფორმაციაში.

1.2. ანტიკური ეპოქის რიტორიკიდან - თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსამდე

ვიდრე უშუალოდ პოლიტიკასა და პოლიტიკურ დისკურსზე დავიწყებდეთ საუბარს, მნიშვნელოვანია, მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა არის რიტორიკა, რადგან ახლანდელი მეცნიერები სწორედ ძველი რიტორების გამოსვლებს აღიარებენ პოლიტიკური დისკურსის უტყუარ საფუძვლად.

რიტორიკა ანტიკური ხანის საბერძნეთში მეტად ცნობილი დისციპლინა იყო და მისი ფლობა უმნიშვნელოვანესად მიიჩნეოდა. რიტორიკა არის ზეპირი მეტყველების სტილი. ფართო, ტრადიციული მნიშვნელობით, ის გულისხმობს მჭერმეტყველებას, იგივე ორატორულ ხელოვნებას. იგი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა როგორც ხატოვანი, შთამბეჭდავი მეტყველების ფორმა. რიტორიკული ხერხების ფლობა ითვლებოდა პიროვნული სრულყოფილების ერთ-ერთ გამოხატულებად. (ფორჩხიძე, 2018: 35)

რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, დაწერილი უნდა ყოფილიყო ძვ.წ.აღ. V ს-ში. მის ავტორებად მიჩნეული არიან სირაკუზელი ბერძნები კორაკსი და ტესია. (ფორჩხიძე, 2018:37) რიტორიკა, როგორც ცოდნის ახალი დარგი განავითარეს სოფისტებმა. ამიერიდან, სიტყვების ამოცანაა არა საგანთა გადმოცემა, არამედ- ადამიანში ეფექტების აღძვრა. არა წმინდა იდეებისა და შეხედულებების გადმოცემა, არამედ -ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა და მათი წარმართვა გარკვეული მიზნებისკენ. (ფორჩხიძე, 2018: 38)

ც. ბარბაქაძე სტატიაში „რიტორიკა, სტილისტიკა, პრაგმატიკა“ წერს, რომ კვინტილიანე რიტორიკას *ars bene disendi* (კარგად თქმის ხელოვნებას) და *bene disendi scientia* (კარგად თქმის მეცნიერებას) უწოდებდა. რიტორიკა შემეცნების ორ სახეს: ესთეტიკურსა და მეცნიერულს აერთიანებს. ის არის სიტყვით დარწმუნების ხელოვნება, მეცნიერება დარწმუნების ხელოვნების შესახებ და მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული დარწმუნების პროცესი. <https://mastsavlebeli.ge/?p=1817>

მეტყველების კულტურის ისტორიულ სიბრტყეში გამოიყოფა შემდეგი რიტორიკები: პოლიტიკური, დიპლომატიური, აკადემიური, იურიდიულ-სამართლებრივი, სამედიცინო, სამხედრო, ყოველდღიურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო-სასაქონლო, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული, სალექციო-სააუდიტორიო,

საეკლესიო-სადღვთისმეტყველო და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული. (ფორჩხიძე, 2018:13)

რიტორიკული ტექსტის დანიშნულებაა მსმენელში დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნა, მასში ეჭვის გაქარწყლება და ნდობის მოპოვება, მსმენელთა ემოციური აღზუნებადობის რაციონალური რეგულირება/მართვა. აგრეთვე, რიტორები დახსომება-შენახვის მიზნით ხშირად მიმართავენ ტექსტის ძირითადი ბირთვის ეტაპობრივ განმეორებას (რეპეტიცია), ეფექტური ფრაზების წარმოთქმას სათქმელი დედაარსის მკაფიო გამოხატვის მიზნით. (ფორჩხიძე, 2018:13-14)

თუკი ორატორი საინტერესოდ გადმოსცემს სათქმელს, მაშინ ის ზოგიერთ ისეთ რამესაც შეაპარებს მსმენელს, რომელიც მათთვის არც თუ ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ ორატორს ეს მაინც ჭირდება საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, ან რაღაც ფარული მიზნის განსახორციელებლად. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მახვილგონივრული ნართაულების, კალამბურების, ხუმრობების, ანდაზებისა თუ აფორიზმების გამოყენებით, სანიმუშო ფაქტების, კოლორიტული შედარებების, ანალოგიების მოყვანით. (ფორჩხიძე, 2018: 26)

ციცერონის თანახმად, პოლიტიკური მოღვაწე ორატორი უნდა იყოს და არა უბრალოდ დეკლამატორი. ორატორის წინაშე სამი ამოცანა დგას: გაამყაროს ნათქვამი სარწმუნო არგუმენტებით, სიამოვნება მიანიჭოს მსმენელს, ზეგავლენა მოახდინოს მასზე (ბახტაძე, 2021:13).

არისტოტელესთან რიტორიკული სიტყვა სამი ნაწილისგან შედგება: შესავალი, შინაარსი და დასკვნა. ასევე, მან გამოყო რიტორიკის სამი მხარე: 1. ორატორი; 2. ის საგანი, რის შესახებაც ორატორი საუბრობს; 3. ის, ვისაც სიტყვით მიმართავს (მსმენელი). მისი თქმით, რიტორიკა ემყარება დარწმუნების მეთოდს, რომელიც, თავის მხრივ, დასაბუთებასაც მოითხოვს. ამიტომაც, ვიჯერებთ იმას, რაც უფრო მეტად მიგვაჩნია დასაბუთებულად. (ფორჩხიძე, 2018:44)

პოლიტიკური დისკურსი სხვა არაფერია თუ არა რიტორიკული ხელოვნება. რომ არა რიტორიკული ხერხები, პოლიტიკური აქტორები ვერ შეძლებდნენ იმ მიზნის მიღწევას, რომელიც საერთოა პოლიტიკისთვის და რიტორიკისთვის და რომელსაც აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა ჰქვია.

გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ინტელექტუალური ინტერესი ენასა და პოლიტიკას შორის კავშირის შესახებ ასევე ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს და მას შემდეგ ყველა თანხმდება იმაზე, რომ პოლიტიკური ქცევა დიდწილად დამოკიდებულია ენის გამოყენებაზე.

პოლიტიკურ დისკურსს აქტიურად ვაწყდებით ჩვენს ყოველდღიურობაში, იგი ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში და განსაზღვრავს სოციუმის ცხოვრების დონეს. (Kampf, 2015:1)

თავად ტერმინი „პოლიტიკური დისკურსი“ ცხადყოფს, რომ ის აერთიანებს ორ დისციპლინას, ლინგვისტიკასა და პოლიტიკურ მეცნიერებას. იგი სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების ახალგაზრდა, ქვე-დისციპლინას წარმოადგენს. პოლიტიკა ძალიან გავს ბრძოლას ძალაუფლებისთვის. ნებისმიერი ძალაუფლება კი გამოიხატება ენობრივი ნიშნების მეშვეობით, რადგანაც პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა კოდიფიცირებული ნიშნები, რომლებიც აქტუალიზდებიან წარმოთქმის პროცესში.

ენასა და პოლიტიკას შორის კავშირზე საუბრობს არისტოტელეც ნაშრომში - „პოლიტიკა“. მისი თქმით, პოლიტიკის დანიშნულებაა საზოგადოების გაბედნიერება, რაშიც შეუამავლის როლი ენას, როგორც კომუნიკაციის იარაღს აკისრია. პოლიტიკოსისთვის, როგორც ორატორისთვის, მსმენელის მანიპულირება შეუძლებელია შესაფერისი ენობრივი უნარ-ჩვევების ქონის გარეშე.

ენისა და პოლიტიკის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაღვივდა XX საუკუნეში, რაც ორმა ფაქტორმა გამოიწვია. პირველი ფაქტორი გახლდათ ლინგვისტიკის თვალსაწიერის გაფართოება, კერძოდ კი, ლინგვისტიკის დაინტერესება წინადადებაზე უფრო დიდი ერთეულებით, როგორცაა მაგალითად კონტექსტი და ენობრივი ფუნქციები. მეორე ფაქტორი კი გახლდათ ენაზე დაკვირვება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჭრილში, იმაზე დაყრდნობით, რომ ენა არ არის უბრალოდ ინფორმაციის გადამცემი საშუალება, არამედ გაცილებით უფრო დიდი ფენომენია, რომელიც თავის თავში აერთიანებს კულტურას, იდეოლოგიას, სოციუმს, პოლიტიკას ა.შ. (Kampf, 2015:4).

პოლიტიკური მეცნიერება დაინტერესებულია ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად მიღებული შედეგით, იმ პოლიტიკური რეალობით რომელიც დადგა დისკურსის მეშვეობით. ლინგვისტიკისთვის კი საინტერესოა ის ლინგვისტური ერთეულები, რომლითაც მიღწეულ იქნა ესა თუ ის პოლიტიკური მიზანი.

ენა არის გარკვეული დანიშნულების მქონე ერთეული, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ასრულებს სოციო-პოლიტიკურ მიზნებს. ლინგვისტური ფორმების არჩევა არ არის არბიტრარული, არამედ, ფუნციურად განპირობებული.

პ. ჩილტონის თანახმად: “Politics is accomplished by individuals, it is a form of life. It is seen as a set of discursive practices that do political work” - პოლიტიკა ხორციელდება ადამიანების მეშვეობით, ეს არის ცხოვრების სტილი. ის წარმოადგენს დისკურსული პრაქტიკის ნაკრებს, რომლითაც სრულდება პოლიტიკური საქმე. (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Chilton, 2022: 24)

მ. ალავიძე თავის ნაშრომში „The Use of Pronouns in Political Discourse” (ნაცვალსახელების გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში) ამბობს, რომ პოლიტიკური დისკურსის შესწავლა საზოგადოების დაკვეთაა. მის მიმართ ინტერესის გაზრდაში დიდი როლი შეასრულა პოლიტიკური ტექსტების მქონე მედია საშუალებებმა. ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც საუბარი დაიწყო პოლიტიკური დისკურსის შესახებ იყო პ. ლასლეტი და მისი პოლიტიკური შინაარსის მქონე ესეების კრებული. (Alavidze, 2007:1)

მოგეხსენებათ, XX საუკუნეში ასპარეზზე გამოდის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენა ადამიანის გონის განუყოფელი ნაწილია. ამგვარად, ენა განიხილება არა როგორც ადამიანის მენტალური უნარ-ჩვევებისგან ცალკე მდგომი ერთეული, არამედ ამ მენტალური შესაძლებლობების თანმხლები ფენომენი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კოგნიტური რევოლუცია, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ჯ. ლაკოფს, ჩ. ფილმორს, რ. ლანგაკერს, მ. ჯონსონს, მ. ტერნერს ა.შ. პარალელურად კი, კოგნიტურმა მეცნიერებამ თავისდაუნებურად გამოიკვლია სოციალური ინტელექტი, კომუნიკაციის ბუნება და ენის განვითარება.

რაც შეეხება ენისადმი, როგორც საჯარო კომუნიკაციის იარაღისადმი ინტერესს, აქტიურად ვხვდებით ევროპაში, კერძოდ კი, ფრანკფურტის სკოლასა და კრიტიკული თეორიის წარმომადგენლებში: ბ. უორფი, თ. ადორნო, ჰ. მარკუზე, ი. ჰაბერმასი, ს. ჰოლი, ბორდო ა.შ. სწორედ ამ ადამიანებმა დააკავშირეს ყველაზე მეტად ერთმანეთთან ენა, კულტურა და პოლიტიკა. (Chilton, 2004:1)

პოლიტიკა გამოირჩევა საჯაროობით, ერთხაზოვანი მიმართულებით მოსაუბრიდან მსმენელისკენ, არასტაბილური და არაერთგვაროვანი აუდიტორიით და თანამედროვე ეპოქის ფუნქციონირებისთვის მთავარ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

დღევანდელ პოლიტიკურ არენაზე, ენა ძალაუფლების დემოსტრირების საუკეთესო საშუალებაა, მას სოციალური ძალაუფლების იარაღსაც კი უწოდებენ “Tool of Social Power” (Polyakova, 2020:28).

დ. რისკედაჰლი პოლიტიკას საჯარო სივრცეში ძალაუფლების ფორმალურ გამოხატულებას უწოდებს. ავტორი ასხვავებს პოლიტიკური დისკურსის როგორც ზეპირ, ისე წერით ფორმას და ასახელებს მის ნაირსახეობებს: პოლიტიკური გამოსვლები, პოლიტიკური შინაარსის ბროშურები და განცხადებები, გრაფიტი, მულტფილმები, დებატები, საპროტესტო აქციებზე წარმოთქმული საჯარო სიტყვები ა.შ. (Riskedahl, 2018:1).

ჰ. ჩილტონი პოლიტიკას ახასიათებს არა მხოლოდ როგორც ბრძოლას ძალაუფლებისთვის, არამედ, როგორც თანამშრომლობას, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაზე. ამ პრობლემების გადაჭრა კი ცივილური გზით მხოლოდ კომუნიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი.

‘Politics involves reconciling differences through discussion and persuasion. Communication is therefore central to politics’- პოლიტიკა გულისხმობს კონფლიქტური სიტუაციების განეიტრალებას დისკუსიისა და დარწმუნების გზით. ამიტომ, კომუნიკაცია პოლიტიკის ბირთვს წარმოადგენს. (თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Chilton: 2004:3)

პოლიტიკა ასახავს არა მხოლოდ სოციალურ რეალობას, არამედ, თავად წარმოადგენს სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც უწყვეტი პოლიტიკური პროცესების შედეგად წარმოიქმნება. (Jørgensen, 2002:36)

სტატიაში „Ukrainian Institutional Political Discourse in a Communicative–Cognitive Aspect“ (უკრაინული ინსტიტუციური პოლიტიკური დისკურსის კომუნიკაციურ-კოგნიტური ასპექტი), მკვლევარი წერს, რომ პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკური კომუნიკაციის კონკრეტული გამოხატულება, სადაც ადგილი აქვს პოლიტიკური ტექსტის აქტუალიზაციას ისეთი კომუნიკაციური აქტივობის პროცესში, როგორც არის ინტერაქცია პოლიტიკურ სუბიექტსა (პოლიტიკოსი, პოლიტიკური ძალაუფლება) და პოლიტიკურ ობიექტს (აუდიტორია, ამომრჩეველი) შორის. (Golubovskaya, 2022 : 31).

პ. ჩილტონის ნაშრომში “Analysing Political discourse” (პოლიტიკური დისკურსის ანალიზი), ვკითხულობთ, რომ არისტოტელესთვის ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, რომელიც ენას იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა უკვე დიდი ხანია მოქცეულია ლინგვისტიკის ლუპის ქვეშ. არისტოტელე ერთმანეთისგან გამოყოფს მეტყველებას (speech) და ხმას (voice). ხმას გამოსცემს ცხოველი ტკივილისა თუ სიამოვნების გამოსახატად. მეტყველების მეშვეობით კი ადამიანმა შეიძლება ერთმანეთისგან განასხვავოს კარგი და ცუდი, სამართლიანობა და უსამართლობა ანუ ადამიანს აქვს ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენების აღქმის, ანალიზისა და შემდგომ მათი ენობრივ დონეზე გადმოცემის უნარი. არისტოტელეს თქმით, პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნის მსგავსი პერცეფციებისა და შეხედულებების მქონე ინდივიდები. მეტყველება, როგორც ადამიანის თანდაყოლილი ინსტიქტი, იძენს ფუნქციას, რომ ერთმანეთისგან გამიჯნოს ავი თუ კარგი ადამიანთა ამ დაჯგუფებაში არსებულ საერთო იდეოლოგიაზე დაყრდობით. (Chilton, 2004:5).

ადამიანის მიდრეკილება მეტყველებისადმი გენეტიკურად არის განპირობებული, რომელიც აქტიურდება სოციალურ გარემოში. დღემდე დავის საგანია, მეტყველება ბუნებრივად ვითარდება როგორც გენეტიკურად მოტივირებული ფენომენი თუ როგორც სოციალური ინტელექტის ნაწილი.

არისტოტელეს შეხედულებით ენა ვითარდება იმ მიზნით, რომ შეასრულოს სოციალური ხასიათის მქონე ფუნქცია, რომელსაც შეიძლება პოლიტიკური ფუნქციაც ვუწოდოთ (Chilton, 2004:3).

ნ. კირვალიძე, თავის ნაშრომში „პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი“, პოლიტიკური დისკურსის ფართო და ვიწრო გაგებას გვთავაზობს.

ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება, როგორც პუბლიცისტური სფეროს ენა. ნ. კირვალიძეს მაგალითად მოჰყავს ლანდშერის ნაშრომში „The political rhetoric of United Europe“ (ევროპის პოლიტიკური რიტორიკა) გამოთქმული მოსაზრება, რომ ვინაიდან პრაქტიკულად ყველა საჯარო გამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა აქვს, პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განხილულ იქნეს პუბლიცისტურ ენად, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის ვიწრო, ვან დეიკისეულ ინტერპრეტაციას, პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება აქვს. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი პოლიტიკოსების დისკურსია და თუ მას მოვაქცევთ პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად. (Van Dijk 1998:124). ეს კი ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტიტუციო გარემოში, როგორცაა სამთავრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პოლიტიკური პარტიის ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკური დებატები და სხვა. ანუ სიტუაციები, სადაც მეტყველი სუბიექტის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის ამპლუაში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში.

ნ. კირვალიძე პოლიტიკურ დისკურსს განიხილავს როგორც ტექსტის საშუალებით განხორციელებულ ინტერსუბიექტურ და ინტერაქციულ ქმედებას, რომლის მთავარი დანიშნულებაცაა, ბრძოლა ძალაუფლებისთვის საზოგადოებრივი

აზროვნების ვერბალური მანიპულირების გზით. „დისკურსის თეორიაში“ კი ინტერქაციულობა გულისხმობს კომუნიკანტთა თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, მაშინ როცა ინტერსუბიექტურობა გაიგება, როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (Макаров 2003:39). პოლიტიკური დისკურსი სხვადასხვა ინტენციონალურ-ოლოკუციური ძალით იმართება და სიტუაციურობიდან გამომდინარე ირჩევს თავის სამიზნეობიექტს, იქნება ეს გარკვეული სოციალური ჯგუფები თუ კონკრეტული პირები. (კირვალიძე, 2009:112)

ავტორის თქმით, პოლიტიკური ენა პროპაგანდისტული ხასიათისაა. ამის დასტურად მას მოჰყავს ავსტრიელი ლინგვისტის ვოდაკის სიტყვები, რომლის თანახმადაც, პოლიტიკური ენა თითქოსდა ორ პოლუსს შორის იმყოფება. ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს ფუნქციურად განპირობებულ სპეციალურ ენას, ხოლო მეორე მხრივ გარკვეული იდეოლოგიის მქონე ჯგუფის ჟარგონს, რის გამოც პოლიტიკურ ენას ეკისრება ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქციების შესრულება: იგი უნდა იყოს გასაგები ფართო მასებისთვის და ამავდროულად, უნდა შეეძლოს ორიენტირება გარკვეულ სოციალურ ჯგუფზე (Wodak, 1989:138).

აქვე ვკითხულობთ, რომ პოლიტიკოსის დისკურსი შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის: ინფორმაციული, ფატიკურ-კონვენციური, ემოციურ-ექსპრესიული. პოლიტიკური დისკურსი ინფორმაციულია, თუკი იგი ორიენტირებულია სიახლეზე. ფატიკურ-კონვენციურია, თუკი იგი სტერეოტიპული და რიტუალური ხასიათისაა და არ არის ორიენტირებული ახალი ინფორმაციის მიწოდებაზე (პრეზიდენტის სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე) და ემოციურ-ექსპრესიულია, თუკი მისი დანიშნულებაა მასებზე ზეგავლენის მოხდენა (მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიები). ემოციურ-ექსპრესიულობას დიდწილად განაპირობებს ფიგურალური ენის გამოყენება. პოლიტიკოსები ენის ფიგურალურ გამოყენებას განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში მიმართავენ, რათა შეძლონ აუდიტორიის მართვა მათ საკეთილდღეოდ. (კირვალიძე, 2009:2013)

პოლიტიკური დისკურსი ყოველთვის გათვლილია ორმაგ აუდიტორიაზე: კონკრეტულ საზოგადოებაზე, რომელიც უშუალოდ ესწრება დისკურსს და ე.წ.

„იმპლიცირებულ აუდიტორიაზე“, რომლის მიღმა ხალხის ფართო მასები, ზოგჯერ კი მთელი ქვეყნის მოსახლეობა მოიხრება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მედიის როლი პოლიტიკურ დისკურსში. დისკურსის არცერთი ჟანრობრივ-ფუნქციური ტიპი არ არის იმდენად დამოკიდებული მასმედიაზე, როგორც პოლიტიკური დისკურსი. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მედია წარმოადგენს მასებზე ზემოქმედების მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც მედიატორის როლში გვევლინება პოლიტიკურ სუბიექტსა და ხალხს შორის.

ვინაიდან, პოლიტიკური დისკურსი ხასიათდება მრავალფეროვანი ლინგვოსემიოტიკური ბუნებით, ლინგვისტურ ლიტერატურაში გამოყოფენ მის რამდენიმე სახეს: საზოგადოებრივ-ინსტიტუციონალურს, ინტერინსტიტუციონალურს, დისკურსს პოლიტიკურ ინსტიტუტსა და მოქალაქეს შორის. (კირვალიძე, 2009:114).

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ისეთი ცნებები, როგორცაა პოლიტიკის ენა და პოლიტიკური/პოლიტიზებული ენა. ხ. მაისაშვილი, მეთოდურ სახელმძღვანელოში „პოლიტიკური დისკურსის კონტენტანალიზი“ გვთავაზობს ამ ორი ცნების დიფერენციაციას ე. დეივისის თეორიაზე დაყრდნობით.

ცნებაში „პოლიტიკის ენა“ იგულისხმება პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და რიტორიკა. იმ საქმიანობის, რომელშიც პოლიტიკოსები თავიანთ პროფესიულ ამპლუაში გამოდიან. რაც შეეხება „პოლიტიკურ/პოლიტიზირებულ ენას“, იგი არ შედის პროფესიონალი პოლიტიკოსების ან სახელმწიფო მოხელეების პრეროგატივაში. ის შეიძლება გამოიყენოს კონკრეტული ენის ყველა მატარებელმა, ენობრივი თანამეგობრობის ყველა წევრმა. პოლიტიზებული ენა სხვა არაფერია თუ არა, ზოგადი ენის სპეციფიკური მიზნით გამოყენება - კერძოდ, როგორც დარწმუნებისა და მანიპულაციის ეფექტური საშუალება. (მაისაშვილი, 2016:5)

ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე პოლიტიკური ენა გულისხმობს უშუალო კომუნიკაციას პოლიტიკურ თემებზე, თუმცა, ფართო გაგებით მას აგრეთვე განიხილავენ როგორც საჯარო კომუნიკაციას, რომელიც გულისხმობს საჯარო თუ

პირადი ხასიათის საუბრებს პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ა. ბურკჰარდი, რომლის სახელსაც უკავშირდება ცნება „პოლიტოლინგვისტიკა“, პოლიტიკურ ენას ახასიათებს როგორც ერთგვარ ზე-ცნებას, რომელიც აერთიანებს „საჯარო, ინსტიტუციონალური და კერძო საუბრების ყველა სახეობას პოლიტიკის თემაზე, პოლიტიკური შინაარსის ტექსტების ყველა სახეობას და ასევე ლექსიკურ-სტილისტიკური ენობრივი საშუალებების გამოყენების ყველა იმ ხერხს, რაც ტიპობრივია პოლიტიკურ კონტექსტებზე საუბრისას“. პოლიტიკის ენას ახასიათებს მეტაფორების სიმრავლე, რიტორიკული ფიგურების ხშირი გამოყენება, მეტყველების პათეტიკური მანერა, დისკურსულობა (Burkhardt 1996: 79) (გოგელია, 2020:52).

რადგანაც პოლიტიკური დისკურსი უმეტესად მსმენელის დარწმუნებასა და მასებზე ზემოქმედებისკენ არის მიმართული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ექსპლიციტურად მკვეთრად მარკირებულია. მისი ავტორი პოლიტიკოსი, ერთი მხრივ, ცდილობს საკუთარი თავი ამომრჩეველთან იდეოლოგიურად ახლოს მყოფად წარმოაჩინოს, მეორე მხრივ კი – იგი საკუთარი კომპეტენტურობის ხაზგასასმელად და მსმენელის ნდობის მოსაპოვებლად გარკვეულ დისტანცირებასაც ახდენს. ამ ერთგვარად ურთიერთსაპირისპირო გზით პოლიტიკოსმა უნდა შეძლოს ზეგავლენა მოახდინოს განსხვავებული ასაკის, სქესის, ეთნოსის, რელიგიისა თუ შეხედულებების მქონე აუდიტორიაზე <https://www.alia.ge/ratom-iqheneben-andazebs-politikosebi/>

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური დისკურსი მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნებაა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციო-კულტურული ნიშნების ერთობლიობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს რიტორიკა, როგორც კარგად თქმის მეცნიერება (Bene Disendi Scientia). მისი ეფექტურობის ინდექსი გაცილებით მაღალი იქნება, თუკი მას დაემატება ტრაბახი, როგორც კიდევ ერთი ლინგვისტური მანიპულაციური ხრიკი მსგავსად ზემოთ ნახსენები სლოგანურობისა, ფიგურალური ენის გამოყენებისა, პოლემიკურობისა თუ კომუნიკაციურ-პრაგმატულ სტრატეგიისა. უფრო მეტიც, ტრაბახს, როგორც ქოლგა ტერმინს, ძალუმს თავის თავში გააერთიანოს ყველა ეს ლინგვისტური ტექნიკა, თავად იყოს თავისი გამოხატულებით სლოგანურიც,

ფიგურალურიც, პოლემიკურიც და თავად წარმოადგენდეს კომუნიკაციურ-პრაგმატულ სტრატეგიას.

1.3. პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები

პოლიტიკური დისკურსი ვერ იქნებოდა ფართო მასებზე ზეგავლენის მოხდენის ეფექტური საშუალება, რომ არა ის ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკური დისკურსის ეკოსისტემას. განვიხილოთ, რომელია ის ლინგვი-სტილისტური მახასიათებლები, რომლებიც პოლიტიკურ დისკურსს ეხმარება საზოგადოების კოლექტიური ცნობიერების მანიპულირებაში, აუდიტორიისგან კეთილგანწყობილების მოპოვებასა თუ მაღალი ინტელექტუალური და მორალური შესაძლებლობების დემონსტრირებაში. რომ არა კარგად ნაცადი ლინგვისტური „ხრიკები“, პოლიტიკური აქტორი ვერ შეძლებდა სათქმელის მოდულაციას, სიტუაციურობასთან ადაპტირებას, ნაცნობი თუ უცნობი სუბიექტებისადმი შესაფერისი კომუნიკაციური ხიდის აგებას, რთულისა და მარტივის, სადაოსა და უეჭველის, აბსტრაქტულისა და კონკრეტულის, სერიოზულისა და სახალისოს მოხდენილად გადმოცემას. (ფორჩხიძე, 2018: 31)

ნ. მსახურაძესთან ვკითხულობთ, რომ პოლიტიკურ დისკურსში ხშირად გამოიყენება სიტყვის დენოტატური და კონოტაციური მნიშვნელობები, ალუზიები, პარალელიზმი და გამეორებები, ხატოვანი ენა, ემოციური ლექსიკა. მსმენელზე ექსპრესიულ-ემოციური და ფატიკური ზეგავლენის მოხდენის მიზნით, პოლიტიკოსებს ახასიათებთ ზედსართავი სახელების გადაჭარბებული რაოდენობით გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს მოდალური ზმნებისა და დეიქსისების გამოყენების სიჭარბეც. ეს ის ლინგვისტური მექანიზმებია, რომლებიც მსმენელს მანიპულირების ქვეშ აქცევს და წარმართავს სასურველი მიმართულებით. (მსახურაძე, 2013:28)

პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელია პოლემიკურობა, რაც ძალიან ხშირად ემსგავსება სიტყვების ომს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია წინასაარჩევნოდ გამართულ დებატებში, როდესაც დაპირისპირება საბრძოლო

ველიდან გადადის პოლიტიკურ სცენაზე, სადაც ადგილი აქვს საკუთარი პოლიტიკური იდეების პროპაგანდას და მის ფიქსაციას ადრესატის ცნობიერებაში, რითაც ერთდროულად ხდება ამ უკანასკნელის მხარდაჭერის მოპოვება და პოლიტიკური მეტოქის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების პროვოცირება.

სლოგანურობაც, რომელიც თავისებურ სოციალურ-პოლიტიკურ რეკლამად შეიძლება ჩაითვალოს, პოლიტიკური დისკურსის განუყოფელი ნაწილია. განსხვავებით კომერციული რეკლამისგან, რომლის ფუნქციაა საზოგადოების მიდევლობითი აქტივობის სტიმულირება ინფორმირების გზით, პოლიტიკური სლოგანი ორიენტირებულია მათი პოლიტიკური მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მეშვეობით მოახდინონ სოციუმში ოდეოლოგიური ურთიერთობების დალაგება.

აგრეთვე, პოლიტიკური ენისთვის დამახასიათებელია კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სტრატეგია, რომელიც მიზნობრივად ემსახურება არასასურველი ინფორმაციის განეიტრალება-შენიღვას; საჭიროების შემთხვევაში მასებში დაბნეულობისა და შიშის შეგნებულად გამოწვევას; დეპერსონალიზაციას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად; საკუთარი რეიტინგის გადარჩენას; დისკურსის მსვლელობისას კონფლიქტის თავიდან აცილებას. (კირვალიძე, 2009:2013)

პოლიტიკურ დისკურსს სხვა დისკურსებისგან განასხვავებს შემფასებლობა და აგრესიულობა. დომინირებს მოწოდების დეკლამატორული სტილი, პროპაგანდისტული ტრიუმფალიზმი, ყველაფერი იმის იდეოლოგიზაცია, რის შესახებაც არის საუბარი, გადაჭარბებული აბსტრაქცია და მოჩვენებითი მეცნიერულობა, გაზრდილი კრიტიკულობა და ლოზუნგურობა, მიდრეკილება ფიცისადმი, აგიტატორული მგზნებარება, პარტიულობის ფორმალიზმი, პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე. (მსახურაძე, 2013:36)

იმისათვის, რომ პოლიტიკოსები რაც შეიძლება მომზადებულები გამოჩნდნენ მსმენელის თვალში და მათი გამოსვლაც უფრო შთამბეჭდავი იყოს, გადაჭარბებული რაოდენობით შეუძლიათ გამოიყენონ რიცხვები. თუ პოლიტიკოსი საუბრობს სტატისტიკის ენით, რიცხვებით, მისი საუბარი უფრო დამაჯერებლად ჟღერს.

მაგალითად, გიორგი ამილახვარი - განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს:

„ოთხჯერ გაზრდილია განათლების ბიუჯეტი ჩვენი მმართველობის პირობებში და ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ჩვენი ხელისუფლების პირობებში 181 სკოლა აშენდა, რეაბილიტირდა 270 და ნაწილობრივი რებილიტაცია ჩაუტარდა 1800 სკოლას. ეს არი კონკრეტული ციფრი, კონკრეტული ფაქტები, კონკრეტული შედეგები“. <https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/515696913326569>

აგრეთვე, პოლიტიკური გამოსვლებისთვის დამახასიათებელია მიმართვის პირდაპირი ფორმის გამოყენება. გარდა იმისა, რომ ამ გზით მსმენელი უშუალოდ ხდება მიმდინარე პროცესის თანამონაწილე, იმატებს ემპათიური, პატრიოტული დამოკიდებულება, მოსაუბრე თითქოსდა ხდება ანგარიშვალდებული მსმენელის წინაშე, რომ შეასრულოს თავისი დანაპირები.

‘Ladies and Gentlemen!; My Lords! Mr. Chairman! Honorable Members! Highly esteemed members of the conference! Dear Friends! My Friends!’ (ქალბატონებო და ბატონებო, ჩემო ბატონებო, პატივცემულო წევრებო, ჩემო მეგობრებო ა.შ.)

გენერალ კოლინ პაუელის სიტყვით გამოსვლა გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე: ‘Mr. President, Mr. Secretary General, distinguished colleagues, I would like to begin by expressing my thanks for the special effort that each of you made to be here today’ (ბ-ნო პრეზიდენტო, გენერალურო მდივანო, პატივცემულო კოლეგებო, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ დღეს თქვენ აქ ხართ). (Shavladze, 2017: 61)

პოლიტიკური გამოსვლა მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო დიალოგური ხასიათისაა იგი. ამგვარი ფორმით მომხსენებელსა და მსმენელს შორის უფრო ფამილარული და მეგობრული გარემო წარმოიქმნება. ბუნებრივია, პირდაპირი მნიშვნელობით დიალოგური ბუნების ვერ იქნება საჯარო გამოსვლა, ამიტომ, ასეთ დროს მხოლოდ პოლიტიკოსები სვამენ კითხვებს თითქოსდა მსმენელისგან საპასუხო რეაქციის მოლოდინში ან უფორ მეტიც, თავად სცემენ ამ კითხვებს პასუხს.

აღნიშნული აზრის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ჯორჯ ჰერბერტ ვოლკერ ბუმის წინა საარჩევნო დეკატებიდან ამონარიდი:

Now, let me pose this question to America. If in the next 5 minutes a television announcer came on and said, there is a major international crisis -- there is a major threat to the world or in this country a major threat -- my question is, who, if you were appointed to name 1 of the 3 of us, who would you choose? Who has the perseverance, the character, the integrity, the maturity, to get the job done? I hope I'm that person. (ნება მომეცით ერთი კითხვა დავუსვა ამერიკას. დავუშვათ მომდევნო 5 წუთში ტელევიზიის დირექტორი შემოვდის ეთერში და ამბობს რომ მთელს მსოფლიოში დიდი კრიზისი და საფრთხის ქვეშ დგება ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაც - ჩემი კითხვაა, ვის აირჩევდით ჩვენ სამიდან ამ კრიზისთან გასამკლავებლად? ჩვენს შორის ვის უფრო მეტად ახასიათებს სიმტკიცე, სიბრძნე, კეთილსინდისიერება? ვიმედოვნებ, რომ თქვენს თვალში ასეთი ადამიანი სწორედ მე ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) <https://www.c-span.org/video/?33137-1/presidential-candidates-debate>

გამეორება - ადამიანის მეხსიერებით მანიპულირების კარგი იარაღია პოლიტიკოსებისთვის. აღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ამონარიდი დოლანდ ტრამპის 2015 წლის 16 ივნისის სიტყვით გამოსვლიდან: 'Now, our country needs — our country needs a truly great leader, and we need a truly great leader now. We need a leader that wrote —The Art of the Deal. We need a leader that can bring back our jobs, can bring back our manufacturing, can bring back our military, can take care of our vets. Our vets have been abandoned. And we also need a cheerleader.' (ამჟამად, ჩვენს ქვეყანას ჭირდება-ღირსეული ლიდერი, ჩვენ გვჭირდება ნამდვილი ლიდერი. ჩვენ გვჭირდება ლიდერი, რომელმაც დაწერა „გარიგების ხელოვნება“. ჩვენ გვჭირდება ლიდერი, რომელიც აღადგენს სამუშაო ადგილებს, მრეწველობას, სამხედრო ძალას, იზრუნებს ვეტერანებზე. ჩვენი ვეტერანები უგულებელყოფილი არიან. ჩვენ გვჭირდება კარგი გულშემატკივარი“). (Shavladze, 2017: 63)

ეს იმ ლინგვისტურ მანიპულაციათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ქმნიან პოლიტიკური დისკურსის მრავალფეროვან ეკოსისტემას. მათი გამოყენება უსათუოდ განაპირობებს პოლიტიკური გამოსვლის უნიკალურობას ქაოტურ პოლიტიკურ არენაზე, ზეგავლენას ახდენს საერთო ლინგვისტური მარკერების მქონე სოციუმზე, მათი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, სასურველი პოლიტიკური შედეგის მიღწევაზე.

თავი 2. ტრაზახი, როგორც რთული ფსიქოლოგიური ფენომენი

2.1. ტრაზახის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და სახესხვაობები

ტრაზახი თვითგამოხატვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა თანამედროვე, მაღალ კონკურენტუნარიან ეპოქაში. მას ვხვდებით ყველგან და ყველასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრაზახს არ გააჩნია ასაკი, სქესი, ეთნიკურობა, სოციალური სტატუსი, რელიგიური მრწამსი თუ პროფესია. თითოეული ჩვენგანი ტრაზახობს გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, განსხვავდება მხოლოდ მათი გამოხატვის ფორმა და ინტენსიურობა ენობრივ დონეზე. ზოგის ტრაზახი ძალიან აშკარა და თვალსაჩინოა, ზოგის კი შენიღბული და არაპირდაპირი. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან თუ საუბრის რომელ სტრატეგიას ირჩევს მოსაუბრე, განსხვავდება მსმენელზე ზეგავლენის მოხდენისა და სასურველი შედეგის მიღების ეფექტურობის კოეფიციენტი.

საინტერესოა, სიტყვის „ტრაზახი“ როგორ განმარტებებს ვხვდებით ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ლექსიკონებში, რა სახელდება მის მაპროვოცირებელ მიზეზებად, დადებითი თუ უარყოფითი ფსიქოლოგიური ფენომენია იგი, არის თუ არა ტრაზახი სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილი, გახდა თუ არა საზოგადოება უფრო ტოლერანტული ტრაზახის ფენომენის მიმართ ა.შ.

ვიდრე უშუალოდ მეცნიერთა შეხედულებებს გავეცნობოდეთ ტრაზახის შესახებ, ვნახოთ, ტრაზახის რა კლასიკური განმარტებებია მოცემული ცნობილ ლექსიკონებში.

ვებსტერის ონლაინ ლექსიკონი „ტრაზახს“ შემდეგნაირად განმარტავს: „a pompous or boastful statement“, „arrogant talk or manner“ (პომპეზური, ბაქია სტილის საუბარი; საუბრის ამპარტავნული ფორმა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ)

მაკმილანის ლექსიკონში ვკითხულობთ: ‘To talk about your achievements or possessions in a proud way that annoys other people’ (ისაუბრო საკუთარ მიღწევებსა და

მონაპოვარზე ისე, რომ ამით გარშემომყოფების გაღიზიანება გამოიწვიო; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

ლექსიკონში „ბრიტანიკა“ სიტყვა „ტრაბახი ასეა განმარტებული: “To talk about yourself, your achievements, your family, etc. in a way that shows too much pride” (გადაჭარბებული სიამაყით ისაუბრო საკუთარ თავზე, წარმატებებზე, ოჯახზე ა.შ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

კემბრიჯის ლექსიკონიც მსგავსი შინაარსის განმარტებას გვთავაზობს: “To speak too proudly about what you have done or what you own” (სიამაყით ისაუბრო შენს ნამოქმედარსა და ნამოღვაწარზე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

კოლინსის ლექსიკონში არსებული განმარტებაც მსგავსია, მხოლოდ, განსხვავებული სიტყვათა წყობით არის წარმოდგენილი: „If you brag, you say in a very proud way that you have something or have done something” (თუკი ტრაბახობ, მაშინ, სიამაყით უსვამ ხაზს იმას, რაც გაბადია და რაც აქამდე გიკეთებია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

თავისუფალი ლექსიკონის თანახმად (thefreedictionary.com): „To talk or write about oneself in a proud or self-impressed way” (საკუთარი შესაძლებლობებით აღტაცებულმა სიამაყით ისაუბრო ან წერო საკუთარ თავზე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

როგორც ვხედავთ, ინგლისურენოვან ლექსიკონებში წარმოდგენილი სიტყვის „ტრაბახი“ განმარტებები თითქმის იდენტურია. ამ განმარტებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტრაბახი უარყოფითი ფენომენი უფროა, ვიდრე დადებითი.

უდავოა, ტრაბახი საკმაოდ რისკის შემცველი პროცესია, რადგან არ ვიცით როგორ მიიღებს მას აუდიტორია. სტატიაში „ტრაბახის ავტომატური გამოვლინება და კლასიფიკაცია სოციალურ მედიაში“ (Automatic Identification and Classification of Bragging in Social Media) წარმოდგენილი თავაზიანობის თეორიიდან გამომდინარე (politeness theory) თუ ვიმსჯელებთ, ტრაბახი, საფრთხის ქვეშ აყენებს მოსაუბრის განზრახვას, საზოგადებისგან მოწონება და დადებითი დამოკიდებულება დაიმსახუროს (positive face). უფრო მეტიც, ტრაბახი წინააღმდეგობაში მოდის

თავაზიანობის კლასიკურ თეორიასთან, კერძოდ კი, თავმდაბლობის/თვით დაკნინების (modesty maxim, self-denigration maxim) მაქსიმებთან. (Jin, 2022:2)

დაისმის კითხვა, თუ ასეთი უარყოფითი ფენომენია ტრაბახი, მაშინ, რატომ ვტრაბახობთ ადამიანები ან საერთოდ საიდან იღებს იგი სათავეს? ევოლუციურ ბიოლოგიას და მათ წარმომადგენლებს თუ დავეყრდნობით, ტრაბახი ბუნებრივი გადარჩევის, როგორც მთავარი ევოლუციური პროცესის შედეგია, სადაც ინდივიდები გამუდმებით ცდილობენ თავიანთი უპირატესობების დემონსტრირებას და ამ უპირატესობებით მათთვის სასურველი პიროვნების მონუსხვას ან სულაც პოტენციური კონკურენტის დაჩრდილვას და მისი ადგილის დაკავებას. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ტრაბახით შესაძლებელია ერთდროულად ორმაგი მოქმედების შესრულება, მოხიბლო ადამიანი, რომლის მიმართაც სიმპათიით ხარ განმსჭვალული და დააშინო/დააფრთხო ადამიანი, რომელიც შენს პოტენციურ მეტოქედ გეველინება.

ს. კრაუს ვითბურნი psychologytoday.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში „Bragging: When Is It OK and When Is It Not OK?“ (როდის არის ტრაბახი მიზანშეწონილი და როდის არა?) ამბობს: “Almost no one likes a show-off but almost everyone likes to show off, at least a little“ (თითქმის არავის უყვარს ბაქია ადამიანი, მაგრამ ყველას უყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა ცოტათი მაინც; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ავტორი ხაზს უსვამს, რომ თუკი ადამიანებს ვკითხავთ აზრს ტრაბახის შესახებ, მათი უმეტესობა უარყოფითად დაახასიათებს მას, თუმცა, საკუთარი თავი ყველას ძალიან მოსწონს ტრაბახის პროცესში. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზოგიერთი ტრაბახობს შემთხვევით და გაუაზრებლად, ზოგიც გამიზნულად და გააზრებულად. ს. კრაუს ვითბურნი ასევე დასძენს: “The best way to brag about yourself to others is probably not to brag at all. Let other people do the bragging for you” (ტრაბახის ყველაზე ეფექტური ფორმა არის ის, თუ საერთოდ არ იტრაბახებ. დაე, სხვებმა იტრაბახონ შენით; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). <https://www.psychologytoday.com/intl/blog/fulfillment-any-age/201207/bragging-when-is-it-ok-and-when-is-it-not-ok>

ბაქიაობა განსაკუთრებით ბავშვებს ახასიათებთ. ნ. ვედმეშის მიერ psihomed.com-ზე გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ტრაბახი სწორედ ღრმა

ბავშობიდან იღებს სათავეს. ბავშვობა ხომ პირველი აღმოჩენების და მიღწევების პერიოდია. მცირეწლოვანი ბავშვების სწრაფვა იმისკენ, რომ იყონ საუკეთესონი და ამით უფროსების კეთილგანწყობა დაიმსახურონ, მათში ინსტინქტურ დონეზეა განვითარებული. ის, რაც ზრდასრული ადამიანისთვის უკვე ნორმად არის მიღებული, ბავშვისთვის ჯერ კიდევ ამოუცნობი ფენომენია, ამიტომაც, რაიმეს ამოცნობისთანავე ცდილობენ სიახლე სხვებს გაუზიარონ და ახლად შეძენილი უნარების დემონსტრირება მოახდინონ უფროსებთან. ბავშვობის ხანაში ტრავმებისადმი გამოვლენილი მიდრეკილება, ხშირ შემთხვევაში, წლების მატებასთან ერთად თან მიჰყვებათ ადამიანებს. <http://psihomed.com/hvastovstvo/>

ვოლსტრიტის სამეცნიერო ჟურნალში, რ. ლი ჰოთზის მიერ გამოქვეყნებული სტატიის „მეცნიერება ფარდას ხდის რატომ ვტარბახობთ ადამიანები“ (Science reveals why we brag so much) თანახმად, ადამიანთა კომუნიკაციის 40% გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად საკუთარ თავზე საუბარს ეთმობა. 2015 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის ნევრომეცნიერთა გუნდმა ჩაატარა ექსპერიმენტი სამიზნე აუდიტორიაზე ფუქციონალურ მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით (fMRI), რათა დაედგინათ თუ რა ხდება ტრავმის დროს ტვინის უჯრედებისა და სინაფსის დონეზე, რაც თავისმხრივ პასუხს ცემს კითხვას თუ რატომ ტრავმობს ადამიანი. უფრო ზუსტად კი, მათ შეისწავლეს თუ როგორ იცვლება სისხლის ნაკადი ნეირონებს შორის და ყველაზე მეტად ტვინის რომელი ნაწილები აქტიურდება ისეთი მენტალური აქტივობის დროს, როგორცაა ტრავმა. კვლევის შედეგად დადგინდა ის, რომ საკუთარ თავზე საუბრისას, ადამიანში აქტიურდება მეზოლიმბური დოფამინური სისტემა. ეს კი სწორედ ის სისტემაა, რომელიც როგორც წესი მაშინ აქტიურდება, როცა ადამიანი განიცდის სიამოვნების და კმაყოფილების გრძნობას, ისევე როგორც ჭამის, ფულის გამომუშავების, სექსუალური ურთიერთობის შემდგომ. ანუ, ამ ექსპერიმენტის თანახმად, ტრავმის პროცესი ისეთივე სიამოვნების მომტანია ადამიანისთვის, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტივობები. ალბათ, სწორედ ამიტომაც, რომ ადამიანი ვერ უძლებს ცდუნებას და ძალაუნებურად ექცევა ტრავმის მარყუჟის ქვეშ.

<https://www.wsj.com/articles/SB10001424052702304451104577390392329291890>

მარკეტინგისა და ბიჰევიორისტული მეცნიერების პროფესორი ი. სკოპელიტი ასახელებს ტრაბახის მიზეზებს. მისი ზრით, ტრაბახის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გვინდა სხვებს შევახარბოთ ჩვენი წარმატებული ცხოვრება. ამასთანავე, გვსურს ამგვარი საქციელით ჩვენი **კომპლექსებისა და ნაკლოვანებების გადაფარვა**. ტრაბახზე საუბრისას, ის ასევე გამოყოფს ისეთ ფსიქოლოგიურ ფენომენს, როგორიცაა ე.წ. „ემპათიური ფანჯარა“ (Empathy gap). როდის ჩნდება „ემპათიური ფანჯარა“ ინდივიდებს შორის და რა კავშირშია იგი ტრაბახთან? „ემპათიური ფანჯარა“ ჩნდება მაშინ, როდესაც ერთი პიროვნება იმდენად კარგად გრძნობს თავს, რომ ვერ წარმოუდგენია თუ მისი მსმენელი, ამ დროს თავს შეიძლება ცუდად გრძნობდეს ან პირიქით. ი. სკოპელიტის თანახმად, ამ მოვლენას ხშირად აქვს ადგილი ტრაბახის დროს. ბაქია ადამიანი იმდენად გატაცებულია თავის მიღწევებზე საუბრით, რომ სათანადოდ ვერ აცნობიერებს რეციპიენტის მდგომარეობას, რომელსაც იმ მომენტში შეიძლება უამრავი პრობლემა ჰქონდეს და შენი ბედნიერების ამკარა დემონსტრირებამ მასში გაღიზიანება და აგრესია გამოიწვიოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბაქია ადამიანებს აქვთ გადაჭარბებული მოლოდინი, რომ სხვა არათუ მხოლოდ გაიზიარებს მათ წარმატებას, არამედ, ისინიც იამაყებენ მათი წარმატებით. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ კომუნიკანტები ღიად საუბრობენ საკუთარ თავზე და ერთი შეხედვით მათ შორის ურთიერთკავშირი იზრდება, სულაც არ არის იმის გარანტი, რომ ფსიქოლოგიური დისტანცია მათ შორის აუცილებლად შემცირდება. პირიქით, ხშირად ამას საპირისპირო შედეგი მოჰყვება ხოლმე, მათ შორის წამოიქმნება „ემპათიური ფანჯარა“, რამაც საბოლოოდ ფიასკომდე შეიძლება მიიყვანოს მათი კომუნიკაცია. https://www.youtube.com/watch?v=pNTyl_nUOV0

ტრაბახის კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისება, როგორიცაა **ნარცისიზმი და ეგოიზმი**. ასეთი ადამიანები საკუთარ თავს ხედავენ სამყაროს ცენტრში, სიამოვნებას იღებენ საკუთარ თავზე საუბრით, ძალაუფლების დემონსტრირებით. ტრაბახის მეშვეობით, ნარცისი ადამიანები ხაზს უსვამენ საკუთარი თავის გრანდიოზულობას და მათი შესაძლებლობების უპირატესობას სხვებზე.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რთულია ზღვარი გავავლოთ „სიამაყესა“ და „ტრაბახს“ შორის, ზოგიერთი მეცნიერი, ტრაბახს გადაჭარბებულ სიამაყეს უწოდებს.

მაგალითად, counsellingconnection.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში „ტრაბახის ფსიქოლოგია“ (The Psychology of Bragging), ვხვდებით ფსიქოთერაპევტ რ.ჯოლსონის მოსაზრებას, რომ სიამაყეში ცუდი არაფერია, პირიქით, საკმაოდ ჯანსაღი დამოკიდებულებაა შენი პიროვნების მიმართ და საკუთარი თავის პატივისცემაზე მიუთითებს. რაც შეეხება ტრაბახს, ეს არის გადაჭარბებული სიამაყე და შენს მიღწევებზე გაზვიადებულად საუბარი, რამაც მსმენელის მხრიდან აგრესიაც კი შეიძლება გამოიწვიოს.

<https://www.counsellingconnection.com/index.php/2019/11/14/the-psychology-of-bragging/>

უდავოა, რომ ეს ორი ცნება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა, ჩვენელი ხედვით, მათ შორის მთავარი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ სიამაყე არის თვითშეფასების შინაგანი გამოხატულება, რომლის სხვებთან გაზიარება სულაც არ არის აუცილებელი. რაც შეეხება ტრაბახს, იგი გარეგანი გამოხატულებაა, რაც უპირობოდ მოითხოვს საკუთარი წარმატების სხვებთან გაზიარებას და ამით წარუშლელი შთაბეჭდილების მოხდენას მათზე.

სამაგისტრო ნაშრომში „ტრაბახი როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი და მისი ვერბალური გამოვლინება სოციალურ მედიაში“, ახალგაზრდა მკვლევარი ნ. გერასიმენკო ტრაბახის მიზეზად თვითშეფასების დაბალ დონეს, არასრულფასოვნების კომპლექსს, სულიერ შიმშილს, ადამიანური ურთიერთობების და სითბოს უკმარისობას, სულიერ სიცარიელეს, მსმენელთა მანიპულირების, საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილს ასახელებს და მაგალითად მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ჯონ გარნერის სიტყვები: “You have to do a little bragging on yourself even to your relatives — man doesn’t get anywhere without advertising” (საკუთარი თავის რეკლამირების გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა, ამის კეთება უახლოესი ადამიანების წრეშიც კი მოგიწევთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ). (გერასიმენკო, 2019:19)

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ტრაბახის გამომწვევ რეალურ მიზეზებად, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად გრძელვადიანი და ეფექტური იქნება ტრაბახის მეშვეობით კონპესირებული სულიერი სიცარიელე ან

თვითშეფასების დაბალი დონე. როგორც უკვე ზევით ვახსენეთ, ტრაბახი გარეგანი გამონატულების ფორმაა და სწორედ ამით განვასხვავებთ იგი სიამაყისგან. ასეთ შემთხვევებში კი, უფრო რაციონალური იქნებოდა ტრაბახის გზით, ნაცვლად გარეგანი „ვალიდაციის“ მოპოვებისა ანუ მარტივად რომ ვთქვათ, გარემო საზოგადოებისგან დადებითი განწყობის მოპოვების დაუოკებელი სურვილისა, ინდივიდმა შინაგანი „ვალიდაციის“ მოპოვებასა და საკუთარი თავის მიღებაზე იზრუნოს.

ტრაბახის გამომწვევ კიდევ ერთ მიზეზად თვით-პრეზენტაციის მძაფრი სურვილი შეიძლება ჩაითვალოს. აღსანიშნავია, simplypsychology.org-ზე, შ. ნიკერსონის მიერ გამოქვეყნებული სტატია „შთაბეჭდილების მოხდენის მენეჯმენტი და თვით-პრეზენტაცია (გოფმენი)“ (Impression Management and Self Presentation (Goffman)). რომელიც ეფუძნება ცნობილი სოციოლოგის, ე. გოფმენის ხედვას თვით-პრეზენტაციის, კერძოდ კი, შთაბეჭდილების მოხდენის მენეჯმენტის თეორიის შესახებ. ე. გოფმენის აზრით, შთაბეჭდილების მოხდენის განზრახვა, სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილია. იგი საკუთარ „მე“-ს განიხილავს არა როგორც ინდივიდში დაბინავებულ არსებას, არამედ, როგორც სოციალურ პროცესს. იმისათვის, რომ კომუნიკაცია შედგეს, კომუნიკანტმა უნდა წარმოაჩინოს თავისი იდენტობა, რაც შემდგომ უსათუოდ იმის განმსაზღვრელი იქნება თუ როგორ მიიღებს მას საზოგადოება. მსახიობების მსგავსად, რეალურ ცხოვრებაშიც კომუნიკანტებს გვაქვს ჩვენი კუთვნილი სიტყვა, რომელსაც ვერბალური თუ არავერბალური გზით გადმოვცემთ და რის შედეგადაც ძალაუნებურად ვქმნით საკუთარი თავის დადებით ან უარყოფით იმიჯს. ამ ყველაფრის გაკეთებაში კი სწორედ ტრაბახი შეიძლება დაგვეხმაროს.

მკვლევრის აზრით, ადამიანებს ახასიათებთ თვით-რეპრეზენტაციის (ტრაბახი, როგორც თვით-პრეზენტაციის ერთ-ერთი ფორმა) სახეცვლილება. რაც იმას გულისხმობს, რომ ბაქია ადამიანის მეტყველების სტილი შეიძლება შეიცვალოს მსმენელი აუდიტორიის კატეგორიისა თუ ამა თუ იმ გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე და შედეგად სხვადასხვა ზეგავლენა მოახდინონ მსმენელის ემოციურ ფონზე. თუმცა, გოფმენი აქვე დასძენს, რომ ადამიანი გაცილებით დაცულად და თავისუფლად გრძნობს თავს თუ მას არ ამოძრავებს სხვაზე შთაბეჭდილების

მოხდენის სურვილი და არც სხვისგან ელის შეფასებით დამოკიდებულებას.
<https://www.simplypsychology.org/impression-management.html>

ო. სეზერი, ფ. ჯინო და მ. ნორტონი ეხმაურებიან ე. გოფმენის თეორიას თავიანთ ნაშრომში „მოკრძალებული ტრაბახი: თვით-რეპრეზენტაციის არაეფექტური სტრატეგია“ (Humblebragging: A Distinct and Ineffective Self-Presentation Strategy) და წერენ, რომ თვით-რეპრეზენტაცია სოციალური ცხოვრების თანმდევი მოვლენაა. უხეშად რომ ვთქვათ, ის, თუ რამდენად გრძელვადიანი და წარმატებული იქნება ჩვენი რომანტიკული თუ საქმიანი ურთიერთობა, დამოკიდებულია სწორედ საკუთარი თავის წარმოჩენაზე. უფრო მეტიც, თვით-რეპრეზენტაცია და სხვაზე დადებითი შთაბეჭდილების მოხდენა გვეხმარება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში, თვითშეფასების ამაღლებაში და სხვებში ჩვენდამი დადებითი განწყობის აღძვრაში. (Sezer, 2015 : 4)

ტრაბახი რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია. მისი არაერთი სახესხვაობა არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულია ორი ტიპის ტრაბახი: პირდაპირი (Direct) და ირიბი, იგივე მოკრძალებული (Humblebragging) ტრაბახი. შეიძლება ითქვას, რომ ტრაბახის ეს ორი ფორმა არის ე.წ „ქოლგა“ ტერმინები, რომლებიც თავის თავში ტრაბახის კიდევ სხვა სახეობებს აერთიანებენ.

პირდაპირი ტრაბახის (Direct Bragging) დროს ადამიანი აშკარად და ყოველგვარი შეფარვის გარეშე ტრაბახობს, თამამად წარმოაჩენს საკუთარ თავს, შესაძლებლობებს, მიღწევებს, სოციალურ სტატუსს, ღიად ეწევა საკუთარი თავის „ბრენდირებას“ და რეკლამირებას. რიგ შემთხვევებში, ამართლებს ამგვარი ტიპის ტრაბახი, რადგან ის უფრო გულწრფელად ითვლება, ზოგჯერ კი გაღიზიანებას და შურს იწვევს გარშემომყოფებში, მაგალითად: "I won the competition, got first place, and made everyone else look small. I knew I was the best" (მე გავიმარჯვე, პირველი ადგილი დავიკავე, დანარჩენები კი ჩემთან შედარებით წარუმატებელი გამოჩნდნენ, ისედაც ვიცოდი, რომ საუკეთესო ვიყავი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ), "I just bought a new designer handbag, and it cost a fortune. I can afford things like that easily" (სულ ახლახანს შევიძინე ხელთნაკეთი ჩანთა, მთელი ქონება დამიჯდა, თუმცა, ჩემთვის ეს არაფერია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), "I'm the boss of my own company and have made millions of

dollars through my success" (ვარ საკუთარი კომპანიის დირექტორი, რომელიც მილიონობით დოლარს გამოიმუშავებს ჩემი წყალობით; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

რაც შეეხება ირიბ, **შენიღბულ ტრაბახს (humblebragging)**, ის უფრო საინტერესო ფენომენია. სიტყვა "Humblebragging" - 2014 წელს ოქსფორდის ლექსიკონში შევიდა, შემდეგი განმარტებით: „An ostensibly modest or self-deprecating statement whose actual purpose is to draw attention to something of which one is proud“ (მოკრძალებული და თვით-დამაკნინებელი შინაარსის მქონე წინადადება, რომლის მიზანია სხვისი ყურადღების მიპყრობა იმაზე, რითაც ძალიან ამაცობ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

3. ალფორდის მიერ "New York Times" - ის ონლაინ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ სიტყვა „Humblebragging“ პირველად კომედიანტ ჰარის ვიტელის მიერ იქნა შემოღებული და მას შემდეგ დამკვიდრდა გამოყენებაში. თავად ავტორი კი ამ ტიპის ტრაბახს ახასიათებს როგორც ცრუ თავმდაბლობას. მისი თქმით, პირდაპირ და შენიღბულ ტრაბახს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ პირდაპირ ტრაბახს მოყვება მხოლოდ გაცემა, არაპირდაპირი ტრაბახი კი ორი ტიპის რეაქციას მოითხოვს მსმენელისგან, ესენია: გაცემა და სიმპათია/თანაგრძნობა. 3. ალფორდს მაგალითად მოჰყავს ბროდვეის მსახიობის, კ. ბატლერის სიტყვები: "I've been signing so many autographs lately, that I was writing a card to my dad and started to write my last name" (ბოლო ხანებში იმდენი ავტოგრაფი გავეცი, რომ მამაჩემისთვის განკუთვნილ მისალოც ბარათზეც კი ჩემდაუნებურად ხელი მოვაწერე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ), გერმანელი მილიარდერი ტ. ლიუტკე ამბობს: "I just started writing a tool that I know I could turn into another million dollar company if I had the time" (უკვე დავიწყე ახალ მექანიზმზე მუშაობა, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მილიონობით დოლარის მოტანა, მაგრამ ჯერ ამისთვის დრო არ მაქვს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ). ამერიკელი მუსიკოსი ჯ. ჯონასი კი ტვიტერზე წერს: „Totally walked down the wrong escalator at the airport from the flashes of the cameras... Go me“ (პაპარაცების კამერის გამონათების გამო აეროპორტში არასწორ ესკალატორზე ავედი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ). <https://www.nytimes.com/2012/12/02/fashion/bah-humblebrag-the-unfortunate-rise-of-false-humility.html>

ო. სეზერი, ფ. ჯინო, მ. ნორტონი საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილი შენიღბული ტრაბახის მიმართ და მას მოიხსენიებენ, როგორც „ცრუ თავმდაბლობა“ (false modesty), „ყალბი თავმდაბლობა“ (faux humility), „თვით-დამაკნინებელი მეტყველება“ (self-deprecating boast). მათი აზრითაც, ამ ტიპის ტრაბახს, როგორც თვით-პრეზენტაციის ერთ-ერთ სტრატეგიას დუალური დანიშნულებაა აქვს: მოიპოვოს მსმენელის როგორც სიმპათია, ასევე პატივისცემა (Sezer, 2015:4).

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრებს კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ მოკრძალებული ტრაბახის მიმართ, იმასაც აღიარებენ, რომ ის დღესდღეობით თვით რეკლამირების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ო. სეზერი, ფ. ჯინო, მ. ნორტონი შენიღბული ტრაბახის ორ ძირითად სახეს გამოყოფენ: წუწუნზე დაფუძნებული (complaint-based) და (თვით-დაკნინებაზე დაფუძნებული (humility-based)).

გავნიხილოთ წუწუნზე დაფუძნებული შენიღბული ტრაბახის მაგალითები: “I am tired of people mistaking me for a model” (ყელში ამომივიდა, ხალხს სულ მოდელი ვგონივარ); „I am so tired of being the only person that my boss could trust to train the new employees” (როგორ დავიღალე იმით, რომ ჩემი უფროსი მხოლოდ მე მანდობს ახალი თანამშრომლების პროფესიულ გადამზადებას; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ); ‘I work so fast that I am bored the rest of the day’ (იმდენად სწრაფად ვმუშაობ, რომ ნახევარი დღე უსაქმურობისგან მოწყენილი ვზივარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

თვით-დაკნინებაზე დაფუძნებული შენიღბული ტრაბახის მაგალითებია: “Just getting to Book Review Section- forgot I had a book out! Seeing it on New York Times best seller list is a thrill, it is pretty funny” (ეს-ესაა მივადექი წიგნების მიმოხილვის განყოფილებას ნიუ იორკ თაიმსის გაზეთში და ახლადა გამახსენდა, რომ თურმე ჩემი წიგნიც გამოცემულა! ნიუ იორკ თაიმსის ბესტსელერ წიგნებს შორის ჩემი წიგნის ნახვა ძალიან სასიხარულოა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), “Thanks for the love from everyone who watched my random episode of Curb Your Enthusiasm last night. Totally forgot about this, sorry no notice” (დიდი მადლობა ყველას, ვინც გასულ ღამეს უყურეთ Curb Your Enthusiasm-ის ჩემს შემთხვევით გაშვებულ ეპიზოდს. სულ დამავიწყდა ამის შესახებ, მაპატიეთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) (Sezer, 2015:4).

lesspenguiny.com ტრაბახის სხვა სახეობებსაც გვთავაზობს:

1) „უმი“ ტრაბახი (**Bare-Bones Basic Brag**) - ზედმეტად პირდაპირი ტრაბახი, ყოველგვარი შეფარვის გარეშე. სამაგალითოდ მოყვანილია ბრიტანულ შოუში 'The Apprentice' ერთ-ერთი მონაწილის სიტყვები: "Statistically speaking, I am very smart, official genius" (სტატისტიკურად თუ ვიმსჯელებთ, მე ვარ ოფიციალური გენიოსი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ასეთი ტიპის ტრაბახი გაცილებით უფრო ეფექტურია, თუკი მესამე მხარესაც ვახსენებთ როგორც ჩვენს რეკომენდატორს: "my boss says I'm gifted at presentations" (ჩემი უფროსი მეუბნება, რომ ძალიან პრეზენტაბელური ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) ან "My mom thinks I'm handsome" (დედაჩემის აზრით, მე ძალიან სიმპატიური ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

2) დომინანტი ტრაბახი (**Oneupmanship Brag**) - არის სოციალური დომინანტობის სურვილით შეპყრობილი ადამიანისთვის დამახასიათებელი მეტყველება. ამ ტიპის მოტრაბახე მომართულია იმისკენ, რომ თვითონ აიღოს დიალოგის სადავეები ხელში და იყოს დომინანტი საუბრისას.

A: "I'm so wrecked. I only slept 2 hours last night" (ფეხზე ძლივს ვდაგავრ, სულ რაღაც 2 საათი მეძინა წუხელ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

B: "You can't possibly know what is it to be tired until you have kids" (ბავშვს რომ გააჩენ მერე მიხვდები რა არის ნამდვილი დაღლა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

3) საპასუხო ტრაბახი (**Reciprocation Brag**) - ამ ტიპის ტრაბახისას, დიალოგში ჩართულ, უკვე თავის წარმატებაზე მოსაუბრე ადამიანს, მეორე ადამიანი, ნაცვლად იმისა, რომ გაიზიაროს მოუსაუბრის წარმატება, „უპირისპირებს“ საკუთარ წარმატებას, ანუ, სხვის წარმატებას საკუთარი წარმატებით პასუხობს. ეს არის სიტყვის წართმევის და დიალოგის შენს სასიკეთოდ გაგრძელების ძალიან მოხდენილი მეთოდი.

A: "I got a promotion at work yesterday!" (გუშინ სამსახურში დამაწინაურეს! თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

B: "That's great! Speaking of promotions, I recently got a raise too!" (არაფერია იმაზე კარგი, ვიდრე ისაუბრო დანაწინაურებაზე, მეც სულ ახლახანს დამაწინაურეს! თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

ან

A: "I'm really proud of myself for finishing a half-marathon on the weekend!" (ვამაყობ ჩემი თავით, რომ ნახევარ-მარათონი უქმეებზე დავასრულე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ).

B: "Wow, that's impressive. I've completed a full marathon before." (ვაუ, შთაბეჭქდავია. მე კი მთლიანი მარათონი უკვე დავასრულე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

4) მატყუარა ტრაბახი (Bullshit Brag) - ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი ტრაბახობს ტყუილით და გამოგონილი ამბით სხვაზე კარგი შთაბეჭქდილების მოხდენის მიზნით. მაგალითად, როცა ადამიანს ეკითხებიან რამდენი აქვს ხელფასი და ნაცვლად იმისა, რომ თქვას, მას აქვს \$1000, ოთხნიშნა ციფრს ხუთნიშნად გადააქცევს ან კიდევ, ადამიანი პოლიგლოტობას იბრალებს, სინამდვილეში კი ამა თუ იმ ენის სულ რამდენიმე ფრაზა იცის.

5) უადგილო ტრაბახი (Out of Nowhere Brag) - ამ სახის ტრაბახი ხშირ შემთხვევაში კონტექსტიდან ამოვარდნილია. ადამიანი უადგილოდ იწყებს საკუთარ თავზე საუბარს მაშინ, როცა მას არავინ ეკითხება აზრს. მაგალითად, მოსაუბრე ამბობს, რომ ახლახანს დაბრუნდა ჰავაის კუნძულებიდან, მეორე კი ეჩრება პირში და ეუბნება, რომ გიჟდება ჰავაიზე კერძო სანაპიროების მქონე ხუთ ვარსკვლავიან სატუმროებში დასავენებაზე და ძალიან ენატრება იქ გატარებული დრო.

6) შოუმენის ტრაბახი (Showmanship Brag) - ამ ტიპის ტრაბახს ახასიათებს სათქმელის გაზვიადება, დრამატიზირება, გადაჭარბებული ექსპრესიულობა. მაგალითად, ერთ-ერთი ენათმეცნიერი ასე ტრაბახობდა თავისი განსწავლულობის გამო: "My mind is the most extraordinary locus of learning humanity has known since the great libraries of Alexandria were set aflame" (მას შემდგომ რაც ალექსანდრიის

დიდებული ბიბლიოთეკები დაიწვა, ჩემი გონია შემეცნების ყველაზე უჩვეულო ადგილი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

8) **თხრობა-ტრაბახი (Narrative Brag)** – ამგვარი ტიპის ტრაბახი ნაკლებად გამაღიზიანებელია, რადგან რეალური ამბის თხრობის ფონზე ხდება საკუთარი თავის წარმოჩენა დადებით გმირად, პროტაგონისტად. პოლ გრაჰამის ესე “Why Nerds are Unpopular“ თხრობითი ტრაბახის საუკეთესო მაგალითია.

‘My stock gradually rose during high school. Puberty finally arrived; I became a decent soccer player; I started a scandalous underground newspaper. So I’ve seen a good part of the popularity landscape’(ჩემი აქციები საგრძნობლად გაიზარდა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში. მოწიფულობის ასაკის დადგომისთანავე გავხდი კარგი ფეხბურთელი. სათავეში ჩავუდექი ყვითელი ჟურნალის გამომცემლობას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ვიგემე თუ როგორია პოპულარობა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

9) **სხვათა კომპლიმენტების ფონზე ტრაბახი (Congratulatory Brag)** - ადამიანი შეფარვით ტრაბახობს იმ ადამიანთან ახლო ურთიერთობის ქონით, ვისაც უკეთეს კომპლიმენტს: “I can't believe my best friend just got promoted to CEO. I always knew she was special, and I'm so proud to be her friend" (არ მჯერა, ჩემი საუკეთესო მეგობარი უფროსი აღმასრულებელი დირექტორი გახდა. ვიცოდი, რომ ამას შეძლებდა, ვამაყობ მასთან მეგობრობით; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

10) **აუთსორს ტრაბახი (Outsourced Brag)** - გავს მეცხრე ნომრად წარმოდგენილ ტრაბახის ტიპს. ეს ტრაბახის ის სახეა, როცა ტრაბახობ სხვისი წარმატებით. უკეთ რომ ვთქვათ ტრაბახობ იმ მიზნით, რომ არაპირდაპირი გზით მიანიშნო საკუთარ წარმატებაზე: “My sister just got accepted into a prestigious law school. I always knew she was talented. I guess she gets it from our family" (ჩემი და პრესტიჟულ სამართლის სკოლაში მოეწყო. ყოველთვის ვიცოდი, რომ ნიჭიერი იყო. უდავოა, ეს ნიჭი ჩვენი ოჯახიდან, გენეტიკურად ერგო; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

11) **მატერიალური მონაპოვრით ტრაბახი (Prop Brag)** – “I just bought a new Rolex watch; it's a limited edition worth over \$20,000. It's the envy of everyone I know” (ახლახანს

შევიძინე როლექსის ლიმიტირებული გამოშვების საათი ოცი ათას დოლარად. შურით გაივსებინა გარშემომყოფები; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

12) მსხვერპლის ტრაზახი (Victim Bragging) - მოტრაზახე ცდილობს საკუთარი თავისგან დახატოს მსხვერპლის პორტრეტი, რომ ბევრი ტრაჯედია თუ სირთულის მიუხედავად როგორ შეძლო გამოსავლის პოვნა: "I was bullied so much in school, everyone treated me like the outcast. But now I'm successful and they're all still stuck in their small town" (სკოლაში ხშირად ვიყავი ჩაგვრის ობიექტი, თავს განდეგილად ვგრძნობდი. თუმცა, ახლა ძალიან წარმატებული ვარ, ისინი კი, ისევ იმ პატარა ქალაქში არიან ჩარჩენილები; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

13) კოლექტიური ტრაზახი (Collective bragging) - ადამიანი ტრაზახობს კოლექტიური მონაპოვრით, წარმატებით, რომელიც მთელმა გუნდმა საერთო ძალისხმევით მიაღწია: "Our group raised a record-breaking amount for charity" (ჩვენმა გუნდმა საქველმოქმედო თანხის რეკორდული მაჩვენებელი შეაგროვა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

14) სოციალურ მედიაში ტრაზახი (Social Media Bragging) - ტრაზახის ეს ფორმა განსაკუთრებით პოპულარულია დღევანდელ ეპოქაში და ვრცელ განხილვას არ საჭიროებს. <https://www.lesspenguiny.com/articles/best-article-on-bragging>

ს. კრაუს ვითბურნი კი psychologytoday.com-ზე ტრაზახის რამდენიმე სახესხვაობას გვთავაზობს შესაბამისი მახასიათებლებით. მათგან პირველია Directly drawing attention to your own great personal qualities (მოსაუბრე პირდაპირი გზით აქცენტს აკეთებს პიროვნულ თვისებებზე). ეს არის ტრაზახის ყველაზე არასასურველი ფორმა, რომელიც არღვევს სოციალურ ნორმებს. ამ დროს შენ არაფრით შეგიძლია დაადასტურო ის, რომ მართლაც ძალიან ჭკვიანი, პუნქტუალური ან შრომისმოყვარე ხარ, მსმენელს მხოლოდ ისლა დარჩენია მხოლოდ შენს სიტყვებს მიენდოს, რაც საკმაოდ რთულად მისაღწევია.

ტრაზახის მეორე ტიპია Directly drawing attention to something you've done (მოსაუბრე პირდაპირი გზით აქცენტს აკეთებს მის ნამოქმედარზე). მაგალითად, თუ

ამბობს, რომ ოქროს მედალი მოიპოვა ოლიმპიადაზე. ტრაბახის ეს ფორმა უფრო მისაღებია საზოგადოებისთვის, მითუმეტეს თუ ამის დადასტურება ფაქტებით შეგიძლია და არც აგრესიას იწვევს მსმენელში.

ტრაბახის მესამე ტიპია Indirectly drawing attention to your own great personal qualities (მოსაუბრე არაპირდაპირი გზით აქცენტს აკეთებს პიროვნულ თვისებებზე). მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ თქვას ის ყველაზე წამატებული თანამშრომელია სამსახურში, იტყვის, რომ მისი უფროსის თქმით, ის არის საუკეთესო ან ჩემი უფროსი დიდ იმედებს ამყარებს მასზე.

ტრაბახის მეოთხე ტიპია Indirectly drawing attention to something you've done (მოსაუბრე არაპირდაპირი გზით აქცენტს აკეთებს თავის მიღწევაზე). მაგალითად, ის აირჩიეს რომელიმე კომიტეტის თავჯდომარედ, მაგრამ ამ ინფორმაციას საჯაროდ კი არ გამოაქვეყნებ რომელიმე სოციალურ ქსელში, არამედ, უშუალოდ ამ კომიტეტის ოფიციალური გვერდიდან გააზიარებს ლინკს არჩევნების შედეგების შესახებ. ამგვარი ფორმის ტრაბახიც ნაკლებად გასაღიზიანებელია აუდიტორიისთვის.

ტრაბახის მეხუთე ტიპია Drawing attention to your success with a “disclaimer” (მოსაუბრე მსუბუქად აკნინებს საკუთარ წარმატებას მსმენელის თვალში). მაგალითად, I shouldn't brag but I won the..... (არ უნდა ვტრაბახობდე, მაგრამ მე მოვიგე...). სინამდვილეში, ამგვარი ტრაბახის ფორმა უფრო გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს ვიდრე პირდაპირ თქვას ის, რომ გაიმარჯვა.

ტრაბახის მეექვსე ტიპია Basking in someone else's reflected glory (მოსაუბრე ტრაბახობს სხვისი წარმატებით). მაგალითად, როცა სხვის წარმატებას მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც შენს დამსახურებად თვლი და ამბობ “Bob, the guy I taught the ropes to is now Head of the company” (ბობი, ეს ის ბიჭია რომელსაც მე ვმენტორობდი და ახლა უკვე კომპანიის სათავეში დგას; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ამ სახის ტრაბახი ახასიათებს მაგალითად მშობლებს, ბებია-ბაბუებს ა.შ.

<https://www.psychologytoday.com/intl/blog/fulfillment-any-age/201207/bragging-when-is-it-ok-and-when-is-it-not-ok>

თ. შავლაძე სამეცნიერო სტატიაში “Lingua-Cultural Peculiarities Of Facebook Bragging - Narcissism On Facebook“ (ტრაბახის ლინგვო-კულტურული მახასიათებლები - ნარცისიზმი ფეისბუქზე), ეყრდნობა ჯ. კაროლის კლასიფიკაციას და ტრაბახა ადამიანების შემდეგ სახეებზე ამახვილებს ყურადღებას:

1) **საკუთარი სამუშაოთი მოტრაბახეები (The Work Bragger).** ‘The project succeeded because of my strategies. Without my input, it would have failed.’ (რომ არა ჩემი სტარტეგიული გათვლა, პროექტი წარმატებას ვერ მიაღწევდა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

2) **ურთიერთობებით მოტრაბახეები (The Relationship Bragger).** ‘Don't you think we make the perfect couple?’ (შესანიშნავი წყვილი ვართ, არა? თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

3) **საკუთარი სხეულის სიმშვენიერით ან სიძლიერით მოტრაბახეები (The Body Bragger).** “I've been working so hard on my body; I hope people notice.” (ძალიან ბევრს ვმუშაობ საკუთარ სხეულზე, იმედია, ამას სხვების ამჩნევენ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

4) **საკუთარი რელიგიური მრწამსით ან რელიგიურობით ტრაბახი (The Religious Bragger).** “I fast twice a week and pray for hours every day. Not everyone has that level of commitment.” (კვირაში ორჯერ ვმარხულობ, დღეში ოთხი საათი ვლოცულობ. ყველას როდი შეუძლია მსგავსი თავდადება; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

5) **ტრაბახა დედები (Bragging mom).** “It's cute that they think their child is talented; they should see what my child can do.” (კარგია, რომ ჰგონიათ ნიჭიერი შვილები ჰყავთ. თუმცა, ამას არ იტყოდნენ ჩემი შვილის ნიჭიერება რომ ენახათ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

6) **სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობით მოტრაბახეები (The Travel Bragger).** “I've traveled extensively throughout Europe; I'm practically a connoisseur of European culture.” (ევროპაში იმდენი ვიმოგზაურე, რომ ფაქტობრივად ევროპის კულტურის ექსპერტი შემიძლია ვუწოდო ჩემს თავს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Shavladze, 2015:97).

ამიერიდან, ტრაბახის ზემოთ წარმოდგენილი სახესხვაობები, მისი გამოწვევი მიზეზების მრავალფეროვნება, განსაზღვრებების არაერთსახოვნება, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ტრაბახის ფენომენის მრავალგანზომილებიან და კომპლექსურ ბუნებას.

ტრაბახის სტრატეგიის არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ზეგავლენის მოხდენა სურს მოსაუბრეს მსმენელზე. აშკარა ტრაბახმა შეიძლება სწრაფად და მარტივად მიიქციოს ყურადღება, მაგრამ ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს კონსერვატიულ კონტექსტებში. შენიღბული ტრაბახი, მიუხედავად იმისა, რომ უფრო რთულად აღსაქმელია, შეიძლება იყოს უფრო ეფექტური ისეთ გარემოში, სადაც ზედმეტი თავმოწონება არ არის წახალისებული.

შედეგად, ტრაბახის გამოხატვის ფორმა და სტრატეგია, რომელსაც ადამიანი ირჩევს, განსაზღვრავს მის ეფექტურობას და სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. ტრაბახის ნებისმიერი ტიპის გამოყენება მოითხოვს კონტექსტის, აუდიტორიის და პიროვნული მიზნების გათვალისწინებას.

2.2. ტრაბახი - საზოგადოების კულტურული ანარეკლი

როგორც ვიცით, თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა განიხილება არა როგორც უბრალოდ კომუნიკაციისა და შემეცნების იარაღი, არამედ, როგორც ერის კულტურული კოდი. უფრო მეტიც, დღეს აქტიურად პოზიციონირებს მოსაზრებები, რომ ენა წარმოადგენს კულტურულ სარკეს, ღიად გამოხატავს ნაციონალურ მენტალობას, ენა გვევლინება ამა თუ იმ სოციუმის კულტურის გამოხატვის მთავარ საშუალებად. ტრაბახიც ხომ სხვა არაფერია თუ არა კულტურისა და საზოგადოების მენტალობის ანარეკლი.

ენა არის კულტურული მეხსიერება, რომელშიც აკუმულირდება ინდივიდუალური და კოლექტიური დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხის მიმართ. ვინაიდან ყველა ენა უნიკალურია, თითოეული მათგანი გამოირჩევა ამა თუ იმ, მათ შორის ტრაბახის ფენომენის კონცეპტუალიზაციის განსხვავებული ხერხებით. ვიდრე განვიხილავდეთ იმას, თუ ტრაბახის როგორ შინაარსობრივ კონცეპტუალიზაციას ვხვდებით ინგლისურენოვან და ქართულენოვან გამონათქვამებში, შევეცადოთ ზოგადად დავახასიათოთ ტრაბახისა და კულტურული ფონის ურთიერთმიმართების მნიშვნელობა წარმატებული კომუნიკაციისთვის.

უდავოა, რომ წარმატებული კომუნიკაციისთვის დიდ როლს ასრულებს კომუნიკანტთა საერთო ფონური ცოდნა (background knowledge). კომუნიკანტებს შორის არსებული განსხვავებული კულტურული ღირებულებები ართულებს კომუნიკაციის პროცესს და მითუმეტეს ისეთი სპეციფიკური ფენომენის ადეკვატურად გაანალიზებას, როგორცაა ტრაბახი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ „იანტეს კანონი“ (The Laws of Jante)¹ სკანდინავიაში, „მაღალი ყაყაჩოს“ (Tall poppy syndrome)² ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, „კიბორჩხალას მენტალიტეტი“ (Crab mentality)³ ფილიპინებში ა.შ. თითოეული კულტურული

¹ **იანტეს კანონი (The Law of Jante)** - წარმოადგენს კულტურული ნორმების ნაკრებს, რომლებიც საერთოა ნორდიკული ქვეყნებისთვის. იგი აღიარებს ჯგუფურ გამარჯვებებსა და მიღწევებს და უგულბელყოფს ინდივიდუალურ წარმატებებს. ტერმინი სათავეს იღებს დანიელი მწერლის აქსელ სანდემუსის რომანიდან „გაქცეული საკუთარ ნაკვალევს კვებს“. რომანში მოქმედება დაბალი ფენით დასახლებულ გამოგონილ ქალაქ იანტეში ვითარდება, სადაც მოქალაქეთა მთავარი ღირებულება არის სოციალური თანასწორობა და მათ სოციუმში დამკვიდრებული აქსიომები, რომელთა დარღვევაც კანონით დასჯადია. ეს აქსიომა-კანონები კი შემდეგი შინაარსისაა: You're not to think you are anything special (ნუ ფიქრობ, რომ განსაკუთრებული ხარ), You're not to think you are smarter than we are (ნუ ფიქრობ, რომ ჩვენზე ჭკვიანი ხარ), You're not to imagine yourself better than we are (თავი ჩვენზე უკეთესი ნუ წარმოგიდგენია), You're not to think you know more than we do. (ნუ ფიქრობ, რომ ჩვენზე მეტი იცი), You're not to think you can teach us anything. (ნუ ფიქრობ, რომ რაღაცას გვასწავლი). [What Is Jante's Law? To Understand Scandinavia Look To Janteloven \(scandification.com\)](http://www.scandification.com)

² **მაღალი ყაყაჩოს სინდრომი (The Tolly Pop Syndrome)** - დამახასიათებელია იმ სოციუმისთვის, სადაც გავრცელებულია ეგალიტარიანიზმი და მისი პრინციპები. კერძოდ, როცა ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებად ითვლება დომინანტ კულტურასთან მიმართებაში საკუთარი თავის წინა პლანზე წარმოჩენა და დემონსტრირება. გამონათქვამის ეტიმოლოგია შემდეგნაირია: კორინთის ტირანად წოდებულმა პერიანდრემ თავისი მაცნე გააგზავნა მილეტის მმართველ თრასიბულუსთან რჩევის მისაღებად, თუ როგორ ემართა უკეთ თავისი იმპერია. თრასიბულუსმა მაცნე ყაყაჩოების მინდორზე გაიყვანა და ხმა ამოუღებლად იმ ყაყაჩოების ჭრა დაიწყო, რომლებიც სტანდარტულ ზომასთან შედარებით უფრო მაღალი იყო. საბოლოოდ კი, ყაყაჩოების საუკეთესო ნაწილი გაანადგურა. შინ დაბრუნებისას, მაცნემ უამბო თავის ბატონს თრასიბულუსის უცნაური საქციელის შესახებ. პერიანდრემ მილეტის მმართველის საქციელიდან დაასკვნა, რომ მან უნდა მოაცილოს ყველა, ვინც სხვებზე მაღლა დგას, რათა მისი უზენაესობა საფრთხის ქვეშ არასდროს დამდგარიყო.

▷ [Tall Poppy Syndrome: When they try to sink you because you stand out \(psychology-spot.com\)](http://www.psychology-spot.com)

³ **კიბორჩხალის მენტალიტეტი** - სათავეს იღებს "კიბორჩხალების სათლის თეორიიდან" (The bucket of crabs theory), რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: სათლში აღმოჩენილ კიბორჩხალას, თუ ის ცალკე იმყოფება, თავისუფლად შეუძლია დააღწიოს ტყვეობას თავი, თუმცა, როდესაც სათლში ბევრი კიბორჩხალა ერთადაა, როგორც კი რომელიმე მათგანი იქიდან ამოსვლას შეეცდება, დანარჩენები ჩაეჭიდებიან ხოლმე მას და ტავის

ფენომენის ზოგადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და არავინაა ვინმეზე უპირატესი და გამორჩეული. ვერ ვიტყვით, რომ XXI საუკუნეშიც ამ ეროვნების მქონე ყველა ადამიანი იზიარებს ზემოთ ჩამოთვლილ „კულტურულ აქსიომებს“, თუმცა, ქვეყნის რეგიონებიდან გამომდინარე ჯერ კიდევ არის შემორჩენილი მსგავსი მსოფლმხედველობა. ბუნებრივია, ადამიანთან ვინც ამ პრინციპით ცხოვრობს, თუ რაიმე ფორმით მაინც შეეცდები თავის წარმოჩენას, ამ სიტყვების რეციპიენტი, ვთქვათ ვინმე სკანდინავიელი შესაძლოა ამას საკმაოდ აგრესიულად შეხვდეს, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკელებზე, რადგან მათთან საკუთარი თავის რეკლამირება ჩვეულებრივ და უფრო მეტიც, აუცილებელ მოვლენად ითვლება.

ამას გარდა, ამ საკითხთან ურთიერთმიმართებაში უნდა გამოვყოთ საზოგადოების ორი ტიპი: ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური. Intermedia.ge-ზე ვკითხულობთ, კოლექტივიზმი ეთნიკური პრინციპია, რომელიც გამოხატავს საერთო ინტერესების პრიორიტეტს პიროვნულ ინტერესებთან მიმართებაში და უპირისპირდება ინდივიდუალიზმს. კოლექტივისტურ საზოგადოებებში, ინდივიდის აზრი ჩანაცვლებულია კოლექტიური აზრით. ინდივიდი ძირითადად მოტივირებულია იმ ჯგუფის თუ ჯგუფების ინტერესებით, რომელთა წევრიცაა იგი.

ამის საწინააღმდეგოდ, ინდივიდუალისტური ორიენტაცია გულისხმობს რწმენას, რომ თითოეულმა ადამიანმა უნდა იბრძოდეს საკუთარი პოტენციალის რეალიზაციისათვის. ინდივიდუალიზმი ხასიათდება ინდივიდუალური ინტერესების უპირატესობით კოლექტივთან შედარებით. ინდივიდუალიზმი ხაზს უსვამს ისეთ თვისებებს, როგორცაა დამოუკიდებლობა, პირადი თავისუფლება, გადაწყვეტილების ინდივიდუალურად მიღება ა.შ. [ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი \(intermedia.ge\)](http://intermedia.ge)

დაღწევის საშუალებას არ აძლევენ. სწორედ აქედან მოდის ტერმინი "კიბორჩხალის მენტალიტეტი". ეს არის აზროვნების თარგი, რომელიც მოქმედებს შემდეგი ფორმულირებით - "თუ მე ვერ მექნება, ვერც შენ გექნება". ["კიბორჩხალების სათლში" იმყოფებით? სასწრაფოდ მოშორდით! - აუცილებლად წასაკითხი \(intermedia.ge\)](http://intermedia.ge)

ყოველივე ეს ცხადყოფს იმას, რომ მანამ, სანამ ინდივიდუალისტური საზოგადოების წარმომადგენელი ბაქია ადამიანი ალატაცებით დაიწყებდეს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას, კარგად უნდა შეისწავლოს მსმენელი აუდიტორია (რომელთა უმეტესეობა შეიძლება კოლექტივისტური საზოგადოების წევრი იყოს), რათა თავიდან აიცილოს ურთიერთგაუგებრობა.

ახლა კი, გადავიდეთ ინგლისურ და ქართულ კულტურაში გავრცელებულ და შემდგომ ენობრივ დონეზე ფიქსირებულ გამონათქვამებზე ტრაბახის შესახებ.

ინგლისურენოვანი ანდაზები თუ ციტატები ტრაბახის შესახებ, უმეტესწილად უარყოფითი კონოტაციის მქონეა. თუმცადა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით დადებითი კონოტაციის მქონე გამონათქვამებსაც.

ტრაბახი, როგორც უარყოფითი ფენომენი ინგლისურ ენაში	ტრაბახი, როგორც დადებითი ფენომენი ინგლისურ ენაში
<p>1. A great boaster is rarely a great performer (ბაქია ადამიანი იშვიათად არის საქმის გამკეთებელი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>2. He who boasts of his own achievements will reap only failure (ის, ვინც ტრაბახოს საკუთარი წარმატებით, საბოლოოდ საქმეს კრახით ასრულებს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>3. Empty vessels make the most noise (ცარიელი გემი ყველაზე მეტ ხმას გამოსცემს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>4. Don't sing your own praises, let others do it for you (ნუ შეაქებ საკუთარ თავს, დაე, ეს სხვებმა აკეთონ შენს მაგივრად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p>	<p>1. If you've got it, flaunt it (თუკი რაიმე სატრაბახო გაქვს, ნუ მოგერიდება ამის; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>2. If you did it, it ain't bragging (თუკი ნამდვილად მიაღწიე წარმატებას, ამის შესახებ საუბარი სულაც არ არის ტრაბახი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>3. Success is earned, not given, and it's okay to speak about it (წარმატება შრომის ფასად მოიპოვება და არავინ გჩუქნის, ამიტომ, ნუ ითაკილებ ამაზე ხმამაღლა საუბარს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>4. Cherish your strengths, and let your light shine bright (დააფასეთ საკუთარი შესაძლებლობები და უფრო მეტად</p>

<p>5. He who boasts much is much mistaken (ყველაზე მეტ შეცდომას სწორედ ის უშვებს, ვინც ბევრს ტრაბახობს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>6. A boaster and a liar are cousins-german (მკვებარა და მატყუარა ერთმანეთის ბიძაშვილები არიან; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>7. Bragging may impress some, but humility wins hearts (ტრაბახმა შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ თავმდაბლობა კი გულს მოიგებს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>8. He who boasts of his own knowledge proclaims his ignorance (ბაქიაობით ადამიანი მხოლოდ თავის უმეცრებას უსვამს ხაზს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>9. Don't let your ego write a check your skills can't cash (ნუ მისცემთ თქვენს ეგოს იმის უფლებას, რომ ის ჩეკი გამოწეროს რომლის გადაღებასაც ვერ შეძლებთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>10. Bravado is all show, no substance (ტრაბახი ცარიელი და უშინაარსო წარმოდგენაა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p>	<p>იკამკაშებთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p> <p>5. It ain't bragging if you can back it up (ტრაბახად არ ითვლება ის, რისი დამტკიცებაც შეგიძლია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).</p>
---	---

ქართულ ენაში ტრაბახის შესახებ დამკვიდრებული გამონათქვამები ცალსახად უარყოფითია და ინგლისურისგან განსხვავებით აქ საერთოდ არ ვხვდებით დადებითი კონოტაციის მქონე მაგალითებს. ქართულ ენაში ტრაბახი ასოცირდება

პატივმოყვარეობასთან და მიწიერი პატივის მოპოვების სურვილთან, მისი სინონიმური სიტყვებია: „თავის ქება“, „ბაქიაობა“, „კვეხნა“.

ტრაბახი, როგორც უარყოფითი ფენომენი ქართულ ენაში	ტრაბახი, როგორც დადებითი ფენომენი ქართულ ენაში
<p>1. ტრაბახი უგვანი კაცის საქმეაო.</p> <p>2. თავის ქება კიტრზე იაფიაო.</p> <p>3. თავის ქება კიტრადაო, კიტრი ორშაურადაო.</p> <p>4. თავის ქება გახვრეტილი შაურის ფასიაო.</p> <p>5. სხვამ შეგაქოს და არა შენმა პირმა, უცხომ და არა შენმა ბაგეებმა.</p> <p>6. კაცი, მოტრაბახე ტყუილი საჩუქრით უწვიმო ღრუბელი და ქარია.</p>	

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში ტრაბახის გამოყენების სიხშირე არღვევს ენაში გამონთქვამების სახით ფიქსირებულ სტერეოტიპს, რომ ტრაბახი უარყოფითი ფენომენია.

საინტერესოა, ტრაბახა ნარატივზე, კერძოდ კი, ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაბახზე ახდენს თუ არა ზეგავლენას კულტურული ფონი, ვლინდება თუ არა მათ შორის კულტურული განსხვავება ენობრივ დონეზე და თუ კი, მაშინ, როგორ.

პოლიტიკური გამოსვლები, არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკური აქტორი რომელი ქვეყნის წარმომადგენელია, უმეტესწილად ხასიათდება შაბლონური

ნარატივით, მსგავსი სტილის სტილისტური, რიტორიკული ხერხების გამოყენებით. თუმცა, ვინაიდან პოლიტიკა კულტურის ნაწილია, ყველა კულტურა კი უნიკალურია, მაინც ვხვდებით მცირედ განსხვავებას ენობრივ დონეზე მატერიალიზებულ პოლიტიკურ ტრაბახებს შორის.

ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაბახში კულტურული განსხვავება ყველაზე ეფექტურად გამოიხატება ისეთი მხატვრული ხერხის გამოყენებით, როგორცაა ალუზია.

ალუზია მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია, შეიცავს მინიშნებას ზეპირ ან წერით კულტურაში დამკვიდრებულ რომელიმე ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ ან პოლიტიკურ ფაქტზე. მისი საშუალებით ხდება რომელიმე სხვა მხატვრული თხზულების დეტალზე, სახეზე, გამონათქვამზე, ისტორიულ ან ყოფით ფაქტზე მინიშნება. მკითხველის გონებაში აღძრავს ასოციაციურ კავშირს სხვა ტექსტთან, შემოაქვს დამატებითი ინფორმაცია და აქვს მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა.

<https://akhaliganatleba.ge/%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%90/>

რაც შეეხება ალუზიას პოლიტიკაში, ეს არის ძლიერი რიტორიკული ხერხი, რომელსაც პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ აუდიტორიასთან ემოციურ-ინტელექტუალური კავშირის დასამყარებლად. მისი გამოყენების მთავარი დანიშნულება არის ის, რომ კარგად ნაცნობი პოლიტიკური რიტორიკით, ისტორიული თუ კულტურული მოვლენებისა და ლიტერატურული გმირების მაგალითად მოყვანით, თავი დაამახსოვრონ მსმენელს. [What is the impact of using Allusions in Political Speeches? \(politicalmarketer.com\)](#) მაგალითად:

მიხეილ სააკაშვილი, თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაბახობს და გაზვიადებასთან და რემინისცენციასთან ერთად იყენებს ალუზიურ რეფერენციებს ისეთი ცნობილი ისტორიული პირების სახელების ხსენებით, როგორცაა გიორგი ბრწყინვალე და დავით აღმაშენებელი:

„ის 9 წელი იყო ყველაზე დიდი და წარმატებული განვითარების ეპოქა, რომლის შედარება შეიძლება გიორგი ბრწყინვალეს ეპოქასთან და უფრო ადრე, საქართველოს აღორძინების ეპოქასთან, რომელსაც საფუძველი დაუდო დავით აღმაშენებელმა.“

https://www.youtube.com/watch?v=y_X-exj2aqA

სენატორი ბობ დოლი კი საკუთარი პარტიის წარმომავლობით ტრაზახობს და იყენებს ალუზიურ რეფერენციას ისეთი ცნობილი პოლიტიკური ფიგურის სახელის ხსენებით, როგორცაა აბრაამ ლინკოლნი:

‘I said in my acceptance speech in San Diego about two months ago that the exits are clearly marked. If *you* think the Republican party is some place for you to come if *you're* narrow minded or bigoted or don't like certain people in America, the exits are clearly marked for you to walk out of as I stand here without compromise, because this **is the party of Lincoln.**’<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

(ორი თვის წინ, სან დიეგოში სიტყვით გამოსვლისას მე ავღნიშნე, რომ რესპუბლიკური პარტია არ არის მიკერძოებული, ვიწროდ მოაზროვნე ადამიანებისთვის. მე აქ ვდაგავრ კომპრომისების გარეშე, რადგან ეს არის ლინკოლნის პარტია. თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრაზახის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკანტთა კულტურული ფონი. სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ადამიანები განსხვავებულად გამოხატავენ თავიანთ ტრაზახს, რაც მათ კულტურულ ღირებულებებსა და ნორმებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაზახს შორის განსხვავება კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული.

ქართულ პოლიტიკურ ტრაზახში ხშირად შეიძლება შევხვდეთ ისტორიულ და კულტურულ ალუზიებს, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნული იდენტობის, ტრადიციების და გმირების მიმართ. ეს ალუზიები ხაზს უსვამენ ქართველი ხალხის სიამაყეს და გამორჩეულობას. პოლიტიკოსები იყენებენ ამ ალუზიებს, რათა გაამყარონ თავიანთი მესიჯი და მოიზიდონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა.

მეორეს მხრივ, ინგლისურენოვანი პოლიტიკური ტრაბახი ხშირად ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორცაა ინდივიდუალიზმი, წარმატება და პირადი მიღწევები. აქ ძირითადი აქცენტი კეთდება კონკრეტულ მიღწევებზე, ინოვაციებზე და ლიდერობის უნარებზე. ინგლისურენოვან კონტექსტში ალუზიები შეიძლება მოიცავდეს ცნობილ ლიდერებს, სამეცნიერო აღმოჩენებს და ტექნოლოგიურ განვითარებას, რაც ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვან და შთამბეჭდავ არგუმენტებად ითვლება.

ამრიგად, ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაბახს შორის განსხვავება არა მხოლოდ ენობრივ დონეზეა გამოხატული, არამედ კულტურული კონტექსტების განსხვავებებითაც. ეს განსხვავებები აჩვენებს, როგორ შეიძლება ერთი და იგივე მიზანი - პოლიტიკოსის ტრაბახი - სხვადასხვაგვარად მიაღწიოს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში.

2.3. ტრაბახი თუ თვითრეკლამირება - ტრაბახის ფენომენის თანამედროვე გაგება

წინა პარაგრაფებში ჩვენ განვმარტეთ ტრაბახის ფენომენი, გამოვავლინეთ მისი სახესხვაობები, გამომწვევი მიზეზები და საერთო ფონური ცოდნის როლი ტრაბახის პროცესში. მოცემულ პარაგრაფში კი, გვსურს პასუხი გავცეთ ისეთ კითხვებს, როგორცაა: როგორია თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება ტრაბახის ფენომენის მიმართ? შეიძლება თუ არა ისე ვიტრაბახოთ, რომ სოციუმისგან აგრესია არ დავიმსახუროთ? სინამდვილეში დადებითი თუ უარყოფითი ფენომენია ტრაბახი?

Forbes.com-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში „თვით-რეკლამირება არ არის აუცილებელი, თუ არ გინდა, რომ მიაღწიო წარმატებას“ (Self-promotion is not crucial unless you want to get ahead) ვორელი ამბობს: თუ ადრე აქტუალური იყო ფრაზა: “It’s not what you know, but who you know” - (მნიშვნელოვანია არა შენი ცოდნა, არამედ, ვის იცნობ შენ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), ახლა, ეს გამონათქვამი ჩაანაცვლა “It’s who knows what you know” (მნიშვნელოვანია ის, თუ რა იცის სხვამ შენზე; (მნიშვნელოვანია არა შენი ცოდნა, არამედ, ვის იცნობ შენ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). მისი აზრით, თვით-რეკლამირება არის სტრატეგიული გათვლა საკუთარი თავის

ბრენდირების მიზნით საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად. ავტორი გვასწავლის რამდენიმე ხრიკს თუ როგორ ვიტრაბახოთ ისე, რომ სხვების გაღიზიანების ნაცვლად, მათი სიმპათია მოვიპოვოთ, მაგალითად: 1. არ გაუწიოთ საკუთარ თავს რეკლამირება, ისაუბრეთ საკუთარ ღირებულებებზე, რომ არ იქცეთ მოსიარულე ბილბორდად; 2. გაუზიარეთ გარშემომყოფებს თქვენი გამოცდილება. მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თუ რა გააკეთეთ სირთულეების გადასალახად და წარმატების მისაღწევად. საზოგადოებას ყოველთვის ხიბლავს მიზანდასახული ადამიანები, რომლებმაც იციან რას აკეთებენ და რა უნდათ რომ გააკეთონ; 3. იყავით რელევანტური. ნუ შექმნით თქვენს ირგვლივ უსაფუძვლო აურზაურს მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრში მოექცეთ; 4. სხვებსაც დაუთმეთ ასპარეზი. გულდასმით მოუსმინეთ მათ. აგრძნობინეთ, რომ იზიარებთ მათ ღირებულებებს, რითაც შეფარვით საკუთარ ღირებულებებსაც გაუსვამთ ხაზს. გახსოვდეთ, როდესაც სხვის ნავში ზიხართ, სხვასაც უჩნდება სურვილი გაიზიაროს თქვენი გამოცდილება; 5. არ შეუშინდეთ კრიტიკას. სინამდვილეში, ისინი ვინც გაკრიტიკებენ, უფრო მეტს საუბრობენ თავიანთ თავზე, ვიდრე თქვენ. იმის შიშით, მოეწონებით თუ არა სხვას, ვერასოდეს მიაღწევთ სასურველ შედეგს.

<https://www.forbes.com/sites/margiewarrell/2013/04/29/self-promotion-is-not-crucial-unless-you-want-to-get-ahead/?sh=530b7a1b32ee>

პ. კლაუსი კი თავის ნაშრომში “Brag! The Art of Tooting Your Own Horn Without Blowing It” (იტრაბახე, მაგრამ არც „მწვადი დაწვა და არც შამფური“) გვიჩვენებს, რომ ხმამაღლა ვისაუბროთ საკუთარ მიღწევებზე, რამეთუ თუკი თავად არ ვიქნებით საკუთარი მიღწევებით აღფრთოვანებული, მაშინ სხვა მითუმეტეს ვერ აღფრთოვანდება ჩვენით. პ. კლაუსთანაც, მსგავსად მ. ვორელისა, ცნებები „ტრაბახი“ და „ტრაბახა“, ჩანაცვლებულია თანამედროვე, ნეიტრალური სიტყვით: Self-promotion (თვით-რეკლამირება) და Self-promoter (თვით-პრომოუტერი). ავტორი ტრაბახს ახასიათებს, როგორც თვითგამოხატვის ინდივიდუალურ ფორმას, რომლის ეფექტურად წარმართვასაც ჭირდება შესაბამისი უნარ-ჩვევები. ნამდვილი თვით-პრომოუტერი არის ის, ვინც ახერხებს ისე ბუნებრივად მიიპყროს მსმენელის ყურადღება, რომ ეს მსმენელმა ვერც შეამჩნიოს. კლაუსისთვის ტრაბახი ხელოვნებაა იმდენად, რამდენადაც მას ჭირდება ისეთი ენერჯია, რომელიც გადამდები იქნება

აუდიტორიისთვის. კარგი თვით-პრომოუტერი ძალიან კარგი მთხრობელი და ორატორია, მან საუბრის დაწყებამდე უკვე იცის როგორი ემოციური ტემპერატურა სუფევს აუდიტორიაში. გარდა ამისა, ავტორის თანახმად, ეფექტური თვით-რეკლამირება ვერ შედგება თუ მოსაუბრე არ არის გულწრფელი. ფსიქოლოგი სწორედ გულწრფელობასა და ავთენტურობას ასახელებს წარმატებული ტრაბახის საფუძვლად. კარგ თვით-პრომოუტერს შესანიშნავად შეუძლია ყოველგვარი უარყოფითი დადებითად აქციოს, ხშირი ხუმრობით ან თუნდაც საკუთარი თავის დაკნინებით. აგრეთვე, იგი ყოველთვის ფიქრობს ხვალინდელ დღეზე და ახლა და ამ წამს დებს მომავლის მარცვალს მიწაში.

უფრო ზუსტად კი, პ. კლაუსი შემდეგნაირად გვიხასიათებს ტრაბახის ფენომენს: BRAGGING - is very **individual** form of communication and self-expression. A good self promoter sneaks up on you, grabs your attention, **wins you over – without your even knowing he or she is doing it.** They **exude a contagious energy**, coming off as confident about where they have been and where they are going. They know their stuff. Before even uttering a word, they **take the emotional temperature of an audience**, whether facing one or hundreds. They are **exceptional storytellers**, continually work at keeping their stories fresh. They are able to think on their feet, because they are always well-prepared. They are masters at turning negatives into positives, are often **funny, even self-deprecating at times.** But most important, and this is key, they **Express Themselves best by Being Themselves.** It is difficult to become master of **Artful bragging** (ტრაბახი თვით-გამოხატვისა და კომუნიკაციის ინდივიდუალური ფორმაა. კარგმა თვით-პრომოუტერმა იცის როგორ მოგნუსხოს ისე, ვერც კი მიხვდე, რომ შენდა გაუცნობიერებლად მისი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდი. ისინი დამუხტული არიან ყველასათვის გადამდები ენერგიით. გამოირჩევიან თავდაჯერებულობითა და საკუთარი საქმის კარგი ცოდნით. არ აქვს მნიშვნელობა ერთკაციან თუ ასაკაციან აუდიტორიასთან უწევთ თავის წარმოჩენა, ყოველთვის იციან თუ როგორი ენერგეტიკა სუფევს მსმენელში. კარგად ეხერხებათ ხატოვნად და საინტერესოდ ლაპარაკი, ცდილობენ მათი მონათხრობი სიახლეებით იყოს გაჯერებული და არ იყოს მოსაწყენი. ასევე, კარგად შეუძლიათ აუდიტორიის მანიპულირება, ნეგატიურის პოზიტიურად გადაქცევა. გამოირჩევიან კარგი იუმორით, ხანდახან თვით-ირონიითაც. მათი მთავარი გასაღები კი იმაში

მდგომარეობს, რომ საკუთარ თავს ყველაზე კარგად გამოხატავენ ინდივიდუალიზმის შენარჩუნებით. ძალიან რთულია ტრაბახი აქციო ხარისხიან ხელოვნებად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Klaus 2004:125)

პ. კლაუსი ტრაბახის ლექსიკონს (Bragging Dictionary), კერძოდ კი, ტრაბახთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას და მათ მისეულ განმარტებებს გვთავაზობს: **“BRAG”** - to talk about your best self (interests, ideas, accomplishments) with pride and passion in a conversational manner intended to excite, admiration, interest and wonder, without pretense or overstatement – in other words, without being obnoxious (ტრაბახი-არის მოვლენა, როცა ადამიანი დიდი აღტაცებითა და სიამაყით საუბრობს საკუთარ მიღწევებზე, იდეებზე თუ ინტერესებზე, ყოველგვარი ტყუილისა და გაზვიადებების გარეშე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისე, რომ არ გამოიწვიოს სხვისი გაღიზიანება; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

“BRAG BITES” – snippets of impressive information about one’s best self, expressed in a brief, quotable manner. They function as memory insurance so that people remember something compelling about you. They can be dropped into the conversation as single gems or woven together to create longer braglogues (მკბენარა ტრაბახი - არის მოკლედ, მაგრამ ექსპრესიულად გამოხატული ფრაგმენტული ინფორმაცია საკუთარი თავის საუკეთესო მხარის წარმოსაჩენად. ის მეხსიერების ერთგვარ „დაზღვევას“ წარმოადგენს, რისი მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ რაიმე განსაკუთრებული დაიმახსოვრონ შენს შესახებ. ის შეიძლება ერთად აკინძულ ძვირფას ქვებს შევადაროთ, რომლებიც თანდათან ჩნდებიან კომუნიკაციისას, უფრო გრძელი ბრაგალოგის შესაქმენლად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

“BRAGALOGUES”- ranging from thirty second elevator pitch to a three-minute monologue, information about one’s self that is conveyed in a conversational, storylike fashion that’s memorable and elicits interest, excitement or admiration (ბრაგალოგი-იწყება 30 წამიანი თავის რეკლამირებით და სრულდება 3 წუთიანი მონოლოგით, ძალიან გავს რაიმე შთამბეჭდავი ამბის თხრობას, რომელიც გამიზნულია წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს მსმენელზე და მასში შენდამი აღფრთოვანება და ინტერესი გამოიწვიოს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

“BRAG BAG” – a collection of all the information about one’s best self that can be easily accessed: accomplishments, passions, and interests – the colorful details that describe who one is personally and professionally (ტრაბახის გუდა - ადამიანის მიღწევების, ინტერესების, გატაცებების საუკეთესო კრებულს წარმოადგენს, რომელიც კარგად გამოხატავს მისი პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების ფერად დეტალებს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

“BRAG BOMB” – a complete failure in tooting one’s own horn, typically a result of misreading one’s audience, bad timing, and/or lack of preparation (ყუმბარა ტრაბახი - სრული კრახი თავის წარმოჩენის ნიადაგზე, რაც გამოიწვია დროის ცუდმა მენეჯმენტმა, აუდიტორიის არცოდნამ და არასაკმარისმა მომზადებამ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

“BRAG NAGS” – friendly advice on how to deliver your bragging with style (ტრაბახა შემახილი - მეგობრული რჩევა თუ როგორ იტრაბახო გემოვნებიანად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

გარდა ამისა, პ. კლაუსი ცდილობს დაამსხვრიოს ტრაბახის შესახებ არსებული სტერეოტიპები და მითები.

მითი#1 - A job well done speaks for itself (წარმატება თავადვე გვესაუბრება საკუთარ თავზე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

მითი#2 - Humility gets you noticed (თავმდაბლობით სხვებს დაამახსოვრებ თავს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ეს მოსაზრება რელიგიურად მოტივირებულია. უმეტეს კულტურაში, რელიგია გვასწავლის რომ ტრაბახი ცოდვაა და თავმდაბლობის გარეშე ადამიანი ვერ დაიმკვიდრებს ზეციურ სასუფეველს.

მითი#3 - I don’t have to brag, people will do it for me (მე არ უნდა ვიტრაბახო, ეს სხვებმა უნდა აკეთონ ჩემს მაგივრად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ეს საკმაოდ გავრცელებული მოსაზრებაა მსოფლიოს მასშტაბით, რის ჩამოყალიბებაშიც დიდ როლს თამაშობს ჯერ კიდევ ჩვენს ბავშვობაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, როცა მასწავლებელი, მშობელი ან უფრო გამოცდილი და უფროსი ადამიანი შენით ტრაბახობს და გაქებს კარგად შესრულებული დავალებისთვის.

მითი#4 - More is Good (რაც უფრო ბევრს ვილაპარაკებ, მით უკეთესია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ეს მიდგომა ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს, რადგან ამ

დროს, მოსაუბრე კარგავს კონტროლს აუდიტორიაზე, მის ემოციურ განწყობაზე და დაინტერესების ნაცვლად, თავს აბეზრებს მას.

მითი #5 - Brag is four-letter word (ტრაბახი ცარიელი ბგერებია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). სინამდვილეში, ტრაბახი თავიდან ბოლომდე საკუთარი თავის გამოხატულებაა, რომელსაც დიდი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შენსა და შენს მსმენელს შორის ხიდის გასადებად.

3. კლასის მიერ წარმოდგენილი ტრაბახის ხელოვნების თანახმად, მნიშვნელოვანია მოსაუბრემ იგრძნოს თუ როდის ჩაჰბეროს საყვირში (Toot the Horn) ანუ როდის და სად დაიწყოს თავის რეკლამირება.

დაისმის კითხვა, თუკი ისედაც წარმატების ზენიტში იმყოფები, მაშინ, რა საჭიროა ამ თემით აპელირება? კლასი ამ კითხვას შემდეგნაირად პასუხობს, „მნიშვნელობა არ აქვს რამდენად მაღლა ხარ, ყოველთვის საჭიროა სხვებს დაანახო საკუთარი თავი. რაც უფრო მაღლა მიიწევ წარმატებისკენ, მით უფრო მეტად მოგიწევს ამის გაკეთება და ჯობს შენ თვითონ ილაპარაკო საკუთარ თავზე სწორად, ვიდრე სხვებმა შენზე არასწორად“. (Klaus, 2004: 167)

აღსანიშნავია, ავტორის მიერ შემოთავაზებული კიდევ ერთი ტერმინი Techno Bragging (ტექნო ტრაბახი). რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ეხება ტრაბახს ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით. მისი თქმით, თანამედროვე ინტერნეტ სამყაროში კარგად უნდა იცნობდე ტექნოლოგიებს, უნდა გახდე ვირტუალური ექსტროვერტი და იყო პროაქტიური ვირტუალურ კომუნიკაციაში. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღეს, ხშირ შემთხვევაში, სამსახურეობრივი თუ პირადი ურთიერთობები სწორედ ვირტუალურ რელობაში წარიმართება. ამიტომ, უნდა შეგვეძლოს გარემო პირობებთან ადაპტირება, რეალურ თუ ირეალურ განზომილებაში ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება და საკუთარი თავის სწორად წარმოჩენა. უნდა გვახსოვდეს, რაც უფრო ნაკლებად გვაქვს კონტაქტი ადამიანებთან, მით უფრო ნაკლები წარმოდგენა აქვთ მათ ჩვენზე, ან სრულებით არ აქვთ წამოდგენა ჩვენზე. (Klaus, 2004: 167)

3. კლასი იძლევა რეკომენდაციებს თუ როგორ ვაქციოთ ტრაბახი ხელოვნებად: 1. Be your best, authentic self. (იყავით ნამდვილი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 2. Think about to whom you are tooting (კარგად გააცნობიერეთ თუ ვინ არის

თქვენი მსმენელი აუდიტორია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 3. Say it with meaningful and entertaining stories (იტრაბახეთ შინაარსიანად და ხალისიანად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 4. Keep it short and simple (იყავით მოკლე და კონკრეტული; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 5. Be able to back up what you say (ისაუბრე არგუმენტირებულად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 6. Know when to stop (იცოდეთ როდის არის ტრაბახისთვის შესაფერისი დრო; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 7. Turn small talk into big talk (უმნიშვნელო საუბარი მნიშვნელოვნად აქციეთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 8. Keep braglogues and brag bites current and fresh. (იყავი აქტუალური და სიახლეებით სავსე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 9. Be ready at a moment's notice (იყავით სულ მზადყოფნაში; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 10. Have a sense of humor (არ დაკარგოთ იუმორის გრძნობა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), 11. Use it all: your eyes, ears, head and heart (გამოიყენეთ ყველაფერი შენი უნარი ერთდროულად: მხედველობა, სმენა, აზროვნება, წინათგრძნობა; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). (Klaus, 2004:191)

აღსანიშნავია, კიდევ ერთი ავტორის, მ. ფაინმანის წიგნი “Brag better: “Master the art of fearless self-promotion”(იტრაბახე უკეთ: დახვეწე უშიშარი თვით-რეკლამირების ხელოვნება). წიგნის სათაურშივე ჩანს ფაინმანის მოსაზრება, რომ ტრაბახი სხვა არაფერია თუ არა გაბედული თვით-რეკლამირება. ფაინმანის თქმით, ადამიანის სქესი, წარმომავლობა, სექსუალური მიდრეკილება, ასაკი, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები, ბავშვობის გამოცდილება აყალიბებს მისივე დამოკიდებულებას ტრაბახის ფენომენისადმი. მისი აზრით, მორცხვმა ადამიანებმა საკუთარ თავში ჯანსაღი სიამაყის განვითარებით უნდა ისწავლონ თუ როგორ გახდნენ შესამჩნევი. წიგნის ავტორი სწორედ სიამაყეს, უფრო სწორად კი, ენთუზიაზმით გამოხატულ სიამაყეს ასახელებს ტრაბახის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად.

მეტიც, მ. ფაინმანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ჩვენი წარმატება იმსახურებს ხმამაღალ განხილვას, მხოლოდ, ეს უნდა მოხდეს სტრატეგიულად და გააზრებულად. მისი შეხედულებით, სტრატეგიული თვით-რეკლამირება საკმაოდ მომგებიანი ფსიქოლოგიური მექანიზმია, რომლის სწორი გამოყენებაც ეფექტურად მოქმედებს აუდიტორიაზე. (Fineman, 2020:3)

მ. ფაინმანი გამოყოფს ადამიანების ჯგუფს, რომელსაც შემდეგნაირად მოიხსენიებს: **The Qualified Quiet** (შეუმჩნეველი ჭკვიანი). უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის საკმაოდ განათლებულ ადამიანთა ერთობლიობა, რომლებსაც არ გააჩნიათ თავის წარმოჩენის არანაირი გონივრული სტრატეგია და რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი მიღწევები თავად ილაპარაკებენ მათზე. ასეთი ადამიანები ძალიან ბევრს მუშაობენ თავად პროდუქტის შექმნაზე და არა მათი ეფექტური გზით რეპრეზენტაციაზე. ასეთი ადამიანები ჩვენს საზოგადოებაში მრავლადაა, ისინი შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევიან: ეუხერხულებათ საკუთარ წარმატებაზე სხვებთან საუბარი, თავს არაკომფორტულად გრძნობენ, როცა სხვათა ტრაბახს ისმენენ, ანერვიულებთ იმაზე ფიქრიც კი, რომ შეიძლება სადმე საჯაროდ მოუწიოთ სიტყვით გამოსვლა, შეუძლიათ საათობით ისაუბრონ თავიანთ წარმატებულ მეგობრებზე, მაგრამ არაფერი თქვან საკუთარ თავზე, ვერ ბედავენ კლასში ხელის აწევას მაშინაც, კი როცა 100%-ით დარწმუნებული არიან სწორ პასუხში. (Fineman, 2020:8)

სხვა ავტორების მსგავსად, მ. ფაინმანიც გვაძლევს რჩევებს თუ როგორ ვიტრაბახოთ ისე, რომ გაღიზიანება არ გამოვიწვიოთ: 1. გამოიყენე ფაქტები საკუთარი თავის წარმოსაჩენად და ილაპარაკე მხოლოდ სიმართლე. ტრაბახიც ხომ სხვა არაფერია თუ არა ფაქტების კონსტატაცია, 2. იყავი თავდაჯერებული და ხმა მაღალი; 3. ნუ გამოიჩენ თავს იმიტომ, რომ მხოლოდ საკუთარ თავს მოუტანო სარგებელი, იფიქრე შენს გარშემომყოფებზეც, ეცადე მათაც იპოვონ ამაში სარგებელი; 4. კარგად გაიაზრე ის, რის თქმასაც აპირებ. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რას ამბობ, არამედ, როგორ ამბობ; 5. იყავი ლაკონიური და მოქნილი. სინამდვილეში, სწორი ტრაბახი ნიშნავს იცოდე თუ რა არ უნდა თქვა; 7. გაიაზრე თუ რატომ ტრაბახობ და რისი მიღწევა გასურს ამით; 8. აქციე ტრაბახი შენს ჩვევად. (Fineman, 2020:80)

მიუხედავად იმისა, რომ ტრაბახის ფენომენისადმი დამოკიდებულება საგრძნობლად შეიცვალა და საზოგადოება ასეა თუ ისე კეთილგანწყობილია მის მიმართ, მაინც ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის წარმოჩენის შიში აქვს. წიგნში “Brag better: “Master the art of fearless self-promotion”(იტრაბახე უკეთ: დახვეწე უშიშარი თვით-რეკლამირების ხელოვნება) ვკითხულობთ, რომ ადამიანებს, რომლებსაც ეშინიათ თავის წარმოჩენის, შეიძლება ჰქონდეთ იმპოსტორის სინდრომი (IS). (Fineman, 2020:30)

sblog.ge-ზე ტერმინის „იმპოსტორის სინდრომი“ შემდეგ განმარტებას ვხვდებით: იმპოსტორის სინდრომი, იგივე იმპოსტორიზმი, წარმოადგენს ფსიქოლოგიურ მოდელს, რომლის ყველაზე გავრცელებული სიმპტომია საკუთარ თავში ეჭვის შეტანა და შიში იმისა, რომ თქვენი წარმატება მხოლოდ თაღლითობის შედეგია. ეს არის გრძნობა, რომელიც ნებისმიერი მიღწევის დროს შინაგანად გადანდგურებს, რადგან გგონია, რომ საკმარისად კარგი არ ხარ და არ იმსახურებ წარმატებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვებს შენი სჯერათ და შენივე შედეგები საპირისპიროს ამტკიცებს. sblog.ge/რა-არის-იმპოსტორის-სინდრ/

ამასთან, ავტორს მაგალითად მოჰყავს მოსაზრება, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ არისტოტელეს პერიოდიდან იღებს და რომელიც ხაზს უსვამს, რომ ერთი და იგივეს გამეორებას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებული კომუნიკაციისთვის. “You have to tell people what you are going to tell them, you have to tell them, and then you have to tell them what you told them” (თქვენ სხვებს უნდა უთხრათ ის, რის თქმასაც აპირებთ და შემდგომ უნდა უთხრათ ის, რაც უკვე უთხარით; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

არასოდეს არის გვიანი და არასოდეს არის ადრე იტრაბახო. მთავარია, იცოდეთ თუ ვინ არის შენი მსმენელი აუდიტორია და რისი მოსმენა სურს მას შენგან. ტრაბახი ძალიან გავს საკუთარი თავის გაყიდვას და სანაცვლოდ რაიმეს მოთხოვნას. (Fineman, 2020:24)

უდავოა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია პირველადი შთაბეჭდილების მოხდენა, რაც სრულიად დაუგეგმავად და მოულოდნელად შეიძლება მოხდეს. კომუნიკაციის მენეჯერი ჯ. ჰემპრი ამბობს, რომ იმ ადამიანების საიდუმლო, რომლებიც თავს არაჩვეულებრივად ართმევენ საკუთარი თავის სპონტანურად და ამავდროულად, ეფექტურად წარდგენას, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წინასწარ ძალიან ბევრს ემზადებიან თუ როგორ იყვნენ სპონტანურები. ჯ. ჰემპრის რეკომენდაციით, ყოველთვის მზად უნდა გვქონდეს შესავალი ნაწილი თავის წარმოსაჩენად, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არ იქნება სპონტანურობა დამაბნეველი ან ყველაზე ცუდ შემთხვევაში, კრაზის მომტანი. უნდა გვახსოვდეს, რომ სხვებზე დადებითი

შთაბეჭდილების მოხდენა, შეიძლება გრძელვადიანი და მყარი ურთიერთობების საწინდარი გახდეს. [Book review: 'Taking the Stage', by Judith Humphrey \(ft.com\)](#)

როგორც უკვე ვახსენეთ, თანამედროვე ეპოქაში, სიტყვა „ტრაბახი“ ჩაანაცვლა სიტყვამ „თვით-რეკლამირება“ (self-promotion). Study.com-ზე სოციალური ფსიქოლოგია ამ ფენომენს შემდგენაირად გვიხასიათებს: თვით-რეკლამირება არის მცდელობა საკუთარი თავი წარმოაჩინო წარმატებულ, რეალიზებულ და ნიჭიერ ადამიანად სხვების თვალში. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით იქნას მიღწეული, პირისპირ კომუნიკაციისას, სოციალურ მედია პლატფორმების საშუალებით, საჯარო გამოსვლებში ან სულაც ჩვენი მანევრულობით, ჟესტებითა თუ ჩაცმის სტილით. თვით-რეკლამირება საკმაოდ ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ადამიანებს გააზრებულად თუ გაუაზრებლად გვსურს სხვების თვალში დადებითი ემოციები აღვძრათ და მოვიპოვოთ გარემომომყოფთა სიმპათია. არის ისეთი შემთხვევები, როცა თვით-რეკლამირება გარდაუვალია, მეტიც, ის აუცილებელია მიზნის მისაღწევად, მაგალითად, თუ ვიმყოფებით გასაუბრებაზე სხვა 50 კონკურენტ აპლიკანტთან ერთად. [Self Promotion Overview & Examples | What is Self Promotion? - Video & Lesson Transcript | Study.com](#)

მწერალი ს. ბარბერი კი ამბობს, რომ ტრაბახს უნდა შევხედოთ როგორც საინტერესო ამბის თხრობას სხვების თანდასწრებით. საკუთარ თავზე ნარატივი დასაძრახად აღარ მოგვეჩვენება თუკი ვიფიქრებთ, რომ ჩვენი ამბის გაზიარებამ შეიძლება სხვას სარგებელი მოუტანოს, მეტიც, რაიმე პრობლემის გადაჭრაშიც კი დაეხმაროს. [Are You Ready to Be Great at Self-Promotion? \(linkedin.com\)?](#)

ამერიკელი საბავშვო მწერალი და მულტიპლიკატორი თ. სიუზი გაისელი ამბობს: “Why fit in when you were born to stand out?” (რატომ უნდა იდგე ჩრდილში, თუ შეგიძლია გამოირჩეოდე სხვებისგან? თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). <https://www.quoteikon.com/why-fit-in-when-you-were-born-to-stand-out.html>

ვებგვერდზე - center for creative leadership, ვკითხულობთ, რომ სწორი თვით-რეკლამირება სინამდვილეში არის ეფექტური კომუნიკაცია, ინფორმაციის გაზიარების პროცესი, ახალი ურთიერთობების დამყარების საშუალება, რაც აუცილებელია წარმატებული ლიდერისთვის. ნამდვილმა ლიდერმა უნდა იპოვოს

ზღვარი გადაჭარბებულ ტრაზახსა და გადაჭარბებულ თავმდაბლობას შორის. ავტორის თანახმად, თვით-რეკლამირება დღეს უფრო საჭიროა, ვიდრე წლების წინ, განსაკუთრებით კი სამუშაო გარემოში და ამის არაერთ მიზეზს გვისახელებს. მაგალითად, სტატიის ავტორი გვეუბნება, რომ ნიჭიერება არ არის წარმატების გარანტი, შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ ცოტამ თუ იცოდეს ამის შესახებ, მითუმეტეს ისეთ ქაოტურ ეპოქაში, როგორცაა XXI საუკუნე, სადაც ყველა დაკავებულია, ყოველდღე ახალ-ახალი კომპანიები ჩნდება ასპარეზზე, იზრდება კონკურენცია, იცვლება პრიორიტეტები, ვითარდება ტექნოლოგიები, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ჩვენი მუშაობის სტილზე. [A Complete Guide to Self-Promotion at Work | CCL](#)

აღსანიშნავია, კ. ვიტის წიგნი “Real Leaders Don’t Do PowerPoint: How to Sell Yourself and Your Ideas“ (ნამდვილი ლიდერები არ იყენებენ ფოვერ ფოინთს: როგორ გაყიდო საკუთარი თავი და იდეები). ავტორი თანახმად, “Self-promotion is about making known the value of your ideas, skills, abilities, and accomplishments...at the right time, in the right way, to the right degree, for the right reason“ (თვით-რეკლამირება არის საკუთარი უნარების, იდეების, შესაძლებლობების, მიღწევების წარმოჩენა სწორ დროს, სწორი გზით, საჭირო დოზით, საჭირო მიზნით; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). ამასთან, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მეცნიერებისგან გასხვავებით, ვიტი გვეუბნება, არაფერია დასაძრახი იმაში, თუ იტყვი რომ რაიმე არ შეგიძლიათ ან არ იცით. პირიქით, ილაპარაკო მაგალითად „მე ნიჭიერი ვარ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, მაგრამ არა ლიტერატურაში“, უფრო სარწმუნოს და დამაჯერებელს ხდის მსმნელისთვის წინადადების პირველ ნაწილს: „მე ნიჭიერი ვარ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“. ტრაზახი, ძალიან გავს სარეკლამაო კამპანიას. ამიტომ, უნდა გახსოვდეს, რომ მხოლოდ ერთი რეკლამით ვერ მოახდენ ზეგავლენას გარშემომყოფებზე. უნდა იტრაზახო ხშირად, მაგრამ არა გადაჭარბებული დოზით. [How to Promote Yourself without Being Full of Yourself \(christopherwitt.com\)](#)

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი თეორიები და შეხედულებები უმეტესწილად იმას ამტკიცებს, რომ ტრაზახი ანუ იგივე თვით-რეკლამირება უნდა იყოს ნამდვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შენი ნარატივი უპირობოდ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სიმართლეს.

თუმცა, შეიძლება დავსვათ კითხვა, ნუთუ ყველა ვინც ტრაზახობს აუცილებლად სიმართლეს ამბობს? შესაძლებელია თუ არა ტყუილითაც მიაღწიო სასურველ შედეგს? მეტიც, შეიძლება თუ არა ჩვენ თვითონ იმდენად ბუნებრივად გჯეროდეს საკუთარი ტყუილის, რომ სხვებს სიმართლედაც კი მოეჩვენოს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დაგვეხმარება ამერიკელი მეცნიერი რ. ტრივერსის მიერ შემოთავაზებული საინტერესო თეორია “Deceit and Self-deception” (ტყუილი და თვით-მოტყუება). რ. ტრივერსის თანახმად, ადამიანები მიდრეკილნი არიან თვით-მოტყუებისკენ, მათ აქვთ ემოციური მიჯაჭვულობა ისეთ რწმენებთან, რომლებიც სრულიად ირაციონალურიც კი შეიძლება იყოს. ირაციონალურ რწმენებთან მიჯაჭვულობა და მათი რაციონალურად აღქმა კი შესაბამის ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე, კერძოდ კი, მათ საუბარსა და მონათხრობის შინაარსზე. ადამიანი საკუთარ თავს აჯერებს იმაში, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ სხვები მარტივად დაარწმუნოს მისი ნარატივის ჭეშმარიტებაში. როდესაც ადამიანი საკუთარ „მეს“ არწმუნებს არარეალურის რეალურობაში, გაცილებით ეფექტურად ნიღბავს საკუთარ ტყუილს. რ. ტრივერსი გვეუბნება: "Hiding the truth from yourself to hide it more deeply from others" (ის, ვინც ატყუებს საკუთარ თავს, ძალიან მარტივად მოატყუებს სხვასაც; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სიმართლის დამალვა ცნობიერისგან არაცნობიერში.

იტყუებოდე და თან მთელი არსით აცნობიერებდე ამას, საკმაოდ რთული პროცესია და ინდივიდისგან მოითხოვს დიდ მენტალურ ძალისხმევას. რაც უფრო რთული აგებულებისაა ტყუილი, მით უფრო მეტი კოგნიტური რესურების დახარჯვა მოგიწევთ მის შესანახად. თვით-მოტყუების დროს კი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ტყუილი აღარ გეჩვენება ტყუილად, ჭეშმარიტებად იქცევა იგი და შესაბამისადაც ნაკლებ კოგნიტურ სირთულეებთანაა დაკავშირებული მისი შენახვა.

[DECEIT AND SELF-DECEPTION | Edge.org](https://www.edge.org/deceit-and-self-deception)

ზემოთ წარმოდგენილი თეორია შეგვიძლია მოვარგოთ ტრაბახის ფენომენსაც და დავასკვნათ, რომ შეიძლება ტრაბახის ნარატივი სულაც არ იყოს მთლიანად ჭეშმარიტებაზე აგებული, მაგრამ თუკი მოსაუბრეს, თავად ჯერა იმ ტყუილის ჭეშმარიტების რითაც აპელირებს მსმენელის წინაშე, მაშინ, მსმენელისთვის შეუძლებელი იქნება ტყუილის იდენტიფიცირება და მოსაუბრის მხრიდან ტრაბახში ჩადებული ინტენცია წარმატებით იქნება მიღწეული.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე საზოგადოება გახდა უფრო მეტად ტოლერანტული ტრაბახის, როგორც წარმატების მიღწევისთვის საჭირო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის მიმართ და ახლა, მისდამი დამოკიდებულება გაცილებით „მეგობრულია“, ვიდრე ადრეულ წლებში. ეს ცვლილება ასახავს საზოგადოებაში წარმოქმნილ ახალ ნორმებსა და ღირებულებებს, სადაც პიროვნული მიღწევებისა და უნარების დემონსტრირება გახდა მიღებული და აუცილებელი.

მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს ჯანსაღი კრიტიკა, არსებობს ჯანსაღი ტრაბახიც. მთავარია ვიცოდეთ, როგორ ვიტრაბახოთ ზედმეტი პომპეზურობის გარეშე და არ გავაღიზიანოთ ჩვენი მსმენელი აუდიტორია და ნაცვლად სიმპათიისა, ჩვენ შორის არ წარმოიშვას ემპათიური ფანჯარა. ტრაბახი ერთგვარი სოციალური სტრატეგიაა, რომლის გამოყენებასაც ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ზღვარი ოსტატურად თავის წარმოჩენასა და გამაღიზიანებელ ბაქიაობას შორის ძალიან უმნიშვნელოა.

2.4. ტრაბახი, როგორც სამეტყველო აქტი

ტრაბახის, როგორც სოციალური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა მსმენელ აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენა. სწორედ მისი ეს თვისება გვამღევეს ობიექტურ მიზეზს, რომ იგი სამეტყველო აქტად მივიჩნიოთ.

ბ. ჭურჭელაურის ნაშრომში „მუქარის გამოხატვის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური თავისებურებები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პროცესში“ ვკითხულობთ, რომ საკუთარი თავის გამოხატვის მიზნით ადამიანები არამხოლოდ ლინგვისტურ გამონათქვამებს, არამედ ამ გამონათქვამების

მეშვეობით გარკვეულ ქმედებასაც ასრულებენ. აღნიშნული გამონათქვამები წარმოადგენს სამეტყველო ურთიერთობის მინიმალურ, ძირითად ერთეულებს, რომლებშიც რეალიზდება მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური მიზანი და ამავდროულად ხდება ზემოქმედება ადრესატზე. ქმედება, რომელიც ხორციელდება გამონათქვამის მეშვეობით, **სამეტყველო აქტის** სახელით არის ცნობილი. სამეტყველო აქტი წარმოადგენს გარკვეული სახის სოციალური ხასიათის ინტერაქციას, რომელიც სიტყვების მეშვეობით გამოხატავს კონკრეტულ სამეტყველო განზრახვას (ჭურჭელაური, 2020:23).

სამეტყველო აქტები, მათთვის დამახასიათებელი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური ნიშან-თვისებების გამო კომუნიკაციის მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ და გვეხმარებიან იმის იდენტიფიცირებაში, თუ რა ამოძრავებს მოსაუბრეს სიტყვით გამოსვლისას, მაგალითად: დაპირება, ტრაზახი, მუქარა, გაფრთხილება, აღიარება ა.შ. (Green, 2016:1)

სამეტყველო აქტები შეისწავლება სამეტყველო აქტების თეორიის მიერ (Speech Act theory; Theory of Speech Acts). ერთიანი მთლიანი სამეტყველო აქტი სამეტყველო აქტების თეორიაში განიხილება, როგორც სამდონიანი წარმონაქმნი: ლოკუციური აქტი, ილოკუციური აქტი და პერლოკუციური აქტი.

ე. ბალიაშვილს სტატიაში „სამეტყველო აქტების რეალიზაცია საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში“ მოჰყავს ფ. სტროსონის მოსაზრება, რომ ილოკუციური აქტი ლოკუციური აქტისგან განსხვავდება მიზანმიმართულებით, ხოლო ილოკუციური აქტის პერლოკუციური აქტისგან განმასხვავებელ ნიშნად იგი კონვენციონალურობას ასახელებს. (ბელიაშვილი, 2008:54).

ქ. ჭოხონელიძე ნაშრომში „პრაგმატიკული მარკერების ფუნქციების ლინგვოპრაგმატიკული ანალიზი“ ლოკუციურ, ილოკუციურ და პერლოკუციური აქტებს შემდეგნაირად ახასიათებს:

ლოკუციური აქტი - არის მეტყველების ფორმა, ენობრივი ქმედება, რომელიც ახდენს გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას. ის აჩვენებს, რას ვამბობთ. ლოკუციური აქტის შექმნის პროცესისთვის აუცილებელია გამონათქვამის მონახაზის გაკეთება, წინადადების შექმნა და მისი კონტექსტუალიზაცია.

ლოკუციური აქტი ეფუძნება ილოკუციურ აქტს, რომელიც კომუნიკაციური ინტენციის ფორმირების აქტს წარმოადგენს. ყოველი გამონათქვამი გარკვეული კომუნიკაციური მიზნით წარმოითქმის, არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის გარეშე. (ჭოხონელიძე, 2014:22).

კონკრეტული მიზნის გარდა, ყველა გამონათქვამის საერთო მიზანს წარმოადგენს მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენა ან მისი გამოწვევა (იულიე 1996:48). ეს არის სამეტყველო აქტის მესამე განზომილება - პერლოკუციური აქტი. პერლოკუციური აქტი ორიენტირებულია ადრესატზე, რა შედეგი ექნება მასზე წარმოთქმულ გამონათქვამს. (ჭოხონელიძე, 2014:23).

ე. ბელიაშვილი წამოგვიდგენს ჯ. სერლის მიერ შემოთავაზებულ სამეტყველო აქტების ხუტ კატეგორიას, ესენია:

1. რეპრეზენტატივები/ასერტივები(Representatives/assertives)- აღნიშვნა/მტკიცება, რომელთა არსიც მდგომარეობს საქმის ვითარების აღნიშვნა-წარმოდგენაში; მაგ: მტკიცება/განცხადება (ჭემმარიტი/მცდარი), დასკვნა, არწერა.

2. დირექტივები (Directives) - მითითებები, რომელთა არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მსმენელს მიუთითოს რაიმეს გაკეთება; წარმართოს მსმენელი რაიმე მიზნისკენ. მაგ: ბრძანება, თხოვნა, წინადადება.

3. კომისივები (Commissives) - ვალდებულების აღება, რომელთა არსია მოლაპარაკის მიერ ვალდებულების აღება რაიმეს შესრულებაზე. მაგ: პირობის მიცემა, მუქარა, უარი.

4. ექსპრესივები (Expressives)-გამოხატვა, მათი არსია გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოხატვა; ამ ტიპის სამეტყველო აქტი გვიჩვენებს მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, იმას თუ, რას გრძნობს იგი. მაგ: მილოცვა, მადლობა, მობოდიშება, მოწვევა/მიღება, სიამოვნების, ტკივილის, მოწონების, წუხილისა და სიხარულის გამოხატვა.

5. დეკლარაციები (Declarations)- განცხადება, რომელთა არსია, რაღაც შეცვალოს სამყაროში; მაგ: განკვეთა, გაძევება. მოსაუბრეს უნდა ჰქონდეს სპეციალური ინსტიტუციონალური სტატუსი, როლი სპეციფიკურ კონტექსტში. (ბელიაშვილი, 2008:55).

აღნიშნულ კლასიფიკაციას ჯ. იული შემდეგი ცხრილით წარმოგვიდგენს:

Speech act type	Direction of fit	S= speaker/X=situation
Declarations	words change the world	S causes X
Representatives	make words fit the world	S believes X
Expressives	make words fit the world	S feels X
Directives	make the world fit words	S wants X
Commissives	make the world fit words	S intends X

ტრაბახი სამეტყველო აქტის ერთ-ერთი ფორმაა, იმდენად რამდენადაც, ტრაბახა ადამიანის მონოლოგი არამხოლოდ უბრალო სიტყვების წყებაა, არამედ სიტყვებით შესრულებული მოქმედებაა მასში ჩადებული კონკრეტული განზრახვით. ტრაბახი სოციალური ხასიათის ინტერაქციაა, ინტენციური მეტყველებაა, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური მიზანი ამოძრავებს, ჩვენ შემთხვევაში კი ეს მიზანი აუდიტორიის მართვა-მანიპულირებაა.

უფრო ზუსტად კი, ტრაბახის ილოკუციური ძალა მოსაუბრის უნარების წარმატებით დემონსტრირებაში მდგომარეობს. მეტიც, გარკვეულწილად, ტრაბახი თავისი ბუნებით ძალდატანებითია, თითქოს მსმენელს აძალებს ირწმუნოს მისი უპირატესობა.

ჯ. სერლის მიერ შემოთავაზებული სამეტყველო აქტების კატეგორიები ტრაბახსაც შეიძლება შევუსაბამოთ. მაგალითად, ტრაბახი როგორც **ექსპრესივი (Expressives)**. ტრაბახი ექსპრესივია იმდენად, რამდენადაც ის გამოხატავს ადამიანის გრძნობებს, ემოციებს, სუბიექტურ დამოკიდებულებებს საკუთარი თავის მიმართ. მაგალითად: "I'm so proud of myself - I just finished writing my first book, and it's going to be a bestseller!" (ვამაყობ საკუთარი თავით, ეს ესაა დავასრულე პირველი წიგნის წერა. დარწმუნებული ვარ ბესოსელერი გახდება; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). "I must say, I

outdid myself with that project presentation. I've always known I have a knack for delivering outstanding results."(საკუთარ შესაძლებლობებსაც კი გადავაჭარბე პრეზენტაციის წარდგენისას. ყველთვის ვიცოდი, რომ უმაღლესი შედეგებისთვის შემემძლო მიმედწია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახი, როგორც რეპრეზენტატივი/ასერტივი (**Representatives/assertives**). მათი არსი მდგომარეობს საქმის ვითარების აღნიშვნა-წარმოდგენაში, ფაქტობრივი და ჭეშმარიტი ინფორმაციის ციტირებაში, ვიდრე საკუთარი შინაგანი გრძნობების დემონსტრირებაში. მაგალითად, ვიცით, რომ მოსაუბრე მართლაც გახდა კონკურსის გამარჯვებული და ჭეშმარიტი ფაქტით ტრაბახობს: "I won the spelling bee last year" (გასულ წელს მართლწერის კონკურსში გავიმარჯვე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახი, როგორც კომისიები (**Commissives**). მაგალითად, როცა პირობას დადებ, რომ რაღაც დიდ საქმეს გააკეთებ, "Just watch, I'll be the best player on the team" (აი ნახავ, საუკეთესო მოთამაშე ვიქნები გუნდში; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახი ყველაზე მეტად სამეტყველო აქტის ამ სამ სახეობას შეესაბამება. ტრაბახი, როგორც რეპრეზენტატივი/ასერტივი (**Representatives/assertives**), თავდაჯერებულად გადმოსცემს სათქმელს. ტრაბახი, როგორც ექსპრესივი (**Expressives**), ფოკუსირებულია წარმატების დემონსტრაციულად გადმოცემაზე, ხოლო ტრაბახი, როგორც კომისიები (**Commissives**), ყოველთვის ყოველთვის გვპირდება იდეალურობას. ტრაბახის ყველა ტიპი ენას იყენებს სტრატეგიულად, დომინანტობის საჩვენებლად ან ძალაუფლების გამოსავლენად, ხაზს უსვამს თვითრეკლამის რთულ ხასიათს სამეტყველო აქტების ფარგლებში.

2.5. ტრაბახი ფსიქოლინგვისტიკის გადმოსახედიდან

ფსიქოლინგვისტიკა ანუ ენის ფსიქოლოგია წარმოადგენს ინტერ-დისციპლინარულ მეცნიერებას, ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციას, რომელიც მარტივად რომ ვთქვათ, იკვლევს იმ ფსიქოლოგიურ და ნევრობიოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანს ანიჭებს ენის შეთვისების, გაცნობიერების და გამოყენების უნარს. ვინაიდან, ფსიქოლინგვისტიკა მეტად მასშტაბური და მრავლისმომცველი ჰიბრიდული ტიპის მეცნიერებაა, მისი ერთი კონკრეტული

განსაზღვრება არ არსებობს. იგი მჭიდრო კავშირშია განათლებისა და ფილოსოფიის სფეროებთან, დაინტერესებულია ისეთი კოგნიტური პროცესებით, რომლებიც განაპირობებს გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულების წარმოქმნას და მათ ტექსტად ფორმირებას. (Rzayeva, 2018:42)

ი. ჰანკის თანახმად ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის იმ ფსიქოლოგიურ და ნევრობიოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანს ეხმარება ენის შეცნობასა და გამოყენებაში. ფსიქოლინგვისტიკაში გამოიყოფა 3 ძირითადი განშტოება: language processing (ენობრივი დამუშავება) - დაინტერესებულია თუ რა ხდება ადამიანის გონში, რა მექანიზმები აქტიურდება გონში ისეთი კომპლექსური აქტივობებისას, როგორცაა საუბარი, სმენა ა.შ; language acquisition (ენის ათვისება) - დაინტერესებულია თუ როგორ ხდება ენის ათვისება-სწავლა; neurolinguistics (ნევროლინგვისტიკა) - პირველი ორისგან განსხვავებით ნაკლებადაა დაინტერესებული ადამიანის გონით. მისი მიზანია გაარკვიოს თუ როგორ არის ენა წამოდგენილი ტვინში. https://www.youtube.com/watch?v=V0CX_5jKJYI&t=349s

გამომცემლობა Scholink-ის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „Studies in Linguistics and Literature“ (კვლევები ლინგვისტიკასა და ლიტერატურაში) ვკითხულობთ, რომ ფსიქოლინგვისტიკა სწავლობს იმ პროცესებს, რომლებსაც ტვინი განიცდის ენის შემეცნებისა და გამოყენების დროს. ასევე, იმას როგორ ახერხებს ადამიანი რელევანტური სიტყვების მოძიებას მენტალური ლექსიკონიდან, როცა ხედავს წერითი ფორმით ან ესმის ზეპირი ფორმით წარმოდგენილი ლინგვისტური მონაცემები. (Balamurugan, 2018:11).

ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორის, ლინგვისტის, ვ. კოულსის თანახმად, ფსიქოლინგვისტიკა დაინტერესებულია ბგერების სისტემით, კერძოდ, თუ როგორ ხდება მოსაუბრის მიერ ბგერების წარმოება და როგორ ვახერხებთ სწორი ბგერების იდენტიფიცირებას რეალურ გარემოში. განსხვავებულად წარმოთქვამს თუ არა ერთიდაიგივე ბგერას ორი სხვადასხვა მოსაუბრე, შეიძლება თუ არა ბგერებით გამოიხატოს კომუნიკანტთა ემოცია ან სინტაქსურად როგორ ხდება სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება, მისი ფრაზად ან წინადადებად ფორმირება და შემდგომ მსმენელის მიერ სიტყვების ამ დაჯგუფების გაგება-გაანალიზება (Cowles, 2011: 23).

ა. გარნჰამი თავის ნაშრომში “Psycholinguistics-Central Topics” (ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი საკითხები) ასახელებს ფსიქოლინგვისტიკისთვის საინტერესო საკითხებს, ესენია: ა) როგორ ხდება სიტყვების იდენტიფიცირება; ბ) რა განსაზღვრავს წინადადების აგებულებას; გ) როგორ ხდება წინადადების მნიშვნელობის გაგება; დ) როგორ არის წინადადების მნიშვნელობა კომუნიკაციისას ადრინდელ გამოცდილებასთან დაკავშირებული; ე) რამდენად ეფექტურად ხდება სათქმელის მსმენელამდე მიტანა. თუ ფსიქოლოგია სწავლობს კონტროლს ქცევაზე, ფსიქოლინგვისტიკა სწავლობს კონტროლს ლინგვისტურ ქცევაზე. (Garnham, 1985:4)

ფსიქოლინგვისტიკის აღმოცენება ძველ ეგვიპტურ ცივილიზაციასთან არის დაკავშირებული. ამას ადასტურებს ეგვიპტეში ძვ. წ. 1700 წელს შექმნილი პირველი კატალოგი გონებრივი ტრავმების შედეგად გამოწვეული ენობრივი დარღვევების შესახებ, რომელიც დღეს „ედვინ სმიტის ქირურგიული პაპირუსის“ სახელით არის ცნობილი. (Altmann, 2006:1).

ვ. ვუნდტი იმ პირველთაგანია, რომელმაც აქტიურად დიწყო საუბარი ენისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციის შესახებ, 1900 წელს გამოაქვეყნებულ ნაშრომში „Die Sprache“. მეცნიერთა შორის არაერთი მოსაზრება არსებობდა ამ ორი ფენომენის ურთიერთკავშირის შესახებ, მაგალითად, ბ. დელბურკი მიიჩნევდა, რომ ენისა და ფსიქოლოგიის გზები ერთმანეთთან არ უნდა გადაკვეთილიყო და საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ლინგვისტები შეისწავლიდნენ ენის მხოლოდ ისეთ ფორმალურ ასპექტებს, როგორცაა ბგერათა სისტემა, გრამატიკული კონსტრუქციები, სიტყვათა წარმოების წესები ა.შ. (Covles, 2011:14)

თავის მხრივ კი, ფსიქოლოგები არ წყვეტდნენ ინტერესს ენის მიმართ და აქცენტს ენის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე აკეთებდნენ. მაგალითად, მათთვის საინტერესო იყო თუ როგორ ხდებოდა სინტაქსური კონსტრუქციების ფორმირება აწმყოში, ახასიათებდა თუ არა ენას ორაზროვნება, როგორ ხდებოდა ცნებების მატერიალიზაცია ენობრივ დონეზე ა.შ. (Covles, 2011:17).

XIX საუკუნემდე ფსიქოლინგვისტიკაში დომინირებდა ფილოსოფიური შეხედულებები, რადგან ნაკლებად ტარდებოდა ექსპერიმენტული კვლევები სხეულის ენაზე, მეტყველებაზე, მეხსიერებაზე ა.შ.

ენასა და გონს შორის კავშირის შესახებ პირველი სისტემური კვლევების პროტაგონისტები იყვნენ: ჟ. ბოდრიარი, პ. ბროკა, კ. ვერნიკე, ლიხტეიმი და სხვანი. მართალია ვერცერთ მათგანს ვერ ვუწოდებთ ფსიქოლინგვისტს, მაგრამ მათი წვლილი ფსიქოლინგვისტიკის განვითარებაში უდავოა.

რაც შეეხება მე-20 საუკუნეს, ის საკმაოდ ქაოტური და მშფოთვარე იყო ფსიქოლინგვისტიკისთვის. ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის ჯ. ბროდუს უოტსონი, რომელიც ეწინააღმდეგება ვუნდტის შეხედულებებს და ამბობს, რომ ფსიქოლოგია უფრო მეტად უნდა დინტერესდეს ადამიანის ქცევებით და ამ ქცევებზე დაკვირვებით, ვიდრე ცნობიერით და ინტროსპექციით.

ნ. ჩომსკიმ ერთმანეთისგან განასხვავა „კომპეტენცია“ და „პერფორმანსი“. პირველი თავის თავში მოიაზრებს ენის ცოდნას, ხოლო მეორე ამ ენის გამოყენებას. ნ. ჩომსკის მოსაზრებით, რომ არა ადამიანის გონი, ვერცერთი მათგანი ვერ იარსებებდა. სწორედ ადამიანის გონია ენის ცოდნის და მითუმეტეს მისი გამოყენების საწინდარი. (Altmann, 2006:1).

აღსანიშნავია, ენისა და ტვინის ურთიერთმიმართების შესახებ მოსაზრება ა. ბედდელის მიერ და მის მიერ წარმოდგენილ მუშა მეხსიერების ფენომენი. მუშა მეხსიერებას „მენტალურ წიგნაკთანაც“ (mental scratchpad) აიგივებენ. ეს არის ადგილი, სადაც ხდება მიღებული ინფორმაციის შენახვა-დამუშავება. მუშა მეხსიერება შედგება სამი ნაწილისგან: 1. **Visuospatial sketch pad** - ვიზუალურ-სივრცითი საცავი (ინახავს ვიზუალურ და სივრცით ინფორმაციას, პასუხისმგებელია ვიზუალური ხატების აგება-მანიპულაციასა და მენტალური რუქების რეპრეზენტაციაზე. მასში გამოვყოფთ ვიზუალურ სისტემას, რომელიც დაინტერესებულია ფერებით, ფორმებით, აგებულებით და სივრცით სისტემას, რომელიც დაინტერესებულია ლოკაციით), 2. **Central executive** - მთავარი მაკონტროლირებელი ელემენტი (ფილტრავს ინფორმაციის ნაკადს, ასხვავებს მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას ერთმანეთისგან, წარმართავს კოგნიტურ პროცესებს, მაშინ, როცა ტვინი ერთდროულად რამდენიმე მოქმედებას ასრულებს. უზრუნველყოფს ინფორმაციის მთლიანობას და ახდენს მასზე დაქვემდებარებული სისტემების ეფექტურ კოორდინირებას), 3. **Phonological loop** - ფონოლოგიური

მარყუჭი (ინახავს ენის ხმოვან და ფონოლოგიურ კონტენტს და თავის მხრივ იყოფა კიდევ ორ ჯგუფად: Articulatory loop (არტიკულაციური მარყუჭი) და acoustic store (აკუსტიკური საცავი). ისინი გარდამტეხ როლს ასრულებენ ლექსიკის შეცნობაში, განსაკუთრებით კი ადრეულ ასაკში.

2000 წელს ა. ბედდელმა კიდევ ერთი კომპონენტი დაამატა მუშა მეხსიერების სისტემაში, ეს არის episodic buffer (ეპიზოდური ბუფერი) - ერთმანეთთან აკავშირებს ვიზუალურ, სივრცით და ფონოლოგიურ ინფორმაციას ეპიზოდური ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რაიმე მოთხრობის ან ფილმის სიუჟეტების მსგავსად. ეპიზოდური ბუფერი უზრუნველყოფს კავშირს მუშა მეხსიერებასა (რომელიც თავისი ბუნებით არის მოკლევადიანი) და გრძელვადიან მეხსიერებას შორის. მისი მეშვეობით, ინდივიდს უკვე გონებაში თავმოყრილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლია ახალი კონცეპტების წარმოსახვა. (Covles, 2011:102).

საინტერესოა, თუ როგორ ხდება მეტყველების კონცეპტუალიზაცია ადამიანის გონში. დ. მაკნელი მეტყველების კონცეპტუალიზაციისთვის აუცილებელ პირობად სინტაქსურ აზროვნებასა (syntactic thinking) და ხატობრივ აზროვნებას (imagistic thinking) ასახელებს. პირველი განაპირობებს მარცვლების, სიტყვების, წინადადებების ურთიერთკავშირს. მეორე კი, უფრო მასშტაბური და სინთეზური ხასიათისაა და პასუხისმგებელია იმ ჟესტიკულაციებზე, რომლებიც თან ახლავს კომუნიკაციის პროცესს. (Scovel, 1998:28).

ასევე, ფსიქოლინგვისტიკაში გამოყოფენ ინფორმაციის ავტომატურ დამუშავებას (Automatic Processing) - ახასიათებს მოვლენების სწრაფი და ეფექტური შეფასება-ანალიზი და კონტროლირებად დამუშავებას (Controlled Processing), რომელიც უფრო ნელია და დამატებით ძალისხმევასა და რესურსს მოითხოვს ინდივიდისგან. (Covles, 2011:20)

გარდა ამისა, თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკა დაინტერესებულია ისეთი მოვლენებით, როგორცაა **Slip of tongue (წამოცდენა)**. ზ. ფროიდის თანახმად, წამოცდენა, ისევე როგორც სიზმარი, გვეხმარება ქვეცნობიერის გამომჟღავნებაში. წამოცდენის დროს ადამიანი არის ყველაზე გულწრფელი და სწორედ ამ დროს გამოხატავს იგი ფარულ სურვილებს. ფროიდთან Slip of Tongue, მეორე სახელითაც არის ცნობილი, ეს არის - Parapraxis (პარაპრაქსისი). ამ გადმოსახედიდან შეგვიძლია

ვთქვათ, რომ ფსიქოლინგვისტიკისთვის საინტერესოა არა ის, თუ რას ვამბობთ, არამედ ის, თუ როგორ ვამბობთ, უფრო ზუსტად კი, რა წამოგვცდება ხოლმე.

[Definition and Examples of Slips of the Tongue \(thoughtco.com\)](http://thoughtco.com)

ფსიქოლინგვისტიკისთვის მიმზიდველია კიდევ ერთი ფენომენი - **Tip of the tongue** (ენის წვერზე). ეს არის ყველასათვის ნაცნობი მდგომარეობა, როცა სათქმელი „ენის წვერზე გადგას“, მაგრამ სამიზნე სიტყვას ან საერთოდ ვერ იხსენებ ან გახსენდება ამ სიტყვის მხოლოდ პირველი ასო, მარცვალი ან სულაც მსგავსი ჟღერადობის სხვა სიტყვა. რაც უფრო ძლიერია ადამიანის ემოციური ფონი, მით უფრო ხშირია Tip of the tongue შემთხვევები. ეს არის უნივერსალური გამოცდილება, რომელიც ახასიათებს ნებისმიერი სქესის, ასაკის, ერთენოვან თუ მრავალენოვან ადამიანს. (Scovel, 1998: 48)

ფსიქოლინგვისტიკაში ცნობილია კიდევ ერთი ისეთი ფენომენი, როგორცაა „აბაზანის ეფექტი“ (**Bathtub Effect**) და **ყოყმანი**. პირველი ფენომენი ძალიან კარგად ასახავს Tip of the tongue მოვლენის დროს მიმდინარე პროცესს. აბაზანაში ნებივრობისას ადამიანს მხოლოდ თავი და ტერფი უჩანს, შუა ტანი კი წყლითაა დაფარული, იგივე პარალელის გავლება შეიძლება სიტყვის გახსენებასთან მიმართებითაც. კვლევების თანახმად, Tip of the tongue მოვლენის დროს ადამიანს უმეტესად სიტყვის დასაწყისის ან ბოლო ნაწილის გახსენება შეუძლია, ვიდრე შუა ნაწილის. რაც შეეხება მეორე ფენომენს-ყოყმანს, მუხედავად იმისა, რომ მოსასმენად საკმაოდ გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს, თანამედროვე ლინგვისტიკაში არ ითვლება გრამატიკულ ან ლექსიკურ შეცდომად. (Scovel, 1998: 57).

ვინაიდან, ტრაბახი თავად წარმოადგენს რთულ და ამავდროულად ძალიან საინტერესო ფსიქოლინგვისტურ ერთეულს, გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ფენომენი ტრაბახთან ურთიერთმიმართებაშიც შეიძლება განვიხილოთ.

ქვეცნობიერში თავის წარმოჩენისკენ მომართულ მოსაუბრეს, ძალაუნებურად შეიძლება წამოცდეს ისეთი სიტყვები, რაც მის მონოლოგს ტრაბახის ელფერს შესძენს. ასევე, აქტიურ კომუნიკაციაში ჩაბმულ ბაქიას შეიძლება **ენის წვერზე** ედგეს ამბის გადმოსაცემად საჭირო სიტყვა, მაგრამ ვერ გაიხსენოს. „აბაზანის ეფექტს“ რაც

შეეხება, ვინაიდან იგი დამახასიათებელია ზოგადად ადამიანის ფსიქოლოგიისთვის, ეს ზოგადი მახასიათებელი კონკრეტულ ტრაზახის პროცესსაც შეიძლება მოერგოს და ამ შემთხვევაშიც, მოტრაზახემ მაგალითად თავი მოიწონოს მისი ცხოვრების მხოლოდ საწყისი და ფინალური ეტაპის მიღწევებით და არა შუაგული პერიოდით.

მოგეხსენებათ, რომ ჭკვიანი ტრაზახა, ყოველთვის დიდი სიფრთხილით არჩევს თავის წარმომჩენ სიტყვებს. ამ სიფრთხილის ფონზე კი შეიძლება გახდეს ისეთი ფსიქოლინგვისტური ფენომენის თანაზიარი, როგორიცაა **ყოყმანი**.

მენტალური ლექსიკონის, მუშა მეხსიერების და მათ ვირტუალურ საცავში არსებული ლოგოგონების მეშვეობით კი ტრაზახა ადამიანი ახერხებს მისთვის სასურველი დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვების პოვნას, მაშინ, როცა მას ეს ძალიან ჭირდება.

რაც შეეხება ისეთ ფსიქოლინგვისტურ პროცესებს, როგორიცაა ინფორმაციის **ავტო-დამუშავება (auto processing)** და **შეზღუდული-დამუშავება (controlled processing)**, ტრაზახთან მიმართებით პირველს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც მოსაუბრეს ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გარეშე, ავტომატურად შეუძლია მეხსიერებიდან ისეთი მარტივი ფაქტების გენერირება, როგორიცაა მაგალითად ის, თუ რა ერქვა მის უნივერსიტეტს, სად ისვენებდა გასულ ზაფხულს ან რა ბრენდისაა მისი საათი. მეორე შემთხვევაში კი, მოსაუბრე დიდი სიფრთხილით გეგმავს საკუთარი თავის რეპრეზენტაციას და შესაფერისი ლიქსიკის პოვნას, რაც უფრო მეტ გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს მისგან ვიდრე პირველი ფენომენი.

სინტაქსური, ისევე როგორც, ხატობრივი აზროვნებაც მნიშვნელოვანია ტრაზახის პროცესში, რათა სწორად მოხდეს გრამატიკული წესებისა და კონსტრუქციების დაცვა სათქმელის კოჰერენტულად გადმოსაცემად და მსმენელში ტვინის ისეთი სენსორული შეგრძნებების გააქტიურება, რომელიც მას დაეხმარება მოსმენილის რეალურ სურათად წარმოსახვაში.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფსიქოლინგვისტიკის შესწავლა მნიშვნელოვნად გვეხმარება ტრაზახის, როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენის შეცნობა-ანალიზში და მისი კომპლექსური ბუნების გამოვლინებაში.

თავი 3. ტრაზახის ძირითადი სახეები და მათი ენობრივი გაფორმება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში

3.1. ტრაზახის გამოხატულება ენობრივ დონეზე

ტრაზახა ადამიანების ბრაგალოგები ხასიათდება საერთო ლინგვისტიკური მახასიათებლებით. რომ არა ენა, როგორც გამოხატვისა და კომუნიკაციის უპირველესი იარაღი, შეუძლებელი იქნებოდა ტრაზახის, როგორც აქტის, მოქმედების რეალიზება.

ვიდრე ტრაზახს უშუალოდ ლინგვისტიკის ჭრილში განვიხილავდეთ და ტრაზახის პროცესში აქტიურად გამოყენებულ კონკრეტულ რიტორიკულ, სტილისტურ მახასიათებლებს ჩამოვთვლიდეთ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ტრაზახის სრულფასოვანი რეალიზებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი ფაქტორები, როგორცაა სხეულის ენა, პოზა, მეტყველების სისწრაფე, ინტონაცია, ხმის ტემბრი, პაუზები საუბრის პროცესში, მიმიკა, სახის გამომეტყველება, ჩაცმის სტილი, ვარცხნილობა, რეკვიზიტების დემონსტრირება (მაგ: ძვირადღირებული საათი) ა. შ.

ტრაზახის დროს ადამიანები ძალიან ხშირად იყენებენ პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელებს „I“ „My“ „Myself“ „Mine“ რაც მათ ეგოცენტრიზმსა და უპირატესობის დემონსტრირების მცდელობაზე მიუთითებს. ამ ტიპის ნაცვალსახელების გამოყენებით ტრაზახა ადამიანები ხაზს უსვამენ იმას, რომ წარმატება მხოლოდ მათი დამსახურებაა და არა გარემო ფაქტორების. თუმცა, არსებობენ ბაჟია ადამიანები, რომლებიც ამჯობინებენ პირველი პირის ნაცვალსახელების მრავლობით რიცხვში „we“, „our“ გამოყენებას, რითაც საკუთარი თავის ასოცირება ხდება გუნდთან და კოლექტიურ გამარჯვებასთან. სწორედ ამ ტიპის ნაცვალსახელებით გამოხატული ტრაზახი მიიჩნევა ნაკლებად გამაღიზიანებლად. მეტიც, 2003 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ძირითადად სწორედ ის აპლიკანტები იქნენ სამსახურში აყვანილი, რომლებიც სამოტივაციო წერილში უმეტესად იყენებდნენ ნაცვალსახელს „we“ ვიდრე „I“. მაგალითად: 'I'm pleased to share that our company surpassed our sales target for the quarter. We worked

collaboratively to develop innovative solutions, expanded our outreach efforts, and delivered outstanding results. Our hard work and commitment paid off, and we achieved record-breaking sales. I'm proud to be part of such a dedicated and talented team.' (მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენმა კომპანიამ გადააჭარბა გაყიდვების კვარტალურ მიზანს. ჩვენ ერთობლივად მივედით ინოვაციურ გადაწყვეტილებებამდე, გავაფართოვეთ ჩვენი აქტივობები და მივალწიეთ არნახულ შედეგებს. ჩვენმა შრომამ და თავდადება შედეგი გამოიღო და ჩვენ რეკორდული მაჩვენებელი დავდეთ გაყიდვებში. ვამაყობ, რომ ასეთი თავდადებული და ნიჭიერი გუნდის ნაწილი ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) (Pennebaker, 2003: 8).

სტატიაში - „პოლიტიკური დისკურსის ანატომია“, ც. ბარბაქაძე დასძენს, რომ პირის/კუთვნილებითი ნაცვალსახელის „ჩვენ“, „ჩვენი“ გამოყენებით, პოლიტიკოსი თავისიანად მიგიჩნევს და მათ მაიდენტიფიცირებელ ფორმულებს უწოდებს. როდესაც პოლიტიკოსი ამბობს: ჩვენ გავაკეთებთ ამას, ჩვენ მივალწევთ იმას, – და ასე შემდეგ... გულისხმობს არა მხოლოდ თავის გუნდს, არამედ იმასაც, ვინც მას უსმენს. რაც ამომრჩევლის მიმხრობის ერთ–ერთი ადაპტირებული მეთოდია. შენთან ერთად უნდა გაკეთდეს რაღაც დიადი... ეს კი ყოველთვის სასიამოვნოა ერთი შეხედვით. <https://mastsavlebeli.ge/?p=15953>

აგრეთვე, უფრო მეტი ექსპრესიულობისთვის, ტრაზახა ადამიანი აქტიურად იყენებს **ზედსართავ სახელებს აღმატებით ხარისხში**. როგორც ვიცით, რომ ზედსართავ სახელებს დესკრიბციული ფუნქცია აქვთ და მოსაუბრის ნარატივს უფრო სიღრმისეულს და დეტალურს ხდიან. აღმატებით ხარისხში წარმოდგენილი ზედსართავი სახელები კი, მაგალითად როგორცაა **"best," "greatest," "most,** ამ ფუნქციას გაცილებით უფრო ეფექტურად ასრულებენ. მაგალითად: "I am the most talented and best candidate for the job, no one else can compare to my skills and experience." (ყველაზე ნიჭიერი და საუკეთესო კანდიდატი ვარ ამ სამსახურისთვის, ვერავინ შემედრება; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

საკუთარი თავის ლაკონიურად, მაგრამ შთამბეჭდავად წარმოდგენისთვის, მხოლოდ საკვანძო მოვლენების ხაზგასმით, ადამიანები ხშირად იყენებენ **ელიპტიკურ წინადადებებს**. მაგალითად: „Got promoted to vice president. Easy.“ (დავწინაურდი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. მარტივია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს)

ტრაბახის დროს მოსაუბრე ხშირად იყენებს ისეთ რიტორიკულ ხერხს, როგორცაა **ჰიპერბოლა**, ანუ გაზვიადებულ, პათეტიკურ გამოთქვამებს. ჰიპერბოლიზირებული ტრაბახი ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია და რეალობას აცდენილი. მაგალითად: „I have a strength of a thousand men” (ათასი კაცის ძალა მაქვს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), “I have memory like a computer” (კომპიუტერის მეხსიერება მაქვს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), „I can solve complex math problems in my sleep“ (ურთულესი მათემატიკური დავალების ამოხსნა ძილშიც კი შემიძლია; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახისას ასევე ხშირად მიმართავენ რიტორიკულ ხერხს **Amplification (გაძლიერება)**, რომლის დანიშნულებაცაა სათქმელის შინაარსის და ზეგავლენის მოხდენის კოეფიციენტის გაზრდა. უფრო ზუსტად კი, Amplification (გაძლიერება) ტრაბახის პროცესში შეიძლება განვმარტოთ როგორც კოგნიტური მანიპულაციის ფორმა, რომელიც იყენებს ადამიანის ტვინის რეაქციას გაძლიერებულ სტიმულებზე. მაგალითად, ნაცვლად „I did well”, ტრაბახა ადამიანი გამოიყენებს გამაძლიერებელ ზმნიზედას და იტყვის „I performed **exceptionally**” (**შეუდარებლად** გავართვი თავი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) ან “I am **unbelievably** talented in playing the guitar” (**დაუჯერებლად** ნიჭიერი ვარ გიტარის დაკვრაში; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), “I have an **astonishingly** high IQ” (**გასაოცრად** მაღალი ინტელექტის პატრონი ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახა ადამიანი ხშირად მიმართავს დარწმუნების ლინგვო-რიტორიკულ მექანიზმს - **გამეორებას (repetition)**. რაც უფრო ბევრჯერ ესმის ადამიანს სხვისი წარმატების შესახებ, მით უფრო ჯერა ამის და უმეტესწილად დადებითად განეწყობა ხოლმე მის მიმართ. მაგალითად: „I **won** the award. I **won** the competition. I **won** everyone’s admiration” (**მოვიგე** ჯილდო. **მოვიგე** შეჯიბრი. **მოვიგე** ყველას გული; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს) ან „I closed the biggest deal last month. **And the month before that. And the month before that**” (ყველაზე დიდ გარიგებას მივაღწიე გასულ თვეს. და იმის წინა თვესაც. და იმის წინა თვესაც; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ისეთი მხატვრული ხერხი, როგორცაა **შედარება (simile)**, ასევე ხშირად გამოიყენება ბაქია ადამიანების მიერ. მაგალითად: “I am **as swift as** cheetah on the

basketball court” (ისეთი სწრაფი ვარ როგორც ავაზა კალათბურთში; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახისას ხშირად გამოიყენება **რიტორიკული შეკითხვები**. მოსაუბრე სვამს კითხვას, რომლის მიზანია არა პასუხის მიღება აუდიტორიისგან, არამედ, მისი მეშვეობით საკუთარ შესაძლებლობებზე ხაზის გასმა. მაგალითად: ‘Who else has achieved such remarkable success at such a young age?’ (სხვა ვინმეს იცნობთ, ვინც ჩემს ასაკში ასეთ წარმატებას მიაღწია?; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), ‘Can you imagine a world without my groundbreaking inventions?’ (წარმოგიდგენიათ სამყარო ჩემი ინოვაციური გამოგონების გარეშე?; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), “Do you really think anyone else could handle the pressure as flawlessly as I do?” (მართლა გგონიათ, ვინმეს შეუძლია გაუმკლავდეს სტრესულ სიტუაციას ისე უზადოდ, როგორც მე?; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

Juxtaposition (შეპირისპირება) - ეს არის სტილისტური ხერხი, რომლის დროსაც ხდება ორი ელემენტის, მოვლენის ერთმანეთთან შეპირისპირება, ერთის ფონზე მეორის უპირატესობის, ან პირიქით, ნაკლოვანების გამოვლინება. მაგალითად: “While others complain about lack of time or laziness, I consistently hit the gym, sculpting my body into a chiseled masterpiece” (სანამ სხვები უჩივიან დროის ნაკლებობას ან სიზარმაცეს, მე აქტიურად ვვარჯიშობ სპორტ დარბაზში, იმ მიზნით, რომ ჩემი სხეულიდან გამოვძერწო ნამდვილი შედეგრი, თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), ‘While my colleagues were stuck in entry-level positions, I quickly climbed the corporate ladder, becoming the youngest executive in the company's history’ (სანამ ჩემი კოლეგები დაბალ პოზიციებზე იყვნენ ჩარჩენილი, მე სწრაფად გავიარე კარიერული კიბე და გავხდი ყველაზე ახალგაზრდა აღმასრულებელი დირექტორი კომპანიის ისტორიაში, თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ტრაბახის პროცესში (**imagery**) - წარმოსახვითი ხატის შექმნა გულისხმობს მკაფიო და აღწერილობითი ენის გამოყენებას მენტალური გამოსახულების ან სენსორული გამოცდილების შესაქმნელად, რაც უდავოდ აძლიერებს თვითრეკლამირების ეფექტურობას. წარმოსახვითი ხატის გამოყენებით მოსაუბრეს შეუძლია თავისი მიღწევები და შესაძლებლობები უფრო ხელშესახები და

დასამახსოვრებელი გახადოს, შედარებით მარტივად დაიმსახუროს აუდიტორიის ყურადღება და აღფრთოვანება. მაგალითად, აკადემიურ წარმატებაზე ხაზგასასმელად ტრაბახა ადამიანმა შეიძლება თქვას: 'I devoured textbooks like a hungry lion, absorbing knowledge like a sponge, and emerged as the shining star of my class' (დამშეული ლომივით ვჭამდი სახელმძღვანელოებს, ღრუბელივით ვისრუტავდი ცოდნას და კიდევაც გავხდი ჩემი კლასის კაშკაშა ვარსკვლავი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), "I possess a magnetic presence that draws people in like bees to honey, my words flowing like silk, captivating hearts and minds" (მე მაქვს მაგნიტური ძალა, ისე ვიზიდავ ადამიანებს, როგორც ფუტკარს თაფლი, ჩემი სიტყვები აბრეშუმით ხავერდოვანია, ატყვევებს ადამიანების გულს და გონებას; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

რაც შეეხება **ირონიის** გამოყენებას ტრაბახის პროცესში, ეს არის თავაზიანი ფორმით შენიღბული დაცინვა, რომელიც ქმნის იუმორისტულ და სარკასტულ ეფექტს. მაგალითად, როდესაც ბაქია ადამიანი თავის თავზე ამბობს: "I'm the fastest person you'll ever meet...when it comes to reaching for that last slice of pizza' (ყველაზე სწრაფი ადამიანი ვარ ვინც კი ოდესმე შეგხვედრიათ, თუკი საქმე ეხება პიცის ბოლო ნაჭრის აღებას; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), "I'm a natural-born musician. Just don't ask me to play anything other than the air guitar" (თანდაყოლილი მუსიკის ნიჭი მაქვს. უბრალოდ, გარდა აბსტრაქტული გიტარისა, სხვა ნურაფერზე დაკვრას ნუ მთხოვთ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ალიტერაციას, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვების დასაწყისში არსებული მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორებას, იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ბაქია ადამიანებთან. მათი მეშვეობით ბრაგალოგი უფრო მუსიკალური და ჟღერადია. მაგალითად: "I'm the math magician, the science superstar, and the literary luminary" (მართალია ქართულ თარგმანში ალიტერაცია იკარგება, მაგრამ შინაარსობრივად ის ასე ჟღერს: მათემატიკის ჯადოქარი ვარ, მეცნიერების სუპერ ვარსკვლავი, ლიტერატურის ჩირაღდანი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს); მეორე მაგალითში კი ქართული თარგმანიც კარგად ჟღერს: "I'm the guitar guru, the drumming dynamo, and the vocal virtuoso" (მე ვარ გიტარის გურუ, დრამის დინამომეტრი, ვოკალის ვირტუოზი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

პერსონიფიკაცია ანუ, გაპიროვნება არის მხატვრული ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა. გაპიროვნებას ადგილი აქვს შემდეგ მაგალითებში: "My car never lets me down. It always knows the fastest route to take" (ჩემი მანქანა არასოდეს მიცრუებს იმედს. ყოველთვის იცის როგორ მიმიყვანოს დანიშნულების ადგილას სწრაფად; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს); "Whenever I play sports, the ball seems to obey my every command" (როცა სპორტით ვარ დაკავებული, ბურთი ემორჩლება ჩემს ყველა ბრძანებას; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

მეტონიმის გამოყენებით მკვებარა ადამიანი ირიბად ტრაბახობს საკუთარ თავზე. მაგალითად: "I wear the crown in my industry" (ჩემს სფეროში გვირგვინს მხოლოდ მე ვატარებ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). სიტყვა „crown” (გვირგვინი) მეტონიმურად გამოხატავს ძალაუფლებას და ავტორიტეტს, რომელსაც მოსაუბრე ფლობს. "The pen is mightier than the sword, and my words have conquered many hearts" (კალამი უფრო ძლიერია ვიდრე ხმალი, ჩემმა სიტყვებმა კი ბევრის გულის დაპყრობა შეძლო; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). სიტყვა Pen (კალამი) მეტონიმურად გამოხატავს ადამიანის წერის ნიჭს, რომლითაც ჩვენი მოუსაბრეა დაჯილდოვებული და წარმატებით ახერხებს სხვათა მონუსხვას.

ოქსიმორონის (Oxymoron) გამოყენება ერთგვარ პარადოქსულ ეფექტს ქმნის და ერთი შეხედვით კოგნიტურ დისონანს იწვევს ტრაბახის დროს, თუმცა, საბოლოო ჯამში ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და დასამახსოვრებელი რიტორიკული ხერხია, რომელიც თავის სასიკეთოდ შეიძლება გამოიყენოს ბაქია ადამიანმა. მაგალითად: "I'm a **gentle force** to be reckoned with" (მე წარმოვადგენ ნატიფ ძალას, რომელსაც ყველა უნდა უფრთხილდეს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). როგორც წესი, ძალა ნატიფი და ნაზი ვერ იქნება. სწორედ ამ ორი ცნების შეწყვილება ქმნის პარადოქსულ ეფექტს. "I'm a **calculated risk-taker**" (მე ვარ რისკიანი ადამიანი, რომელსაც ყველაფერი წინასწარ აქვს გათვლილი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). უმეტესწილად, რისკიანი ადამიანი ცივ გონებაზე ღებულობს გადაწყვეტილებას და არა ბევრი ფიქრისა და გათვლის შემდეგ. ეს ანტონიმური წყვილიც პარადოქსულს, მაგრამ შთამბეჭდავს ხდის ადამიანის საუბარს.

ოქსიმორონის მსგავსად **ზევგმაც (Zeugma)**- ისეთი მეტყველების ფორმაა, სადაც მთავარი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა დაკავშირებულია ორ ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებულ სიტყვასთან. მაგალითად: "I **captured the gold medal and the audience's attention**" (მე მოვიპოვე ოქროს მედალი და აუდიტორიის გეთილგანწყობაც; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ონომატოპეია (Onomatopoeia) - არის სამეტყველო ბგერებით ბუნების მოვლენათა თანმხლები ხმების, ცოცხალ არსებათა ხმიანობის მიახლოებით გადმოცემა. "I **chirped** my way to the top, outshining all the competition" (ჭიკჭიკით გავიკვალე გზა მწვერვალისკენ, დავჩრდილე ყველა კონკურენტი; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს). მაგალითში გამოყენებულია ონომატოპეური სიტყვა „ჭიკჭიკი“; "I charmed the crowd with my enchanting melody, their hearts singing '**La-la-la!**'" (ირგვლივ მყოფები მოვნუსხე ჩემ მიერ შესრულებული მელოდიით, შედეგად კი გულში ღიღინებენ „ლა-ლა-ლა“; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ყველასთვის კარგად ნაცნობი **ეპითეტი**, რომელსაც დესკრიფციული ფუნქცია აქვს, ასევე ხშირად გამოიყენება მკვებარა ადამიანების მიერ დადებითი მახასიათებლების ეფექტურად წარმოსაჩენად. მაგალითად: "I am the undefeated champion, the **Master of Destruction!**" (დაუმარცხებელი ჩემპიონი ვარ, **დესტრუქციის ოსტატი!**; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს);

ლიტოტესის, როგორც ჰიპერბოლის საპირისპირო ფენომენის გამოყენება უფრო რელევანტურია მოკრძალებული/შენიღბული ფორმის ტრაბახისას, როდესაც მოსაუბრე თვითდაკნინების ფონზე ცდილობს თავის წარმოჩენას. მაგალითად: "**I'm not the worst writer.** My work has been published in a few notable magazines" (მე არ ვარ ყველაზე ცუდი მწერალი. ჩემი ნამუშევრები რამდენიმე ცნობილ ჟურნალშია გამოქვეყნებული; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს); "**I'm not terrible at public speaking.** I've given a few speeches to large audiences" (არც ისე საშინელი ორატორი ვარ. არაერთხელ წარვმდგარვარ დიდი აუდიტორიის წინაშე; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

ვინაიდან **იდიომები** საზოგადოებაში გავრცელებულ ფრაზებს წარმოადგენს, მათი გამოყენება ტრაბახისას კულტურულ ცოდნაზე მიუთითებს და ხელს უწყობს ჯგუფურ კოჰეზიას. მაგალითად: "I'm the talk of the town!" (მთელი ქალაქის

სალაპარაკო მიზეზი ვარ; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს), "I'm living the dream!" (საოცნებო ცხოვრება მაქვს; თარგმანი ეკუთვნის ქ.თ-ს).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ლინგვო-სტილისტური ხერხების ჩართულობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტრაბახისას. ისინი ეხმარება მოსაუბრეს სასურველი სოციალური იდენტობის შექმნაში, მსმენელის ტვინში სენსორულ-აღქმითი უნარებისა და გამოცდილებების გააქტიურებაში, კონკრეტული იმიჯის პროექციით სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენაში, შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი მონოლოგის აგებაში, კულტურული ცოდნის დემონსტრირებასა და კომუნიკანტებს შორის სოციალური კავშირების გამყარებაში.

3.2. ტრაბახი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

3.2.1. პირდაპირი ტრაბახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, უმეტესწილად კი, წინა საარჩევნო კამპანიებისას, მაშინ, როცა ყველაზე მეტად მატულობს ტემპერატურა პოლიტიკურ ველზე, პოლიტიკოსები ძირითადად მიმართავენ ორი სახის ტრაბახს: **პირდაპირს და შენიღბულს.**

მოცემულ ქვეთავში განვიხილოთ ტრაბახის მაგალითები, რომელშიც ტრაბახი ყოველგვარი შეფარვისა და კამუფლაჟირების გარეშე, ზედმეტად ცალსახა, აშკარა და მკაფიოა.

როგორც უკვე ვახსენეთ (იხ. გვ. 41), „პირდაპირი ტრაბახი“ არის ქოლგა ტერმინი, რომელიც თავის თავში აერთიანებს მის არაერთ ქვე-ტიპს. პირდაპირი ტრაბახის მაგალითების ჯამური რაოდენობა ჩვენ მიერ მოპოვებულ და გაანალიზებულ ქართულ ემპირიულ მასალაში შეადგენს ორმოცდაერთს (41).

ქართულ პოლიტიკურ რეალობაში გამოვლინდა პირდაპირი ტრაბახის შემდეგი ქვეტიპები (თითოეული ქვე-ტიპი თითო მაგალითთან ერთად ქვემოთ იქნება წარმოდგენილი, დანარჩენი მაგალითები კი დანართის სახით).

პირდაპირი ტრაზახის ქვე-ტიპი:	რაოდენობა:
1. თანაგუნდელითა და მისი შესაძლებლობებით ტრაზახი	3
2. კოლექტიური ტრაზახი - გუნდის პოლიტიკური გამოცდილებითა და მიღწევებით	16
3. სხვისი დაკნინების (კონკურენტი პარტია) ფონზე ტრაზახი	5
4. დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაზახი	3
5. ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ტრაზახი	1
6. თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი	8
7. პოლიტიკური გამბედაობით ტრაზახი	2
8. საკუთარი სამშობლოთი ტრაზახი	3

ცხრილში მოცემული რაოდენობრივი მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველი პოლიტიკოსები ჩვენ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციიდან ყველაზე ხშირად პირდაპირი ტრაზახის რიგით მეორე ტიპს - „კოლექტიური ტრაზახი, გუნდის პოლიტიკური გამოცდილებითა და მიღწევებით“ მიმართავენ (16 მაგალითი), ყველაზე ნაკლებად კი ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ტრაზახობენ (1 მაგალითი).

1. თანაგუნდელითა და მისი შესაძლებლობებით ტრაზახი

შალვა ნათელაშვილი:
„ვინმე დაგჩაგრავს? გუგავა მოვა! ავად გახდებით? გუგავა მოვა! ბანკი მოვა გამოსასახლებლად? გუგავა მოვა! წყალი გასკდება? გუგავა მოვა! გზა გაითხრება? გუგავა მოვა! რამე გაჭირვება გექნებათ? გუგავა მოვა, ის იქნება თქვენს გვერდით, თქვენ არ დაგჭირდებათ მისვლა, რიგში ჩადგომა, საშვის აღება, დაცვის კორდონების გადალახვა“ https://www.youtube.com/watch?v=UyFfRT7Uz1o

შალვა ნათელაშვილი იმ ცნობილ ქართველ პოლიტიკოსთა სიას მიეკუთვნება, რომლებიც გამოირჩევიან მეტად ექსპრესიულ-ემოციური ნარატივით, აგიტატორული მგზნებარებითა თუ ლოზუნგურობა-სლოგანურობით.

მოცემულ მაგალითში შ. ნათელაშვილი თანაგუნდელის მრავალმხრივ განვითარებული შესაძლებლობებით ტრაბახობს. ნარატივი **დიალოგური** ხასიათისაა, თითქოს კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობს, იმ თავისებურებით, რომ ორივე აქტორის: კითხვის დამსმელის, ისევე როგორც, კითხვაზე პასუხის გამცემის როლს თავად ირგებს მოსაუბრე. **სტილისტური ხელხის - ჩამონათვალის** გზით პოლიტიკოსი ჩამოთვლის პოტენციურ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზად მხოლოდ თანაპარტიელის მოსვლას განიხილავს. ფრაზა „გუგავა მოვა“ ზედიზედ ექვსჯერ არის გამოყენებული. **გამეორების** ხერხი კი თავისმხრივ, სათქმელს **გაზვიადების** ეფექტს სძენს.

2. კოლექტიური ტრაბახი - გუნდის პოლიტიკური გამოცდილებითა და მიღწევებით.

გიორგი მარგველაშვილი:
<p>„შარშან 1 ოქტომბერს, ჩვენ იმ გეგმით, რომლითაც გაგვართიანა ბიძინა ივანიშვილმა, შევძელით პოლიტიკიდან, სახელმწიფოს მმართველობიდან გაგვეშვა რეჟიმი, რომელსაც ჰქონდა უზარმაზარი გავლენა თითოეულ ოჯახზე, ფაქტობრივად, თითოეულ ოჯახში ჰყავდა პრობაციონერი. ჩვენ შევძელით უპრეცედენტო, ჩვენ ეს ხალხი ხელისუფლებიდან გავუშვით მშვიდად, ყოველგვარი დამაბულობის გარეშე. დღესაც, ახლა ჩვენ ვაშენებთ ახალ ქვეყანას, ჩვენ ვქმნით სახელმწიფოს, რომლის ძირითადი კონტურებიც, ამ ურთულესი ერთი წლის კოჰაბიტაციის პროცესში შევძელით. ჩვენ შევძელით, რომ მოგვევლო სოფლისთვის, ჩვენ შევძელით უპრეცედენტო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება და ახლა ყველა მოქალაქე არის დაზღვეული. ჩვენ შევძელით დაგვემსხვრია პოლიციური რეჟიმი, ჩვენ შევძელით, რომ განათლების სისტემაში შეგვეტანა თვისობრივი ცვლილებები და აი, ამ ფონზე ჩვენ გვაქვს ახალი მიზანი თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული ქვეყნის აშენების. ამ მიზნისთვის ჩვენ უბრალოდ არ გვჭირდება, რომ მოვუგოთ ჩვენს ოპონენტებს. არჩვენები ქართულ</p>

ოცნებას მოგებული აქვს. რეალურად ჩვენ ვიცით, რომ მოგებული გვაქვს არჩევნები, მაგრამ ჩვენ გვჭირდება თანამონაწილეობა თითოეული მოქალაქისა ახალი ქვეყნის შექმნაში“.

[საპრეზიდენტო დებატები 2013 - ბაქრამე, ხარატიშვილი, თარგამაძე, მარგველაშვილი - YouTube](#)

გ. მარგველაშვილი ბრაგალოგის დასაწყისში ცნობილი პოლიტიკური ფიგურის სახელს ახსენებს და თავიდანვე ნდობაში შედის აუდიტორიასთან. იგი, სტილისტური ხერხის, ჩამონათვალის გზით „ახმოვანებს“ საკუთარი გუნდის მიღწევებს. სათქმელის გამომსახველობისთვის მიმართავს გამეორების ხერხს, რაც ნარატივს ჰიპერბოლიზირებულს ხდის. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი „ჩვენ“ - შვიდჯერ არის გამოყენებული. ზედსართავი სახელები აღმატებით ხარისხში „ურთულესი“, „უზარმაზარი“ და მრავალგზის ნახსენები ასევე ზედსართავი სახელი „უპრეცედენტო“ უნიკალურობის და განსაკუთრებულობის ელფერს სძენს სათქმელს.

აღსანიშნავია, რომ გ. მარგველაშვილი თავს იწონებს უკვე ნამოქმედართ წარსულში ან იმით, რაც ახლა ხდება აწმყოში. შესაბამისად, ტრაბახი წარსულისა და ახლანდელი დროის აღმნიშვნელი ზმნებით არის გადმოცემული „შევძელით“, „ვაშენებთ“ ა.შ. დროის აღმნიშვნელი დეიქსისი „შარშან“ და თან დართული კონკრეტული რიცხვი, მეტ დამაჯერებლობასა და კონკრეტიკას სძენს სათქმელს.

ნინო ბურჯანაძე:

„ჩვენ ვართ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც არასდროს არავის არ გარიგებია, რომელსაც არასოდეს არ უღალატია მოსახლეობისთვის, არასოდეს არ მოგვიტყუებია ჩვენი მოსახლეობა, მათ შორის უმძიმეს პერიოდშიც კი. ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ვპირდებით ხალხს და რომელსაც გვაქვს ძალა, უნარი, გამბედაობა და პროფესიონალიზმი, რომ ჩვენი დანაპირები შევასარულოთ“.<https://www.youtube.com/watch?v=W9RpYKg1GWc>

ნინო ბურჯანაძის კოლექტიური ტრაზახის მთავარ ინდიკატორს, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის „ჩვენ“ გამოყენება წარმოადგენს. თავისი პარტიის განსაკუთრებულობაზე ხაზის გასასმელად არაერთგზის ახსენებს **ზედსართავ სახელს** „ერთადერთი“. არც ბურჯანაძე ჩამორჩება კოლეგების პოლიტიკურ რიტორიკას და თავადაც აქტიურად მიმართავს დარწმუნების ლინგვო-რიტორიკულ მექანიზმს - **გამეორებას**. აქვე ვხვდებით **პლეონაზმის** გამომხატველ კონსტრუქციას „არასდროს არ“. მიუხედავად იმისა, რომ წინადადებაში ორმაგი უარყოფა გრამატიკულად, ისევე როგორც ლოგიკურად მართებულ ფორმას არ წარმოადგენს, პოლიტიკოსები ძალაუწებურად თუ გამიზნულად მიმართავენ ამ ხერხს აზრის გასაძლიერებლად და აუდიტორიაზე ფატიკური ზეგავლენის მოსახდენად.

3. სხვისი დაკნინების (კონკურენტი პარტია) ფონზე ტრაზახი.

ირაკლი კობახიძე:
<p>„პრემიერ მინისტრის გამოსვლა დღეს იყო ნამდვილი მასტერ კლასი, ნოკ აუტი, ნოკ დაუნი კრიმინალური ოპოზიციისთვის. თქვენ ჩაიბარეთ ქვეყანა, როდესაც სიღარიბის მაჩვენებელი იყო 34% და მხოლოდ 30%-მდე შეამცირეთ ეს მაჩვენებელი, მაშინ, როდესაც ჩვენ შვიდი წლის განმავლობაში 34%-იდან 18%-მდე მოვახერხეთ სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება. ეს იყო ბრჭყალებში თქვენი ეფექტური პოლიტიკის შედეგი და ეს არის ბრჭყალებში ჩვენი არაეფექტური პოლიტიკის შედეგი. სოციალურ თემატიკას რაც შეეხება, აქაც აბსოლუტურად არაფერი გაქვთ სათქმელი. თქვენს დროს ბიუჯეტი არ იყო იმის ნახევარიც კი სოციალურ სფეროში რაც არის დღეს“. (28) გიორგი გახარიას წლიური ანგარიში საქართველოს პარლამენტში #LIVE - YouTube</p>

ირაკლი კობახიძის პოლიტიკური ნარატივის პირველი წინადადება **შეფასებითი** ხასიათისაა, წინა მომხსენებლის - პრემიერ მინისტრის გამოსვლის კომპლიმენტირებით **ნეოლოგიზმების** „მასტერ კლასი“, „ნოკ აუტი“, „ნოკ დაუნი“ გამოყენებით და **ირონიული რეფერენციით** ოპოზიციური პარტიაზე.

მოცემული მაგალითი შინაარსობრივად მთლიანად აგებულია ანტითეზისზე. წინა და მოქმედ მთავრობას შორის შეპირისპირების ეფექტს ქმნის პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის „ჩვენ“ და მეორე პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის „თქვენ“ მონაცვლებით, ასევე, ანტონიმური წყვილი „ეფექტური-არაეფექტური“ გამოყენება.

მეტი შთამბეჭდაობისთვის ი. კობახიძე მიმართავს სტატისტიკურ ენას და მნიშვნელოვან მოსაზრებებს ფაქტობრივად, კონკრეტული ციფრების დამოწმებით ამყარებს. გამაძლიერებელი ზმნიზედა „აბსოლუტურად“ კი ტრაბახის პროცესში კოგნიტური მანიპულაციის ეფექტურ ფორმად გვევლინება.

შალვა ნათელაშვილი:
„მე ნამდვილად არ ვთვლი ჩემს კონკურენტებად მათ. ისინი რომ ჩემი კონკურენტები გახდებიან, ალბათ კაცობრიობა გადასახლდება კოსმოსში“.
https://www.youtube.com/watch?v=T2uyUU1CSww

სულ რაღაც ორი წინადადებით, თუმცაღა, საკმაოდ მახვილი და ბასრი ენითაა გადმოცემული სათქმელი. შ. ნათელაშვილი ოპონენტი პარტიის დაკნინებითა და მათ ირონიულ კონტექსტში მოხსენიებით ტრაბახობს. გამაძლიერებელი ზმნიზედა „ნამდვილად“ და პირველი პირის ნაცვალსახელების „მე“-„ჩვენ“ და მესამე პირის ნაცვალსახელების „მათ“- „ისინი“ გამოყენება უდავოდ შეპირისპირების ეფექტს ქმნის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლინგვო-რიტორიკული მექანიზმების გამოყენება კი თავის მხრივ დასაბამს აძლევს ისეთ მრავალგანზომილებიან მხატვრულ ხერხს, როგორცაა გაზვიადება.

4. დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაბახი

გიორგი მარგველაშვილი:
„ჩვენ ერთად შევძლებთ იმას, რომ განვავითაროთ ქვეყანა სტაბილურად. მე შევძლებ, რომ საგარეო ფუნქციით დავეხმარო იმ საგარეო ოკონომიკურ პროექტებს რომლებსაც ავითარებს მთავრობა. მე შევძლებ, რომ გავაძლიერო საგარეო ვექტორი

რაც არსებობს მთავრობაში. მე შევძლებ, რომ დავეხმარო მთავრობას იმ პროექტების გაღრმავებაში, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით და არსებობს და რომელსაც კოჰაბიტაცია უშლიდა ხელს და მეტიც, როგორც არა პარტიული, არამედ, კოალიციური კანდიდატი მე შევძლებ შევექმნა გარემო ქვეყანაში, რომ პოლიტიკური კანდიდატები განვითარდნენ“.[\(8\) საპრეზიდენტო დებატები 2013 - ბაქრამე, ხარატიშვილი, თარგამაძე, მარგველაშვილი - YouTube](#)

ტრაზახის მეტად საინტერესო და განსხვავებული მაგალითია, ვინაიდან, მოსაუბრე ტრაზახობს არა კონკრეტული ფაქტებით, რომლის შედეგებიც უკვე სახეზეა, არამედ, ტრაზახობს მომავლით, უფრო ზუსტად კი, აბსტრაქტული დაპირებებით, რომლებსაც ერთი შეხედევით ყველა წინაპირობა აქვს, რომ აბსტრაქციიდან კონკრეტულ ფაქტად იქცეს, თუმცა გარანტირებულად მაინც არავინ იცის რამდენად მატერიალიზდება ეს დაპირებები რეალობაში. კოლექტიური „ჩვენი“-დან გადადის მხ. რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელზე „მე“. დაპირების „მე შევძლებ“ მრავალგზის გამეორება თითქოს მომავლის აწმყო დროში წარმოდგენას უწყობს ხელს. პოლიტიკური ტერმინების „კოალიცია“ „კოჰაბიტაცია“ მეშვეობით სიტყვით გამოსვლა უფრო პროფესიონალურად და კომპეტენტურად ჟღერს.

ტრაზახი, რომელიც ეხმაურება ჯერ არ დამდგარ მომავალს და არა იმ ფაქტობრივ ინფორმაციას, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წარსულში ან ადგილი აქვთ აწმყოში, ნაკლებად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს.

5. თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი

დავით ნარმაია:

„მე ყოველთვის ვიყავი, დღესაც ვარ და მომავალშიც ვიქნები დამოუკიდებელი. თუ ვინმე გადახედავს ჩემს ბიოგრაფიას, სკოლის დამთავრების შემდეგ მე მუდმივად დამოუკიდებელ ცხოვრებას ვეწეოდი. დავამთვარე უნივერსისტეტი, დავიცავი დისერტაცია, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებლად იქნა მომზადებული. წავედი გერმანიაში, სადაც სამეცნიერო სტაჟირება ასევე

დამოუკიდებლად, ყოველგვარი გვერდითმდგომი ადამიანების დახმარების გარეშე გავიარე. ჩემს **დამოუკიდებლობას** ხაზს უსვამს ისიც, რომ მე ძალიან რთულ პერიოდში ვხელმძღვანელობდი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას და არაერთი ღირებული პროექტი განხორციელდა **ჩემი** ხელმძღვანელობის დროს. ჩემი ხელშეწყობით ასევე დაფუძნდა კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი გერმანელ პარტნიორებთან ერთად და სწორედ მე ვხელმძღვანელობდი ამ **დამოუკიდებელ** ორგანიზაციას. მე ვიყავი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი, სადაც ძალიან ბევრ საკითხთან დაკავშირებით **დამოუკიდებლად** ვიღებდი გადაწყვეტილებებს. ამიტომ, მე ვრჩები ასეთ ადამიანად. ადამიანი, რომელიც ყველა ძირითად საკითხზე **დამოუკიდებლად** იღებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს. მათ შორის მოქმედი კანონმდებლობებითაც და ადგილობრივი თვითმმართველობის ადგილობრივი კოდექსითაც, ქალაქ თბილისის ხელისუფლება **დამოუკიდებულადაა** ხელისუფლების სხვა შტოებისგან და მისი **დამოუკიდებლობა** სწორედ კანონმდებლობით და **დამოუკიდებელი** ბიუჯეტით არის გარანტირებული. აქედან გამომდინარე, რა **საკვირველია**, მე ვიქნები გარანტი **დამოუკიდებლობისა**“.

[\(7\) დებატები დედაქალაქის მერობის კანდიდატებს შორის - დავით ნარმანია და ნიკა მელია - YouTube](#)

დ. ნარმანია თვით-კომპლიმენტირების გზით, ღიად გვესაუბრება თავის მრავალწლიან გამოცდილებაზე. ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით მიმართავს ენობრივი ელემენტების შეგნებულ **გამეორებას**. კერძოდ კი, პირველი პირის ნაცვალსახელის „მე“ - შვიდჯერ, პირველი პირის **კუთვნილებითი ნაცვალსახელის** „ჩემი“ - ორჯერ, ხოლო პირველი პირის **კუთვნილებითი ნაცვალსახელის** მიცემით ბრუნვაში „ჩემს“ - ორჯერ გამოყენებას. ამას გარდა, **ვითარებითი ზმნიზედის** „დამოუკიდებლად“- ოთხჯერ, **ზედსართავი სახელის** „დამოუკიდებელი“ - ხუთჯერ, ხოლო არსებითი სახელის „დამოუკიდებლობა“ - სამჯერ გამოყენებას.

აღსანიშნავია, მოსაუბრის მიერ დროებში ლავირება ტრიახისას, მაგალითად, წინადადების „**ვიყავი - ვარ - ვიქნები**“ **კონსტრუქცია**. იგი ტრიახობს არამხოლოდ

წარსულითა და აწმყოთი, არამედ, საკუთარი თავით ჯერ არ დამდგარ მომავალში. სათქმელის მეტი გამომსახველობისთვის, აქტიურად იყენებს **გამაძლიერებელ ზმნიზედებს**: ძალიან, აბსოლუტურად, მუდმივად. ჩართული ფორმების „სწორედ“, „რა საკვირველია“ გამოყენება კი, მსგავსად სხვა მაგალითებისა, სიტყვით გამოსვლას მეტ დამაჯერებლობას მატებს.

6. ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ტრაბახი

გადაცემა არჩევანის დასაწყისში, ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატს, დავით ბაქრაძეს წარადგენს პროფესორი ვიტაუტას ლანდსმერგისი, საპასუხოდ კი დავით ბაქრაძე ამბობს:

დავით ბაქრაძე:
<p>„ჩემთვის ნამდვილად ძალიან დიდი პატივია ვიყო წარდგენილი იმ ადამიანის მიერ, რომელიც იყო პოლიტიკური ლეგენდა ჩემს ახალგაზრდობაში. მე მქონდა ბედნიერება ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობის დროს პირადად მცნობოდა მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, მახსოვს ის დრო, როცა ლიტვა და საქართველო ერთად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის და მაშინ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ალბათ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს წარმადგენდა ის ადამიანი, რომელიც მაშინ საქართველოში განიხილებოდა როგორც ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მეგობარი“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=YcXy7iU2LjY</p>

დავით ბაქრაძე საკმაოდ ოსტატურად წარმოაჩენს საკუთარ თავს ცნობილ ადამიანებთან ახლო ურთიერთობის ქონით. რემინისცენციული სიტყვის „მახსოვს“ მეშვეობით და ალუზიური რეფერენციით დიდებულ ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე, მსმენელშიც ააქტიურებს სენსორულ შეგრძნებებს, კერძოდ კი, პატრიოტულ სულისკვეთებას და ძალაუნებურად ვექცევით მისი ტრაბახის გავლენის ქვეშ.

მოსაუბრე აქტიურად იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელებს მხოლოდობით, მრავლობით და კუთვნილებით ფორმაში „მე“, „ჩემი“, ჩვენი. მისი და პროფესორი ვ. ლანდსმერგისის ურთიერთობაზე საუბრისას იყენებს **ზედსართავ სახელს** აღმატებით ხარისხში „ყველაზე დიდი“.

7. პოლიტიკური გამბედაობით ტრაბახი

კახა კუკავა:
<p>„მე მოვედი პოლიტიკაში 10 წლის წინ ჩემი პრინციპებით და გახსოვთ, რომ მე შემემძლო მაღალი თანამდებობები დამეკავებინა სხვადასხვა მთავრობის დროს და ამაზე უარი განვაცხადე და ვამჯობინებდი ყოველთვის როცა რუსთაველზე გამოდიოდა თბილისი, ვმდგარიყავი მათ გვერდით და არ ამცილებია არცერთი დუბინკა, ჭავლი და მხუთავი აირი. ძალიან ცოტაა ასეთი პოლიტიკოსი, რომელიც არასდროს ამას არ გამოკლებია“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=kqQZXHYgurQ</p>

კახა კუკავა თავს საკუთარი პოლიტიკური გამბედაობით წარმოაჩენს. მისი რიტორიკისთვის დამახასიათებელია პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელების „მე“, „ჩემი“ გამოყენება. მსმენელთან ემოციური სიახლოვის დამყარების მცდელობა აუდიტორიისთვის ფამილარული მიმართებით „გახსოვთ“.

იგი სტილისტური ხერხის - ჩამონათვალის გზით ჩამოთვლის იმ ღირსეულ ქმედებებს, რის საფუძველზეც თავს უფლებას აძლევს საკუთარი თავი შეაფასოს შემდეგი სიტყვებით : „ძალიან ცოტაა ასეთი პოლიტიკოსი...“.

აღსანიშნავია, სიტყვა „რუსთაველი“, რომელშიც მოიაზრება რუსთაველის ქუჩა და არა თავად პოეტი, რომელიც მეტონიმიურად გამოხატავს ცვლილებების, ბრძოლის, პროტესტის და ტრანსფორმაციების ადგილს და რომლის სწორად გასაგებად, მოსაუბრესა და მსმენელს შორის აცულებლად უნდა არსებობდეს საერთო ფონური ცოდნა. ნარატივის ბოლოს კი კ. კუკავა გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად იყენებს პლეონაზმს „არასდროს...არ“.

8. საკუთარი სამშობლოთი ტრაბახი

გიორგი მარგველაშვილი:

„**მე ვხედავ** ქვეყანას, რომელსაც მსოფლიო იცნობს არა პოლიტიკური კრიზისებით თუ ჰუმანიტარული პრობლემებით, არამედ, მისი **განსაცვიფრებელი** სილამაზით, ცხოვრების სილადით და რაც მთავარია **მშრომელი, შემოქმედი, კეთილშობილი, სტუმართმოყვარე** ხალხით. **მე ვხედავ** ენერგიას, რომელმაც რუსთაველს ვეფხისტყაოსანი დააწერინა, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილს თავგანწირვის ფასად წინაპართა საუნჯის დაცვის ძალა მისცა, ენერგიას, რომელმაც ფიროსმანს შავი ლომი დაახატინა და ექიმ იოსებ ჟორდანიას პატარა გოგონას გადასარჩენად სიცოცხლე დაათმობინა. **მე ვხედავ** იმ ალტაცების განმეორებას, რომელიც მოჰგვარა მსოფლიოს **მცხეთის ჯვრის** სიდიადემ, ქართული ანბანის უნიკალურობამ, ვაჟას პოეზიის სიღრმემ, ჩაკრულოსა და კრიმანჭულის საოცარმა ჰარმონიამ, ქართული მეცნიერების აზრის მასშტაბურობამ და აღფრთოვანების ღირსმა სპორტულმა სასწაულებმა“.

[\(27\) პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია - YouTube](#)

საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი ფრაზის „**მე ვხედავ**“ არაერთგზის **გამეორებით** გვიქმნის დიადი საქართველოს **წარმოსახვით ხატს (imagery)** დიდებული ადამიანებით. დადებითი კონოტაციის მქონე **ზედსართავი სახელების** „განსაცვიფრებელი“, „მშრომელი“, „შემოქმედი“, „კეთილშობილი“, „სტუმართმოყვარე“ მრავალფეროვანს ხდის ტრაბახს. ავტორი მიმართავს **ალუზიურ რეფერენციებს** ქართული პროზის, პოეზიის, ფერწერის კორიფეების, ხელოვნების ნიმუშების **პრეცედენტულ სახელებად** მოხსენიებით.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი ტრაბახის ენობრივი გაფორმება ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მეტად მრავალფეროვანია. პოლიტიკური აქტორების ნარატივში ტრაბახის ეფექტს ქმნის ისეთი ლინგვისტილისტური მექანიზმები, როგორცაა რიტორიკული ხერხები: ჩამონათვალი, გამეორება, გაზვიადება, დეიქსისი, პლეონაზმი, ანტითეზისი, ნეოლოგიზმები, ირონია, სტატისტიკური ენა, პოლიტიკური ტერმინოლოგია, ალუზია. სტილისტური ხერხები: პრეცედენტული სახელები, იმიჯერი, მეტონიმია, პირის, საკუთარი,

კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ზედსართავი სახელის შედარებითი/აღმატებითი ხარისხი, ანტონიმური წყვილები, ჩართული ფორმები, გამაძლიერებელი ზმნიზედები.

3.2.2. ფარული ტრაბახი ქართულენოვან პოლიტიკურ ნარატივში

ტრაბახის პირდაპირი ფორმის გარდა, ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ვხვდებით ფარულ/შენიღბულ ტრაბახსაც. ჩვენ მიერ მოძიებული ფარული ტრაბახის მაგალითების რაოდენობა შეადგენს თოთხმეტს (14) და მათი კლასიფიკაცია შემდეგნაირია:

ფარული ტრაბახის ქვე-ტიპი:	რაოდენობა:
1.წუწუნის ფონზე ტრაბახი	1
2.ფაქტების ციტირებით საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი	1
3.ზოგადი მახასიათებლების ციტირებით საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი	2
4.პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი	2
5.საკუთარი სამშობლოს წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი	1
6.საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი	4
7.თვით-დაკნინების ფონზე ტრაბახი	1
8.პარტიის კომპლიმენტირების ფონზე საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი	2
9.მსხვერპლის ტრაბახი	1
10.საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრით ტრაბახი	1

როგორც ვხედავთ, ფარული ტრაბახი ქვე-ტიპების უფრო მეტი ნაირსახეობით გამოირჩევა. ჩვენ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციიდან ყველაზე ხშირად

ფარული ტრაზახის რიგით მეექვსე ტიპს - „საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი“ მიმართავენ (4 მაგალითი). ყველაზე ნაკლებად კი ვხვდებით იმ ტიპებს, რომლებიც მინიმალური რაოდენობით არიან წარმოდგენილი ცხრილში.

- **წუწუნის ფონზე ტრაზახი**

შალვა ნათელაშვილი:
<p>„მე არ მეკითხებით ამ თემებზე არაფერს თორემ, კონსტიტუციის ავტორი ვარ, მოქალაქეობის კანონის ავტორი ვარ, ემიგრაციის კანონის ავტორი ვარ, იმიგრაციის კანონის ავტორი ვარ, იარაღის ტარების აკრძალვის კანონის ავტორი ვარ, საპარლამენტო კანონმდებლობის ავტორი ვარ, პარტიების, ფრაქციების, კომისიების“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=T2uyUU1CSww</p>

შალვა ნათელაშვილი ერთგვარ უკმაყოფილებას გამოთქვამს მასმედიის წარმომადგენლების მისამართით, მაგრამ ამ თითქოსდა შეუმჩნეველი დაწუწუნების ფონზე მაინც იწყებს ტრაზახს, ექვსჯერ **იმეორებს** ფრაზას „ავტორი ვარ“ ყველა წინადადების ბოლოს და ქმნის **ეპიფორის** ეფექტს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის შედეგად კი ვღებულობთ ტიპურ გაზვიადებულ პოლიტიკურ ბრაგალოგს.

- **ფაქტების ციტირებით საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაზახი**

სალომე ზურაბიშვილი:
<p>„ჩემი არჩევით ქართველმა ხალხმა ხმა მისცა ევროპულ გზას“.</p> <p>(28) სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია - YouTube</p>

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი პირდაპირ როდი ამბობს „მე ვარ ევროპა“, არამედ, ამას ქართველი ხალხის არჩევანს მიაწერს. ქართველი ხალხის მიერ მისი პრეზიდენტად არჩევა კი რეალურ ფაქტს წარმოადგენს.

- **ზოგადი მახასიათებლების ციტირებით საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაზახი**

ნიკა მელია:
<p>„ეს არის მსოფლიო პრაქტიკა. თუ პარტიას არ ჰყავს ადიარებული, ქარიზმატული, ავტორიტეტული, მიმზიდველი, საინტერესო ლიდერი, რაც არ უნდა კარგი იდეოლოგია ჰქონდეს, იმისგან პარტია არ შედგება“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=T2uyUU1CSww</p>

ნიკა მელია ერთი შეხედვით ზოგადად ჩამოთვლის ღირსეული ლიდერის მახასიათებლებს შემდეგი **ზედსართავი სახელების** გამოყენებით: „ადიარებული“, „ქარიზმატული“, „ავტორიტეტული“, „მიმზიდველი“, „საინტერესო“ მაგრამ ვინაიდან, წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა იგი, რეფერენტულად საკუთარ თავს მოიაზრებს ამ სიტყვებში.

- **პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი**

მანანა კობახიძე:
<p>„ჯანდაცვის სისტემა მე ვიტყვოდი, რომ ის ადიარებულია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, ჩვენი მეგობარი ქვეყნების მხრიდან როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული პროექტი“. https://www.youtube.com/watch?v=cS823-c6wDE</p>

მანანა კობახიძე პირდაპირ როდი ამბობს, რომ მისმა გუნდმა შექმნა წარმატებული ჯანდაცვის სისტემა, არამედ, ამისათვის საერთაშორისო პარტნიორ ქვეყნებს იმოწმებს. ფარული ტრაბახის ეფექტი მიღწეულია პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის „ჩვენ“ და **ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის „ყველაზე წარმატებული“** გამოყენებით.

- საკუთარი სამშობლოს წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი

მიხეილ სააკაშვილი:
<p>„დღეს გამოქვეყნდა ადამიანის უფლებების მთავარი ევროპელი დამცველის, ბერნარდ კუშნერის სტატია, ფრანგულ გაზეთ ლიბერასიონში, სადაც ბერნარდ კუშნერი წერს: საქართველო, მიუხედავად ყველა პრობლემისა არის ყველაზე დიდი წარმატება პოსტ-საბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის. ეს არის დემოკრატიის ყველაზე ნათელი მაგალითი, ერთადერთი მაგალითი პოსტ-საბჭოთა სივრცეში“. https://www.youtube.com/watch?v=R92A7LRVf4</p>

საკუთარი ქვეყნის წინსვლის, რომლის ავტორიც თავად გახლავთ, კომპლიმენტირება მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური სახეებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოთქმული სიტყვებით. გარდა ამისა, შენიღბული ტრაბახის ეფექტი მსგავსად წინა მაგალითისა, მიღწეულია **ზედსართავი სახელის აღმატებითი ფორმის „ყველაზე ნათელი“**, „ყველაზე დიდი“ და ზედ.სახელის „ერთადერთი“ გამოყენებით.

- საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი

ედუარდ შევარდნაძე:
<p>„ბიუჯეტის საკითხებში მე ბევრი ვერ შემედავება. მთელი ჩემი ცხოვრებაა, კომუნისტების დროსაც 14 წელიწადი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიყავი და რა თქმა უნდა ბიუჯეტს ვფლობდი და ვადგენდი და ვმართავდი ამ პროცესს. მე რომ ჩამოვედი საქართველოში, მაშინ ბიუჯეტზე ვინ ლაპარაკობდა? არავითარი ბიუჯეტი არ იყო. ისევე როგორც ხალხის დასაქმება არ იყო. ხშირად ვამბობ ქართველმა კაცმა თოხი გადააგდო და თოფი დაიჭირა ხელში და ერთმანეთს დავსდევდით, ხომ? და მერე ამ 10 წლის განმავლობაში ქვეყანა ავად თუ კარგად დალაგდა, იდეალური მდგომარეობა კი არ იყო, უარესი იყო ვიდრე დღეს, მაგრამ ქვეყანა ხომ აშენდა. როგორც აი ბუშმა თქვა, დემოკრატიული სახელმწიფო აშენდა“.</p> <p>(8) შევარდნაძე სააკაშვილსა და ვარდების რევოლუციაზე - YouTube</p>

ედუარდ შევარდნაძე თავს უფლებას აძლევს ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, ცნობილი ადამიანის სახელის (ბუში) საკუთარ წარმატებულ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე დამოწმებით იტრაბახოს. კონკრეტული ციფრების სამხილად მოყვანით, წარმოაჩენს ამ მოღვაწეობის მასშტაბურობას. ორჯერ სვამს რიტორიკულ შეკითხვას, რომლის მიზანია არა პასუხის მიღება აუდიტორიისგან, არამედ, მისი მეშვეობით გამორჩეულ პოლიტიკურ კარიერაზე მითითება. ალეგორიული წინადადება „ქართველმა კაცმა თოხი გადააგდო და თოფი დაიჭირა ხელში“ მრავალფეროვანს და მსმენელისთვის მიმზიდველს ხდის სათქმელს. მსგავსად სხვა პოლიტიკოსებისა, აქტიურად იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელებს „მე“, „ჩვენ“. ჩართული „რა თქმა უნდა“ კი თითქოსდა წარმოთქმულის უტყუარობის ერთგვარ გარანტად გვევლინება.

• თვით-დაკნინების ფონზე ტრაბახი

კობა დავითაშვილი:
<p>„42 წლისა ვარ, აქედან 25 წელია ვარ პოლიტიკაში. მე მინდა ვთხოვო საზოგადოებას აირჩიოს საქართველოს პრეზიდენტი განვლილი ცხოვრების მიხედვით და ყველას მისცეს შეფასება. მე შეიძლება ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თუ რამ გამიკეთებია ალბათ გემახსოვრებათ. ეს იყო გაყინული პენსიის დაბრუნება, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის იდეა, სკოლებში სახელმძღვანელოების დარიგება უფასოდ“.</p> <p>(8) საპრეზიდენტო დებატები - 18 ოქტომბერი, 2013 - კობა დავითაშვილი, სერგო ჯავახიძე, თეიმურაზ მჭავია - YouTube</p>

კობა დავითაშვილი საკმაოდ ჭკვიანურ ტაქტიკას, აუდიტორიასთან ემოციური კავშირის დამყარების გზას ირჩევს და საკუთარ თავზე ფარული რეფერენციით თხოვნით მიმართავს მათ, რომ აირჩიონ ღირსეული პრეზიდენტი. თვით დამაკნინებელი სიტყვები „მე შეიძლება ბევრი არაფერი გამიკეთებია“, გრძელდება მის მიერ წარმატებით განხორციელებული საქმეების ჩამოთვლით. ამასთან, პოლიტიკოსი არაერთგზის იყენებს პირველი პირის ნაცვალსახელს „მე“ და მის მიერ უკვე ნათქვამს ციფრებით იმოწმებს.

- პარტიის კომპლიმენტირების ფონზე საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი

გრიგოლ ვაშაძე:
<p>„თქვენ მიშასთან ერთად გადააქციეთ კორუმპირებული და თანამედროვე ქვეყანა თანამედროვე სახელმწიფოდ. თქვენ დაწესებულ დროშას წევენ დღეს, თქვენ შემოღებულ ჰიმნს მღერიან, თქვენ დატოვებულ ბიუჯეტს ხარჯავენ, თქვენ ინსტიტუციებში სხედან, თქვენი შექმნილი პოლიცია იცავთ“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=8BLeCWwt3lw</p>

გრიგოლ ვაშაძე მეორე პირში „თქვენ“ ნაცვალსახელის ექვსჯერ გამეორებით მიმართავს საკუთარ პარტიას. კომპლიმენტირების გზით ხოტბას ასხამს მას და ვინაიდან თვითონაც ამ პარტიის წევრია, მათ მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტებით საკუთარ თავსაც იწონებს შეფარვით. უფრო მეტიც, არც ოპოზიციური პარტიის დაკნინებას ერიდება თითქოსდა შეფარული ტრაბახის ფონზე.

- მსხვერპლის ტრაბახი

გიორგი გაჩეჩილაძე:
<p>„მე სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ერთადერთი პარტია ვარ, რომელიც სათავეს იღებს ეროვნული მოძრაობიდან და ერთ-ერთი უძველესი პარტია არის საქართველოში, რომელიც არის დამფუძნებელი ევროპის მწვანეთა პარტიის და მიუხედავად იმისა, რომ სისტემატიურ დევნას, შევიწროებას განიცდიდა ყოველი პერიოდის განმავლობაში, მაინც მოახერხა და შექმნა ეკოლოგიური პოლიტიკის საფუძვლები საქართველოში.“</p> <p>(7) #დებატები დედაქალაქის მერობის ყველა კანდიდატს შორის #არჩევნები2021 #LIVE - YouTube</p>

გიორგი გაჩეჩილაძე იმ მოტრაბახეთა სიას მიეკუთვნება, რომლებიც ცდილობენ საკუთარი თავისგან დახატონ მსხვერპლის პორტრეტი, რომ ბევრი ტრავმისა და სირთულის მიუხედავად შეძლეს გამოსავლის პოვნა და ფეხზე წამოდგომა. მსგავსი

რიტორიკა მიღწეულია ფაქტების ჩამოთვლით, ზედსართავი სახელის აღმატებით ხარისხში „უძველესი“ და უნიკალურობის აღმნიშვნელი სიტყვის „ერთადერთი“ გამოყენებით.

- საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრით ტრაბახი

ირაკლი კობახიძე:
<p>„ქართული ოცნების“ სიის მესამე ნომერი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და დიუსელდორფის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი, დიუსელდორფის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, აქ შევჩერდები, ბევრს არ გავაგრძელებ, გახლავართ მე - ირაკლი კობახიძე“. https://www.youtube.com/watch?v=y2JL2mKMfhY</p>

ირაკლი კობახიძე ბოლო წინადადებამდე მესამე პირში საუბრობს საკუთარ თავზე. სწორედ ეს ქმნის შეფარულობისა და შენიღბულობის ეფექტს, სიმართლეს ფარდა ეხდება ბოლო წინადადებაში, რომ ყველა მის მიერ სტილისტური ხერხის, ჩამონათვალის გზით ჩამოთვლილი დამსახურებები სწორედ მას ეკუთვნის.

3.2.3. ტრაბახის ჰიბრიდული ფორმა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

კვლევის დროს შევხვდით რამდენიმე მაგალითს, რომელიც აერთიანებდა ორივე ტიპის ტრაბახს. ამდენად, საჭიროდ ჩავთვალეთ მათი ცალკე ტიპად გამოყოფა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამ სახის ერთ მაგალითს.

პირდაპირი და შეფარული ტრაბახი

ირაკლი ბერაია:
<p>„საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობა დღეს არის უპრეცედენტოდ მაღალ ნიშნულზე, როგორც პოლიტიკური ასევე პრაქტიკული თანამშრომლობის თვალსაზრისით. საქართველოს შთამბეჭდავი პროგრესის მნიშვნელოვანი განმაპირობებელია</p>

ნატოსთან და ევროკავშირთან წარმატებული თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში **უპრეცედენტო** რეფორმები. ჩვენი ქვეყანა მისი თავდაცვის ძალების, უსაფრთხოების, დაზვერვის სისტემის და სამართალდამცავი სრუქტურებით არის ევროპელი პარტნიორების და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების **უმნიშვნელოვანესი კონტრიბუტორი**. **ბ-ნი სტოლტემბერგის** სიტყვებია, რომ შექებას იმსახურებს საქართველოს შთამბეჭდავი პროგრესი დემოკრატიის განმტკიცების და უსაფრთხოების სამსახურებზე ანგარიშვალდებულების გაზრდის მიმართულებით. ჩვენი ქვეყანა ფლობს ნატოში გაწევრიანების ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს და **როგორც ნატოელები ამბობენ** ბევრად მეტს აკეთებს ამ ინსტრუმენტებით ვიდრე ნატოს ნებისმიერი სხვა ასპირანტი“. [\(28\) პოლიტიკური დებატები პარლამენტში #LIVE - YouTube](#)

ირაკლი ბერაიას მიერ სიტყვა უპრეცედენტოს, როგორც **ზმნიზედის** და როგორც **ზედსართავი** სახელის გამოყენება ნარატივის პირველ ნაწილში ქმნის პირდაპირი ტრაბახის ეფექტს. ხოლო მეორე ნაწილი შეფარული ტრაბახით გრძელდება, ვინაიდან, საკუთარი ქვეყნისა და მისი მიღწევების კომპლიმენტირება ირიბად, სხვების („ნატოელები“, ბ-ნი სტოლტემბერგი) ნათქვამის დამოწმებით ხდება. ზედსართავი სახელის „მნიშვნელოვანი“ **აღმატებით ხარისხში** ორჯერ გამოყენება.

საერთო ჯამში, პირდაპირ ტრაბახთან შედარებით, ფარული ტრაბახის ქვეტიპების ენობრივი გაფორმება ნაკლებად მრავალფეროვანია. გამეორება, ჩამონათვალი, რიტორიკული კითხვა, ალეგორია, ეპიფორა, ზედსართავი სახელი შედარებით ხარისხში/ აღმატებით ხარისხში, პირის/კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჩართული ფორმები, გამაძლიერებელი ზმნიზედა - ეს ის რიტორიკულ-სტილისტური ხერხებია, რომელთა ერთობლიობა ქმნის ფარული ტრაბახის ეფექტს.

3.3. ტრაზახი ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში

3.3.1. პირდაპირი ტრაზახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში

ქართულენოვანი მაგალითების მსგავსად, ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივშიც ვხვდებით როგორც პირდაპირ, ასევე ფარულ/შენიღბულ ტრაზახს თავისი ქვე-ტიპებით. მოძიებული მაგალითების ჯამური რაოდენობა შეადგენს ორმოცდაჩვიდმეტს (57), მათგან პირდაპირი ტრაზახის მაგალითების რაოდენობაა ორმოცდარვა (48).

ქართულენოვანი მაგალითებისგან განსხვავებით, ინგლისურენოვანი პირდაპირი ტრაზახი ექვს ქვე-ტიპად იყოფა:

პირდაპირი ტრაზახის ქვე-ტიპი:	რაოდენობა:
1.დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაზახი	1
2.კოლექტიური ტრაზახი - გუნდის პოლიტიკური გამოცდილებითა და მიღწევებით	9
3.სხვისი დაკნინების (კონკურენტი პარტია) ფონზე ტრაზახი	5
4.თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი	19
5.საკუთარი სამშობლოთი ტრაზახი	8
6.თანაგუნდელითა და მისი შესაძლებლობებით ტრაზახი	6

როგორც ვხედავთ, ინგლისურენოვანი პირდაპირი ტრაზახის ყველაზე გავრცელებული ქვე-ტიპია - „თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი“ (19 მაგალითი). ყველაზე ნაკლებად გავრცელებული კი „დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაზახი“ (1 მაგალითი).

- დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაბახი

Republican candidate Mitt Romney:
<p>„If I become President, <i>I'll</i> get America working again. <i>I</i> will get us on track to a balanced budget. The President hasn't. <i>I</i> will. <i>I'll</i> make sure we can reform Medicare and Social Security to preserve them for coming generations“. https://www.c-span.org/video/?308543-1/2012-presidential-candidates-debate</p>

პრეზიდენტობის კანდიდატი მ. რომნი ტრაბახობს ჯერ არ შესრულებული მოქმედებებით მომავალ დროში. დაპირებების ფონზე, რომელიც გამოხატულია პირობითი წინადადების კონსტრუქციით “If...will”, პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელით „I”, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელით „we“, გამეორების ტექნიკით, მოდალური ზმნით „can“ ცდილობს აუდიტორიის დარწმუნებას, არა ცარიელი დაპირებებით, არამედ, მის მიერ ჩამოთვლილი კონკრეტული სამომავლო გეგმებითა თუ სტრატეგიებით, რომ რესპუბლიკური პარტია შეძლებს გარდამტეხი რეფორმების გატარებას და საზოგადოების მოლოდინის გამართლებას. მეტიც, ჯერ არ დამდგარი მომავლით ტრაბახი, განსაკუთრებულად თავდაჯერებული პოლიტიკოსის იმიჯს უქმნის მას. არათუ აუდიტორია, თითქოსდა მომავალიც მისი ზეგავლენისა და კონტროლის ქვეშაა და წინსწრებით ხედავს მომავლის სურათს.

- კოლექტიური ტრაბახი - გუნდის პოლიტიკური გამოცდილებითა და მიღწევებით

President Bill Clinton:
<p>„We're No.1 in automobile manufacturing production and sales around the world again, the first time since 1970s. Why? Because we've had tough aggressive trade policies, and because we've got interest rates down. We have a good, stable economic policy. „We've done a lot of hard work together over the last three and a half years. We've been challenged, and we've risen to those challenges. We've climbed the mighty mountain“. https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate</p>

პრეზიდენტ ბ. კლინტონის პოლიტიკური ნარატივი დასაწყისშივე გამოირჩევა გუნდური სულისკვეთებით დომინანტობის გამომხატველი ფრაზით „ჩვენ ვართ ნომერ პირველი...“ (We're No.1). მთელს გამოსვლას ლეიტმოტივად მიყვება **პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი „We“**, რომელსაც ექვსჯერ იმეორებს. თავის გუნდს ახასიათებს დადებითი კონოტაციის მქონე **ზედსართავი სახელებით** „good, stable“. **დროის მარკერების** გამოყენება „ბოლო სამ წელიწად ნახევარი“ (the last three and a half years) გუნდის პროგრესსა და ტრიუმფზე მიუთითებს კონკრეტულ პერიოდში..ვითომდა მსმენელის ამპლუაში საკუთარი გუნდის მისამართით სვამს კითხვას „რატომ“ და თავადვე პასუხობს მას. გუნდის მიერ მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და დაბრკოლებების გადალახვაზე შთამბეჭდავად ხაზის გასასმელად, იყენებს **მეტაფორულ ენას** ‘We've climbed the mighty mountain’ (მოვახერხეთ მწვერვალის დაპყრობა). ამით კიდევ უფრო დრამატულს და გამომსახველობითს ხდის მის გამოსვლას, აძლიერებს მათ სანდოობას და ავტორიტეტს.

- **სხვისი დაკნინების (კონკურენტი პარტია) ფონზე ტრაბახი**

First presidential debate in full: Trump vs Biden US Election 2020
<p>“I’ve done more in 47 months than you’ve done in 47 years.”.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=CweqW7Pzxz8</p>

დ. ტრამპი ძალიან ხისტად მიმართვას თავის ოპონენტს, იმთავითვე ქმნის კონტრასტულ ეფექტს **მეორე პირის ნაცვალსახელით ‘you’**, ზედ. სახელის **შედარებითი ხარისხის კონსტრუქციის ‘more... than’** და **ჰიპერბოლიზირებული** ნათქვამის გამოყენებით, რომ 47 თვის განმავლობაში მან გაცილებით მეტი გააკეთა ქვეყნისთვის, ვიდრე მისმა ოპონენტმა 47 წლის განმავლობაში. კონკრეტული **დროის ჩარჩოების** მოცემულობა (47თვე/47წელი) მსმენელში აღძრავს იმ განცდას, რომ ერთის პოლიტიკური მოღვაწეობა წარმატებული და უახლესია, მეორესი კი წარუმატებელი და დრომოჭმული.

- თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი

Barack Obama:
<p>“Four years ago, I told the American people and I told you <i>I</i> would cut taxes for middle-class families, and I did. I told you I’d cut taxes for small businesses, and I have. I said that I’d end the war in Iraq, and I did. I said that we would put in place health care reform to make sure that insurance companies can't jerk you around, and if you don't have health insurance, that you'd have a chance to get affordable insurance -- and I have. We’ve created 5 million jobs -- gone from 800,000 jobs a month being lost -- and we are making progress. We saved an auto industry that was on the brink of collapse”. https://www.c-span.org/video/?308543-1/2012-presidential-candidates-debate</p>

ბ. ობამა არ ერიდება საჯარო თვით-კომპლიმენტირებას თავისი წარმატებული პოლიტიკური კარიერიდან ფაქტების ჩამოთვლის გზით. ყველა მის სატრაზახო პოლიტიკურ ქმედებაზე ხაზგასასმელად აქტიურად იყენებს **გამეორების** ტექნიკას. **პარალელური წინადადებები** - ‘I told the American people“, რომელსაც მოყვება კონკრეტული დაპირებები “I would cut taxes for middle-class families,” "I’d cut taxes for small businesses," "I'd end the war in Iraq", კოჰერენტულობისა და კოჰეზიის ეფექტს ქმნის მსმენელის თვალში. **კაუზალური ენის** გამოყენება ‘I told you (გითხარი)...and I did (გაკაკეთე)“ ქმნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მომხსენებლის დაპირებებსა და შემდგომ განხორციელებულ ქმედებებს შორის. **დეიქსისი** ‘Four years ago“ (3 წლის წინ). **კონკრეტული ციფრების** ციტირება კი მეტ თავდაჯერებულობას მატებს პოლიტიკოსის გამოსვლას. აქვე ვხვდებით როგორც **იდიომატურ** ‘jerk around“ (მოექცე ვინმეს უსამართლოდ), ასევე **მეტაფორულ** გამოხატევას ‘be on the brink of smth“ (ნაპირას ყოფნა).

- საკუთარი სამშობლოთი ტრაზახი

George H. W. Bush:
„ Lincoln called this country the last best hope of man on earth . And he was right then, and we still are the last best hope of man on earth . And I ask for your support on November 8th. And I will be a good president. Working together, we can do wonderful things for the United States and the Free World“.
https://www.c-span.org/video/?33253-1/presidential-candidates-debate

ჯ. ბუში სამშობლოთი ტრაზახისას მიმართავს პოლიტიკური გამოსვლებისას კარგად აპრობირებულ მხატვრულ ხერხს - **ალუზიას**. კერძოდ, რამდენჯერმე **იმეორებს** ამერიკის მე-16 პრეზიდენტის - აბრაამ ლინკოლნის ცნობილ ფრაზას ამერიკის შესახებ 'last best hope of man on earth' (კაცობრიობის ბოლო იმედი) და ქმნის სენტიმენტალურ ფონს მსმენელში. მეტიც, პირდაპირ, მეტად ფამილარული ტონით მიმართავს მათ 'I ask for your support' (თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს). საინტერესოა, პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის **ნაცვალსახელის I** და პირველი პირის მრავლობითი რიცხვის **ნაცვალსახელის We** მონაცვლეობა. რაც ერთი მხრივ ხაზს უსვამს ინდივიდუალურ, ხოლო მეორე მხრივ კოლექტიურ შესაძლებლობებსა და მიღწევებს.

- თანაგუნდელითა და მისი შესაძლებლობებით ტრაზახი

Jack French Kemp:
„ Bob Dole , as I said earlier, is a man of courage , a man of principles , a man who crawled out of a fox hole on Riva Ridge in 1945 to save a wounded brethren. The bible says no greater love hath a man than he gave his life . Well, Bob Dole did, just about, he'd been through the valley of the shadow and he as Commander-in-Chief can take this country with the courage of Churchill . The principles of Lincoln and the indefatigable optimism and spirit that this nation expects from its Commander-in-Chief and the next President of the United States, Bob Dole“.
https://www.c-span.org/video/?281621-2/2008-presidential-candidates-debate

ჯ. კემპი ხოტბას ასხამს თანაგუნდელ ბობ დოულს და მას მეტაფორულად ახასიათებს როგორც ‘a man of courage’ (კაცი გამბედაობა), ‘a man of principles’ (პრინციპის კაცი). ბობ დოულის მიერ 1945 წელს რივა რიჯზე ჩადენილი გმირული ამბის მოყოლისას, რაც შეიძლება რიტორიკულ ხერხ ანეკდოტად (anecdote) მივიჩნიოთ, მოჰყავს ბიბლიური ალუზია: „no greater love hath a man than he gave his life“ (იმაზე მეტი სიყვარული არ არსებობს ადამიანისთვის, ვიდრე მისთვის თავის გაწირვაა). ამას გარდა, გამოსვლაში ვხდებით პრეცედენტულ სახელებს - ლინკოლნი, ჩერჩილი.

ამგვარად, ინგლისურენოვანი პირდაპირი ტრაბახის ქვე-ტიპებში გამოვლინდა შემდეგი სტილისტური ერთეულები: პირობითი წინადადების კონსტრუქცია, გამეორება, მოდალური ზმნები, პირის/კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელები შედარებით/აღმატებით ხარისხში, დროის ფრეიმი. რიტორიკული ხერხები: ჩამონათვალი, ალუზია, მეტაფორა, ანეკდოტი.

3.3.2. შეფარული ტრაბახი ინგლისურენოვან პოლიტიკურ ნარატივში

ფარული ტრაბახიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკელ პოლიტიკოსებს შორის წინა საარჩევნო კამპანიებისას. ჩვენ მიერ მოპოვებული ფარული ტრაბახის მაგალითების რაოდენობა შეადგენს ცხრას (9).

ფარული ტრაბახის ქვე-ტიპი:	რაოდენობა:
1.საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი	4
2.თვით- დაკნინების ფონზე ტრაბახი	3
3.პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი	1
4.რიტორიკული კითხვის დასმის ფონზე საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი	2

წარმოდგენილ ცხრილზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისურენოვანი ფარული ტრაზახის ყველაზე მეტად გარცელებულია ქვე-ტიპია - „საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი“ (4 მაგალითი). ყველაზე ნაკლები პოპულარობით კი სარგებლობს „პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი“ (1 მაგალითი).

- საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი

Donald Trump:
<p>„Dr. Fauci said president Trump saved thousands of lives. Many of your democrat governors said president Trump did a phenomenal job, most of them said that, people that would not be necessarily on my side said that, president Trump did a phenomenal job. I have it in my blood“.</p> <p>https://www.youtube.com/watch?v=CweqW7Pzzx8</p>

ამ მაგალითში დონალდ ტრამპი ირიბად იქებს თავს. სხვების პირით ტრაზახობს თავის „ფენომენალურად“ შესრულებულ პოლიტიკურ ქმედებებზე. ირიბი ტრაზახის ეფექტი მიღწეულია გამეორების ხერხით. **ზმნიზედა** ‘never’ (არასდროს) და **იდიომატური გამონათქვამი** ‘be in someone’s blood’ (გენებში ქონა) გამლიერებულად გადმოსცემს სათქმელს, რომ ამგვარი წარმატებისთვის აქამდე ცოტას თუ მიუღწევია. **ჰიპერბოლა** ‘saved thousands of lives’ (ათასობით სიცოცხლე გადაარჩინა), “did a phenomenal job” (არნახული სამსახური გაწია) ამლიერებს ტრაზახის ეფექტს.

- თვით- დაკნინების ფონზე ტრაზახი

H. Ross Perot:
<p>„I'm just a businessman. I was down in Texas taking care of business, tending to my family. This situation got so bad that I decided I'd better get into it. The American people asked me to get into it“.</p> <p>https://www.c-span.org/video/?33137-1/presidential-candidates-debate</p>

ჟ. პეროტი თვით-რეკლამირების საკმაოდ მოკრძალებულ ფორმას მიმართავს. ცდილობს საკუთარი თავისგან შექმნას უბრალო ტეხასელი ბიზნესმენის იმიჯი, რომლის მთავარი საზრუნავიც ერთ დროს მხოლოდ ოჯახი იყო. თუმცა, ამერიკელი ხალხის თხოვნას, რომ ჩამდგარიყო ქვეყნის სამსახურში, უარი ვერ უთხრა და დღეს ამერიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად გვევლინება. სწორედ ეს კონტრასტული სურათი უბრალო მოქალაქესა და პრეზიდენტობის კანდიდატს შორის, წარმოაჩენს პეროტს ღირსეულ ლიდერად.

- პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაბახი

Vice President Al Gore:
<p>“Well, the economy is growing very strongly right now. It is higher than in either of the last two Republican administrations. Bob Dole said in February of this year this is the strongest economy in 30 years. The conservative business journal, "Barron's," says this is the strongest economy in 30 years. We've got good solid growth”.</p> <p>https://www.c-span.org/video/?74250-1/vice-presidential-candidates-debate</p>

ვიცე პრეზიდენტი ალ გორე პირდაპირ როდი ამბობს, რომ მისმა გუნდმა მოახერხა უძლიერესი ეკონომიკის შექმნა, არამედ, ამისათვის ტრაბახის შენიღბულ ფორმას ირჩევს და ცნობილი პოლიტიკოსებისა თუ ცნობილ ჟურნალში პოლიტიკური ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს იმოწმებს საკუთარი გუნდის მიღწევების ხაზგასასმელად. **ზმნიზედა** ‘strongly’ (საგრძნობლად), **ჩამონათვალის** ტექნიკა, **ზედსართავი სახელი შედარებით ხარისხში** “higher than”, **ზედსართავი სახელი აღმატებით ხარისხში** “strongest“ (უძლიერესი), პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი ‘we’, **გამეორება** - ეს ის ლინგვისტური საშუალებებია, რომლებიც ქმნიან ფარულად ტრაბახს ალ გორეს მონოლოგს.

- რიტორიკული კითხვის დასმის ფონზე საკუთარ თავზე რეფერენციით ტრაბახი

H. Ross Perot:
<p>„Together we can get anything done. The president mentioned that you need the right person in a crisis. Well, folks, we got one. Pretty simply, who's the best-qualified person up here on the stage to create jobs? Make your decision and vote on November the 3rd. I suggest you might consider somebody who's created jobs. Who's the best person to manage money? I suggest you pick a person who's successfully managed money. Who's the best person to get results and not talk? Look at the record and make your decision. And, finally, who would you give your pension fund and your savings account to manage? And, last one, who would you ask to be the trustee of your estate and take care of your children if something happened to you?.“</p> <p>https://www.c-span.org/video/?33253-1/presidential-candidates-debate</p>

ჰენრი პეროთი ზედიზედ სვამს ხუთ რიტორიკულ შეკითხვას საკუთარ თავზე ფარული რეფერენციით: ‘who's the best-qualified person up here on the stage to create jobs’ (ამ დარბაზში, ვინ არის ყველაზე კვალიფიცირებული ადამანი სამუშაო ადგილების გაზრდაში?), ‘Who's the best person to manage money?’ (ამ დარბაზში, ვის შეუძლია ყველაზე გონივრულად ფულის მართვა?), ‘Who's the best person to get results and not talk?’ (ვინ ლაპარაკობს ნაკლებს და აქვეთებს მეტ საქმეს?), ‘who would you give your pension fund and your savings account to manage?’ (ვის მიანდობდით თქვენს საპენსიო ანგარიშებს?), ‘who would you ask to take care of your children if something happened to you?’ (ვის მიანდობთ შვილების ბედს საჭიროების შემთხვევაში?).

პირდაპირი ფორმით მიმართავს მსმენელს სიტყვებით ‘Folks’ (მეგობრებო), ‘look’ (შეხედეთ), დროგამოშვებით იყენებს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს ‘we’, მოდალურ ზმნას ‘can’ და გამეორების ტექნიკას.

ამრიგად, პოლიტიკური აქტორების ნარატივში ფარული ტრაბახის ეფექტს ქმნის ისეთი ლინგვო-სტილისტური მექანიზმები, როგორცაა: პირის/საკუთარი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, გამაძლიერებელი ზმნიზედები, ზედსართავი სახელები შედარებით/აღმატებით ხარისხში, ჩამონათვალი, რიტორიკული შეკითხვა, გამეორება, იდიომი.

ძირითადი დასკვნები

ჩატარებული კვლევის და ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ემპირიული მასალის დამუშავების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- დისკურსი არის კულტურა კულტურაში, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი რეალობის ფორმირებაში, მის გარდასახვასა და ტრანსფორმაციაში. კომუნიკაციის, სოციალური ინტერაქციის, მნიშვნელობის კონსტრუირების მთავარ ელემენტს წარმოადგენს და რეალიზდება სოციო-კულტურულ, ისტორიულ, იდეოლოგიურ კონტექსტში. გამოიყოფა დისკურსის არაერთი ტიპი: სამედიცინო, პოლიტიკური, იურიდიული, მედია, ბიზნეს, საგანმანათლებლო, რელიგიური ა.შ.

- დისკურსი ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია და შესაბამისად, ყველა დისციპლინა, მისი მიზნებიდან გამომდინარე განმარტავს მას. მისით დაინტერესებულია ისეთი დისციპლინები, როგორც კრიტიკული თეორია, სოციოლოგია, ფილოსოფია, ლინგვისტიკა, ეთნოლოგია, სემიოტიკა, ანთროპოლოგია, საგანმანათლებლო, კოგნიტური თუ პოლიტიკური მეცნიერებები.

- რიტორიკა, როგორც სიტყვით დარწმუნების ხელოვნება, პოლიტიკური დისკურსის საწინდრად გვევლინება. რიტორიკისა და პოლიტიკური დისკურსის იდეოლოგიურ-მიზნობრივი კვეთა შემდეგში გამოიხატება: საზოგადოებაში კოლექტიური ცნობიერების მანიპულირება, აუდიტორიის კეთილგანწყობილების მოპოვება, მაღალი ინტელექტუალური და მორალური შესაძლებლობების დემონსტრირება.

- პოლიტიკური დისკურსი გამოირჩევა მრავალფეროვანი ლინგვო-სემიოტიკური ბუნებით. მისთვის დამახასიათებელია: ინფორმაციულობა, ფატიკურ-კონვენციურობა, ემოციურ-ექსპრესიულობა. პოლიტიკური დისკურსი ყოველთვის გათვლილია ორმაგ აუდიტორიაზე: კონკრეტულ საზოგადოებაზე, რომელიც უშუალოდ ესწრება დისკურსს და ე.წ. „იმპლიცირებულ აუდიტორიაზე“, რომლის მიღმა ხალხის ფართო მასები, ზოგჯერ კი მთელი ქვეყნის მოსახლეობა მოიხრება. განსაზღვრავს სოციუმის ცხოვრების დონეს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი სოციალურ-პოლიტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში.

- პოლიტიკური დისკურსი ვერ იქნებოდა ფართო მასებზე ზეგავლენის მოხდენის ეფექტური საშუალება, რომ არა ის ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც ქმნიან პოლიტიკური დისკურსის ეკოსისტემას. ესენია: სლოგანურობა, პოლემიკურობა, შემფასებლობა, აგრესიულობა, ლოზუნგურობა, დეკლამატორული სტილი, პროპაგანდისტული ტრიუმფალიზმი, ორაზროვნება, მიმართვის პირდაპირი ფორმის გამოყენება, სტატისტიკური ენის გამოყენება, რიტორიკული ხერხები (ალუზია, გამეორება, გაზვიადება, მეტაფორა, შედარება, ალიტერაცია, პარალელიზმი, ანტითეზისი ა.შ).

- ფსიქოლინგვისტიკა ანუ ენის ფსიქოლოგია შეისწავლის იმ ფსიქოლოგიურ და ნევრობიოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანს ეხმარება ენის შეცნობასა და გამოყენებაში. ფსიქოლინგვისტიკის შესწავლისას გამოვლენილი ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა: Slip of tongue (წამოცდენა), Tip of the tongue (ენის წვერზე), მუშა მეხსიერება, მენტალური ლექსიკონი, „აბაზანის ეფექტი“ (Bathtub Effect), ყოყმანი, ინფორმაციის ავტო-დამუშავება (auto processing) და შეზღუდული-დამუშავება (controlled processing, სინტაქსური, ხატობრივი აზროვნება ა.შ მნიშვნელოვნად გვეხმარება ტრაბახის, როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენის შეცნობა-ანალიზში და მისი კომპლექსური ბუნების გამოვლინებაში.

- ქართულ და ინგლისურ ენაში ტრაბახის შესახებ ფიქსირებული გამონათქვამები, რომლებიც უმეტესწილად ადრეული პერიოდიდან იღებენ სათავეს, უარყოფითი კონოტაციის მქონეა. თუმცა, თანამედროვე რეალობა, განსაკუთრებით კი, თანამედროვე პოლიტიკური რეალობა და ტრაბახის გამოყენების სიხშირე გვამღევს იმის თქმის საშუალებას, რომ დღევანდელი საზოგადოება გაცილებით კეთილგანწყობილია ტრაბახის ფენომენის მიმართ. მეტიც, სიტყვა ტრაბახი ჩანაცვლებულია, ერთი შეხედვით უფრო ნეიტრალური ქლერადობის, მაგრამ აბსოლუტურად იდენტური შინაარსის მქონე სინონიმური სიტყვებით, როგორიცაა: თვით-რეკლამირება, თვით-პრეზენტაცია, თვით-პრომოცია.

- თუკი არსებობს ჯანსაღი კრიტიკა, არსებობს ჯანსაღი ტრაბახიც. მთავარია ვიცოდეთ როგორ ვიტრაბახოთ ზედმეტი პომპეზურობის გარეშე, ისე, რომ ჩვენ შორის არ წარმოიშვას ემპათიური ფანჯარა. ტრაბახი ერთგვარი სოციალური

სტრატეგიაა, რომლის გამოყენებასაც ძალიან დიდი სიფრთხილე სჭირდება, რადგან ზღვარი ოსტატურად თავის წარმოჩენასა და გამაღიზიანებელ ბაქიაობას შორის ძალიან უმნიშვნელოა.

- ტრაბახის მაპროვოცირებელ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფაქტორები: ჰორმონი - დოფამინი (სიამოვნების ჰორმონი), რომელიც გამოიყოფა საკუთარ თავზე საუბრისას, ნარცისისიზმი და ეგოცენტრიზმი, არასრულფასოვნების კომპლექსი, სულიერი შიმშილი, თვითშეფასების დაბალი დონე ა.შ.

- ტრაბახი სამეტყველო აქტის ერთ-ერთი ფორმაა, იმდენად რამდენადაც, ტრაბახა ადამიანის მონოლოგი არამხოლოდ უბრალო სიტყვების წყებაა, არამედ სიტყვებით შესრულებული მოქმედებაა მასში ჩადებული კონკრეტული განზრახვით. ტრაბახი სოციალური ხასიათის ინტერაქციაა, ინტენციური მეტყველებაა, რომელსაც გარკვეული კომუნიკაციური მიზანი ამოძრავებს, ჩვენს შემთხვევაში კი ეს მიზანი აუდიტორიის მართვა-მანიპულირებაა. იგი შეიძლება განვიხილოთ ილოკუციური ძალის ცნების პრიზმის ქვეშ და წარმოდგენილი იყოს როგორც ექსპრესივი, რეპრეზენტატივ/ასერტივი, კომისივი.

- ტრაბახა ადამიანების ბრაგალოგები ხასიათდება საერთო ლინგვო-სტილისტური, რიტორიკული ხერხებით. ესენია: პირველი პირის მხ. რიცხვის ნაცვალსახელები, კოლექტიური „ჩვენ“, ზედსართავი სახელები აღმატებით ხარისხში, ელიპტიკური წინადადებები, ჰიპერბოლა, Amplification (გაძლიერება), გამეორება, შედარება, რიტორიკული შეკითხვა, juxtaposition (შეპირისპირება), იმიჯერი (imagery), ირონია, ალიტერაცია, პერსონიფიკაცია, მეტონიმია, ოქსიმორონი, ზევგმა, ონომატოპეა, ეპითეტი, ლიტოტესი, იდიომი.

- პოლიტიკურ დისკურსში, უმეტესწილად კი, წინა საარჩევნო კამპანიებისას, მაშინ, როცა ყველაზე მეტად მატულობს ტემპერატურა პოლიტიკურ ველზე, პოლიტიკოსები ძირითადად მიმართავენ ორი სახის ტრაბახს: პირდაპირს (Direct) და შენიღბულს (Humblebragging).

- პოლიტიკური ტრაბახის პირდაპირი ფორმის ქართულენოვანი მაგალითების ჯამური რაოდენობა ჩვენ მიერ შესწავლილ ემპირიულ მასალაში შეადგენს ორმოცდაერთს (41). აქედან, ყველაზე მეტად აქტუალურია - კოლექტიური ტრაბახის

ტიპი (16 მაგალითი), ყველაზე ნაკლებად აქტუალურია - ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობით ტრაზახის ტიპი (1 მაგალითი). პირდაპირი ტრაზახის ენობრივი გაფორმება ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მეტად მრავალფეროვანია.

- პოლიტიკური ტრაზახის ფარული ფორმის ქართულენოვანი მაგალითების რაოდენობა შეადგენს თოთხმეტს (14). ქართველ პოლიტიკოსებში ყველაზე ხშირად ვხვდებით საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახს (4 მაგალითი) და ყველაზე ნაკლებად წუწუნის ფონზე ტრაზახს (1 მაგალითი), მსხვერპლის ტრაზახს (1 მაგალითი), საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრით ტრაზახს (1 მაგალითი). პირდაპირ ტრაზახთან შედარებით, ქართულენოვანი ფარული პოლიტიკური ტრაზახის ქვე-ტიპების ენობრივი გაფორმება ნაკლებად მრავალფეროვანია.

- პოლიტიკური ტრაზახის პირდაპირი ფორმის ინგლისურენოვანი მაგალითების რაოდენობა ჩვენ მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ ემპირიულ მასალაში შეადგენს ორმოცდარვას (48). ყველაზე გავრცელებული ტიპია თვით-კომპლიმენტირების ფონზე ტრაზახი (19 მაგალითი), ყველაზე ნაკლებად გავრცელებული კი დაპირებების ფონზე მომავალ დროში ტრაზახი (1 მაგალითი). ქართულენოვანი მაგალითების მსგავსად, პირდაპირი ტრაზახის ენობრივი გაფორმება ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსშიც მეტად მრავალფეროვანია.

- პოლიტიკური ტრაზახის ფარული ფორმის ინგლისურენოვანი მაგალითების რაოდენობა შეადგენს ცხრას (9). ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია საკუთარ წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი (4 მაგალითი), ყველაზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობს პარტიის წარმატებაზე სხვისი შეხედულების დამოწმებით ტრაზახი (1 მაგალითი). პირდაპირ ტრაზახთან შედარებით, ინგლისურენოვანი ფარული პოლიტიკური ტრაზახის ტიპების ენობრივი გაფორმებაც ნაკლებად მრავალფეროვანია.

- ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაზახს შორის მთავარი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე კულტურის პოლიტიკოსთა გამოსვლის მთავარი მესიჯი არის სიამაყის, უპირატესობის, ძალაუფლების დემონსტრირება. იმ სტილისტურ თუ რიტორიკულ ხერხებს, რასაც ვხვდებით ქართულ ენაში, ვხვდებით

ინგლისურ ენაშიც, ესენია: ჩამონათვალი, გამეორება, გაზვიადება, დეიქსისი, პლეონაზმი, ანტითეზისი, ნეოლოგიზმები, ირონია, იდიომი, მეტაფორა, სტატისტიკური ენა, პოლიტიკური ტერმინოლოგია, ალუზია, პრეცედენტული სახელები, იმიჯერი, მეტონიმია, პირის, საკუთარი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ზედსართავი სახელის შედარებითი/აღმატებითი ხარისხი, ანტონიმური წყვილები, ჩართული ფორმები, გამაძლიერებელი ზმნიზედები ა.შ.

- ტრაბახის პროცესში გარდამტეხ როლს ასრულებს კომუნიკანტთა კულტურული ფონი და ღირებულებები. ქართულენოვან და ინგლისურენოვან პოლიტიკურ ტრაბახს შორის განსხვავება კულტურულად არის დეტერმინებული. ეს განსხვავება კი ენობრივ დონეზე ძირითადად ალუზიებით არის გამოხატული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე, ცირა. „რიტორიკა, სტილისტიკა, პრაგმატიკა“, 2014;
<https://mastsavlebeli.ge/?p=1817>
2. ბარბაქაძე, ცირა. „პოლიტიკური დისკურსის ანატომია“, 2017;
<https://mastsavlebeli.ge/?p=15953>
3. ბახტაძე, ნუნუ. „მანიპულაციის ენობრივი საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში“, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2021.
4. ბელიაშვილი, ეთერი. „სამეტყველო აქტების რეალიზაცია საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში“, სამეცნიერო ძიებანი, თბილისი, 2008.
5. ბოლქვაძე, მათა. „ავტო და ჰეტეროსტერეოტიპები პოლიტიკურ დისკურსში და მათი ტრანსლაცია ქართულ მედიაში“, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი 2016.
6. გაგოშიძე, თამარ. „პოლიტიკური დისკურსი-მსმენელზე ორიენტირებული ფქისოლინგვისტური ხელოვნება“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2015.
7. გერასიმენკო, ნატა. „ტრახახი როგორც ფსიქოლინგვისტური ფენომენი და მისი ვერბალური გამოვლინება სოციალურ მედიაში“, სამაგისტრო ნაშრომი, ბათუმი, 2019.
8. გოგელია, ნინო. „მარიონ დენჰოფის პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური ანალიზი“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2020.
9. კირვალიძე, ნინო. „პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი, 2010.
10. მასაშვილი, ხათუნა. „პოლიტიკური დისკურსის კონტენტანალიზი“, მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი, 2016.
11. მსახურაძე, ნანა. „ლექსიკურ-სემანტიკური და პრაგმატიკული ტრანსფორმაციები პოლიტიკურ დისკურსში (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენოვან მასალაზე დაყრდნობით)“, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2013.
12. ოშიაძე, სალომე. „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006.

13. ფორჩხიძე, ბადრი. „ორატორული ხელოვნებისა და ზოგადი რიტორიკის სოციალურ-ფილოსოფიური და ლოგიკურ-გნოსეოლოგიური საფუძვლები“, დამხმარე სახელმძღვანელო, ქუთაისი, 2018.

14. ქუთათელი, ნინო. „ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი“, intermedia.ge. 2019.

<https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/108421->

[/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-](https://intermedia.ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-)

[/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/93/user:%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98:show:channel](https://intermedia.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/93/user:%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98:show:channel)

15. ჯღარკავა, გიორგი. „რატომ იყენებენ ანდაზებს პოლიტიკოსები?“, 2021. <https://www.alia.ge/ratom-iqheneben-andazebs-politikosebi/>

16. ჭურჭელაური, ბელა. „მუქარის გამოხატვის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური თავისებურებები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პროცესში“, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2020.

17. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2004.

18. რა არის იმპოსტორის სინდრომი და როგორ გავუკლავდეთ მას?, Student Blog, 2023. sblog.ge/რა-არის-იმპოსტორის-სინდრომი/

19. მეტონიმია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=52>

20. დისკურსი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>

21. იდიომი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=4085>

1. Alavidze, Maia. "The use of Pronouns in Political Discourse", Akaki Tsereteli State University, 2017.
22. Alford, Henry. "If I do humblebrag So Myself", The New York Times, Nov. 30, 2012. <https://www.nytimes.com/2012/12/02/fashion/bah-humblebrag-the-unfortunate-rise-of-false-humility.html>
23. Altmann G. History of Psycholinguistics, Elsevier Ltd, 2006.
24. Balamurugan, K. "Introduction to Psycholinguistics – a review", Studies in Linguistics and Literature, Vol. 2, No. 2, USA, 2018.
25. Banguis-Bantawig, Renalyn. "The role of discourse markers in the speeches of selected Asian Presidents", Elsevier, 2019
26. Barber, Susan. "Are you ready to be great at self-promotion?", LinkedIn, Dec 5, 2017. [linkedin.com/pulse/you-ready-great-self-promotion-susan-m](https://www.linkedin.com/pulse/you-ready-great-self-promotion-susan-m)
27. Birt, Jamie. "10 self-promotion tips: Techniques to boost your career". Indeed, May 4, 2021. [Self-Promotion Tips: Techniques to Boost Your Career | Indeed.com](https://www.indeed.com/career-advice/finding-a-job/10-self-promotion-tips)
28. Chilton, Paul A. Schafner, Christina. "Politics as Text and Talk", John Benjamins Publishing Company, 2022.
29. Chilton, Paul. "Analysing political discourse", Taylor & Francis e-Library, 2004.
30. Cowles, H. Wind. Psycholinguistics, Springer Publishing Company, 2011.
31. Dijk, Van. "What is political discourse analysis? ", Belgian Journal of Linguistics, 1997.
32. Fareelly, Michael. "Why fit in when you were born to stand out", Quoteikon. <https://www.quoteikon.com/why-fit-in-when-you-were-born-to-stand-out.html>
33. Fairclough, Norman. Discourse and Social Change, Polity Press, 1992.
34. Fineman, Meredith. „Brag better: "Master the art of fearless self-promotion", New-York, NY: Penguin Random House LLC, 2004.
35. Garnham, Alan. Psycholinguistics-Central Topics, 1985.
36. Golubovskaya, Irina A., Kharitonova, Daria D., Rudaya, Natalia V. „Ukrainian Institutional Political Discourse in a Communicative-Cognitive Aspect“, International Journal of society, culture and language, 2022.

37. Green, Mitchel. *Speech Acts*, Oxford Research Encyclopedia of Linguistics, 2016.
[Green-SpeechActs4OREL.pdf](#)
38. Jin Mali, Preotiuc-Pietro Daniel, Dogruoz Seza A, Aletras Nikolas. „Automatic Identification and Classification of Bragging in Social Media“, Association for Computational Linguistics, Dublin, Ireland, 2022.
39. Jørgensen, Mariann. Phillips, Louise. “Discourse analysis as theory and method”, Sage Publications LTD, 2002.
40. Kampf, Zohar. “Political discourse analysis”, International Encyclopedia of Language and Social Interaction, 2015. [academia.edu/5074479/Political_Discourse_Analysis](#)
41. Kenzhekanova, Kuralay Kenzhekankyzy. “Linguistic Features of Political Discourse”, Mediterranean Journal of Social Sciences, Vol 6, No 6 S2, Nov 2015.
42. Klaus, Peggy. “Brag! The art of Touting Your Horn without Blowing It”. New-York, NY: Hachette Book Group, 2004.
43. Krauss Whitbourne, Susan. [psychologytoday.com](#); July 28, 2012.
<https://www.psychologytoday.com/intl/blog/fulfillment-any-age/201207/bragging-when-is-it-ok-and-when-is-it-not-ok>
44. Lee Hotz, Robert. “Science reveals why we brag so much”, The Wallstreet Journal, May 7, 2012.
<https://www.wsj.com/articles/SB10001424052702304451104577390392329291890>
45. Michel, Foucault. *Discourse Theory*, Study Smarter.
<https://www.studysmarter.co.uk/explanations/english/english-language-study>
46. Mills, Sarah. “Discourse”, Routledge London and New-York, 2001.
books.google.ge/books?id=FK6IAgAAQBAJ&printsec=frontcover&dq=SARA+MILLS&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwj_idSSqY38AhWsQvEDHVgIAYwQ6AF6BAgDEAI#v=onepage&q=SARA%20MILLS&f=false
47. Nickerson, Charlotte. “Impression Management and Self Presentation (Goffman)” [simplypsychology.org](#), April 21, 2023. <https://www.simplypsychology.org/impression-management.html>
48. Nordquist, Richard. “Definition and examples of discourse”, ThoughtCo, January 30, 2020, [thoughtco.com/discourse-language-term-1690464](#)

49. Pennebaker, James W. "Lying Words: Predicting Deception from Linguistic Styles", *Personality and Social Psychology Bulletin*, 2003.
50. Polyakova, Liliya S. et al. "Linguistic Manipulation Means in English Political Discourse", *Amzonian Investiga*, Volume 9 - Issue 33, Sep 2020.
51. Riskedahl, Diane. "Political discourse". *The International Encyclopedia of Anthropology*, 2018, academia.edu/32566471/Political_Discourse
52. Rzayeva, A.M. *Philology International scientific journal*, № 2 (14), Volgograd, 2018.
53. Scopelliti, Irene. "Why do people brag?", TEDx Talks, Feb 2, 2016, https://www.youtube.com/watch?v=pNTyl_nUOV0
54. Sezer, Ovul. Gino, Francheska. Norton, Michael. „Humblebragging: A Distinct – and Ineffective – Self-Presentation Strategy“, Harvard Business School, 2015.
55. Shavladze, Thea. "Lingua-Cultural Peculiarities Of Facebook Bragging - Narcissism On Facebook", *The International Institute for Science, Technology and Education (IISTE)*, 2015.
56. Warrell, Margie. „Self-Promotion is not crucial (Unless you want to get Ahead)", *Forbes*, 2013. <https://www.forbes.com/sites/margiewarrell/2013/04/29/self-promotion-is-not-crucial-unless-you-want-to-get-ahead/?sh=530b7a1b32ee>
57. Witt, Christopher. "How to promote yourself without being full of yourself", Oct 22, 2012. christopherwitt.com/how-to-promote-yourself/
58. Wodak, Ruth. Meyer, Michael. „Critical Discourse Analysis: History, Agenda, Theory and Methodology“, 2009.
59. Wodak, Ruth. Meyer, Michael. „Methods of Critical Discourse Analysis“, Sage Publications LTD, 2001.
60. Australian Institute of Professional Counsellors. "The Psychology of bragging", Nov 14, 2019. <https://www.counsellingconnection.com/index.php/2019/11/14/the-psychology-of-bragging/>
61. Center for creative leadership, "A complete guide to self-promotion at work", Nov 28, 2021. ccl.org/articles/leading-effectively-articles/complete-guide-to-self-promotion/
62. Discourse. *ldoceonline.com*. <https://www.ldoceonline.com/dictionary/discourse>

63. Edge, "Deceit and self-deception", Sep 25, 2023. edge.org/conversation/robert-trivers-deceit-and-self-deception
64. Less Penguiny. "17 Modes of Bragging". <https://www.lesspenguiny.com/articles/best-article-on-bragging>
65. Psycholinguistics. 2021. <https://www.youtube.com/watch?v=zL43P4Foj08>
66. Psycholinguistics - An Overview. The Virtual Linguistics Campus, 2012. https://www.youtube.com/watch?v=V0CX_5jKJYI&t=349s
67. Slip of Tongue. [Definition and Examples of Slips of the Tongue \(thoughtco.com\)](https://www.thoughtco.com/definition-and-examples-of-slips-of-the-tongue)
68. Study.com. "What is self-promotion?", [study.com/academy/lesson/self-promotion-in-psychology-definition-examples.html](https://www.study.com/academy/lesson/self-promotion-in-psychology-definition-examples.html)
69. Stanford Encyclopedia of Philosophy, Jürgen Habermas, 2023. <https://plato.stanford.edu/entries/habermas/#Disc>
70. Ведмеш Н.А.; Хвастовство; <http://psihomed.com/hvastovstvo/>

ლექსიკონები:

1. დისკურსი, dictionary.css.ge [დისკურსი | ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში \(css.ge\)](https://dictionary.css.ge)
2. Brag. Collinsdictionary.com <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/brag>
3. Brag. Dictionary.cambridge.org <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/brag>
4. Brag. Thefreedictionary.com. <https://www.thefreedictionary.com/brag>
5. Brag. Britannica.com. <https://www.britannica.com/dictionary/brag>
6. Brag. Macmillandictionary.com <https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/brag>
7. Brag. Merriam-webster.com; <https://www.merriam-webster.com/dictionary/brag>
8. Discourse. collinsdictionary.com <https://www.collinsdictionary.com/dictionary/english/discourse>

ემპირიული მასალის ელექტრონული წყაროები:

<https://www.c-span.org/video/?33253-1/presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74250-1/vice-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?33137-1/presidential-candidates-debate>

<https://www.youtube.com/watch?v=CweqW7Pzxz8>

<https://www.c-span.org/video/?281621-2/2008-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?33253-1/presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?308543-1/2012-presidential-candidates-debate>

<https://www.youtube.com/watch?v=CweqW7Pzxz8>

<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?308543-1/2012-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?183580-1/presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?183584-1/vice-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?183584-1/vice-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74273-1/1996-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?4256-1/1988-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74250-1/vice-presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?183580-1/presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?74250-1/vice-presidential-candidates-debate>

<https://www.youtube.com/watch?v=CweqW7Pzxz8>

<https://www.c-span.org/video/?183580-1/presidential-candidates-debate>

<https://www.c-span.org/video/?183580-1/presidential-candidates-debate>

